# საერთო გაზეთი

№34 (626)
ოთხშაბათი
22 სექტემბერი, 2021წ.
ფასი 1.50 ლ.

## რატომ უყვართ თბილისელებს კახა კალაძე და რატომ გაიმარჯვებს იგი თბილისის მერის არჩევნებში






## ნანა კაკაბაძე: ხელისუფლება წინასაარჩევნო პროცესშია, ოპოზიცია წინასარევოლუციოში



ან ნაცები უნდა მოვაშოროთ პოლიტიკას ან სახელმწიფო ჩამოგვეშლება

მათგან მუქარის, საზოგადოების შანტაჟის გარდა, სხვა არაფერი ისმის. პირდაპირ, გვეუბნებიან: მოვალთ, დაგიჭერთ, დაგაპატიმრებთ, ყველაფერს წაგართმევთო.

## მტერი

საკაშვილის ოცნება - საქართველო - ახალი სინგაპური ანუ ქვეყანა ყველასი და არავისი, მათ შორის არც ქართველების



სააკაშვილისთვის და „ნაცმოძრაობისთვის“ მხარის დაჭერა, ეს იგივეა, თემურ ლენგის, შაჰ-აბასის, მურვან-ყრუს ლაშქარს დაუჭირო მხარი და მათი წარმომადგენლები ლეგიტიმურად შემოიყვანო საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებაში.

## მეგისის დაცემა აეროპორტში



## ამხანაგი ანზორი „მოსკოვებიდან“



მივმართავ მოხუცთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას - ნიკანორ მელია საკუთარ მამას აბულინგებს!

მათთვის, ვისაც შეთქმულების თეორიების არ სჯერა...



## ნოეს შეთქმული ეგონათ წარღვნის მესამე დღემდე



## დიმიტრი ლორთქიფანიძე: ხელისუფლების გასაგონად ვამბობ: არ დაინდოთ არავინ, ვინც ქვეყნის წინააღმდეგ დივერსიულ-ტერორისტული აქტის განხორციელებას აპირებს

## „ევროპა დასრულდა, როგორც სამყაროში დიდი მნიშვნელობის მქონე რეგიონი“

## როგორ ცხოვრობს მარიამ განი, ავღანეთის პრეზიდენტის ქალიშვილი, რომლის მამაც თალიბებს გაექცა

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# რატომ უყვართ თბილისელებს კახა კალაძე და რატომ გაიმარჯვებს იგი თბილისის მერის არჩევნებში



## ადამიანების სიყვარული ყველა ნიჭთაგან გამორჩეული ნიჭია, ღვთით ბოძებული მადლია. კახა კალაძე ამ ნიჭით უხვად დაჯილდოებული კაცია და ამიტომაც უყვართ იგი გამორჩეული სიყვარულით თბილისელებს

**ვახტანგ ხარჩილავა:**

რატომ უყვართ თბილისელებს კახა კალაძე?

არა მხოლოდ იმიტომ, რომ კახა კალაძემ ამ ოთხი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გააკეთა ამ ქალაქისთვის – განხორციელდა უამრავი ახალი პროექტი, გაშენდა ახალი სკვერები, პარკები, სპორტული მოედნები, განახლდა და გაფართოვდა ავტოპარკი, ქალაქმა ახალი სიცოცხლე და ახალი ელვარება შეიძინა, თბილისი კიდევ უფრო მიუახლოვდა ევროპული ქალაქების სტანდარტებს, აშენდა ახალი ობიექტები და ა. შ.

იმდენად ბევრია ჩამოსათვლელი და აღსანიშნავი, ამის ჩამოთვლას ერთი და ორი წერილი ნამდვილად არ ეყოფა.

მაგრამ, როგორც ვთქვი, მხოლოდ ამ კეთილი და დიდი საქმეების გამო არ უყვართ თბილისელებს კახა კალაძე.

თბილისელებს კახა კალაძე იმიტომ უყვართ, რომ თავად კახა კალაძეს ძალიან უყვარს თბილისელები, ზოგადად, ადამიანები, ეს კი ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას, რომელიც ყველაფერს გადაწონის.

როცა ამა თუ იმ ადამიანს ვახასიათებთ, თუ გვინდა, ეს ადამიანი დადებით კონტექსტში წარმოვაჩინოთ, სხვადასხვა დეტალებს ჩამოვთვლით ხოლმე მისი ბიოგრაფიიდან: სად სწავლობდა, როგორ სწავლობდა, სად მუშაობდა, რა წარმატებები ჰქონდა, როგორი ორგანიზატორი იყო და ა. შ. მაგრამ თითქმის არასოდეს ვამახვილებთ ყურადღებას იმაზე, თუ როგორია ამ ადამიანის დამოკიდებულება ადამიანების მიმართ.

ვერც ერთ ანკეტაში ვერ შეხვდებით ამ კითხვას, ათას რაღაცას გკითხავენ,. მაგრამ არავინ გკითხავთ, რამდენად მისაღებია თქვენთვის ათი მცნებიდან ყველაზე მთავარი მცნება – გიყვარდეს მოყვასი შენი.

არადა, ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის, რადგან, რაც უნდა დიდი საქმეები ვაკეთოთ, ბოლოს მაინც ყველაფერი იქ მიდის – ადამიანთან.

ყველაფერი ადამიანის სახელით იწყება და ყველაფერი ადამიანისთვის კეთდება, მასთან მთავრდება და მასთან სრულდება, თუმცა ამ დასასრულს აქვს გაგრძელება – ადამიანებისთვის გაკეთებული სიკეთე სიკეთეს შობს და სიკეთეს ამრავლებს.

კახა კალაძე პოლიტიკოსია, საჯარო პირია და, გამომდინარე აქედან, სულ საზოგადოების თვალთახედვის არეშია, სულ ჩვენს თვალწინ ტრიალებს და, ნებსით თუ უნებლიეთ, გვინდა თუ არ გვინდა, სულ საზოგადოების მუდმივი „დაკვირვების" ქვეშაა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც პოლიტიკაშია, კახა კალაძე გაბრაზებული, წონასწორობიდან გამოსული არ მინახავს. ის გამორჩეული კეთილგანწყობით ეპყრობა ადამიანებს, მისი დამოკიდებულება ადამიანებთან სადა, უბრალო, უშუალო და გულწრფელია.

შეიძლება ბევრი რამ შეითვისო, ბევრი რამ ისწავლო, მაგრამ ადამიანების სიყვარულს ვერ ისწავლი, თუ ეს შენს სულში და ბუნებაში არ არის.

ადამიანების სიყვარულიც თანდაყოლილი ნიჭია, ისე, როგორც პოეზიის, მუსიკის, მხატვრობის ნიჭი.

ადამიანების სიყვარული ყველა ნიჭთაგან გამორჩეული, ყველაზე მაღალი, ყველაზე დიდებული ნიჭია, ღვთით ბოძებული მადლია.

კახა კალაძე ამ ნიჭით უხვად დაჯილდოებული კაცია და ამიტომაც უყვართ იგი გამორჩეული სიყვარულით თბილისელებს.

ნახეთ, როგორი სიყვარულით ხვდებიან მას მოქალაქეები – ახალგაზრდები, ასაკოვანი ადამიანები, მოზარდები.

ეს არ ჰგავს ამომრჩევლებისა და პოლიტიკოსის იმ უღიმღამო, მინი-სპექტაკლივით დადგმულ შეხვედრას, სადაც ორივე მხარე რაღაც სავალდებულო რიტუალს ასრულებს, ერთმანეთი კი ნაკლებად აინტერესებთ.

კახა კალაძე არა მარტო თავის მხარდამჭერებთან, არამედ ყველასთან, მათ შორის, მის მიმართ ხაზგასმული აგრესიულობით გამორჩეულ ოპონენტებთანაც კი ინარჩუნებს კეთილგანწყობას და ცდილობს, მათი აგრესია ხან იუმორით ჩააცხროს, ხან მშვიდად და წყნარად აუხსნას, რომ არასწორად იქცევიან.






მახსოვს, პროკაციების მოწყობაში დატრენინგებული ერთ-ერთი ჟურნალისტი ოპოზიციური ტელევიზიიდან თავგამოდებული ცდილობდა, „ჩამჭრელი" კითხვებით როგორმე კედელთან მიეყენებინა კალაძე და ავტომატის ჯერივით აყრიდა და აყრიდა კითხვებს რესპონდენტს.

როლში შეჭრილი ჟურნალისტი ვერა და ვერ ჩერდებოდა – თითქოს ისტერიკაში იყო ჩავარდნილი.

ბატონმა კახამ ისმინა, უსმინა და ბოლოს შეწუხებულმა, რაღაცნაირი თანაგრძნობით და სიბრალულით ჰკითხა: რა გჭირს, კაცო, შენ?

ეს ისეთნაირად იყო ნათქვამი, ჟურნალისტი, თითქოს ცივი წყალი გადაასხეს და უცებ გამოფხიზლდაო, ერთბაშად, მოსხეპით დადუმდა და ისე დამთავრდა ბრიფინგი, ხმა არ ამოუღია.

იქნებ, მხოლოდ ამ ჟურნალისტს კი არა, სხვა ჟურნალისტებსაც და, რაც მთავარია, მათ დამქოქავ ნაცებსაც ვკითხოთ: რა სჭირთ, ისეთი რა ლენცოფა ჭამეს, რომ სულ ძალადობაზე და ბოროტებაზე უჭირავთ თვალი?

ნაცებმა შვიდი არჩევნები წააგეს და უეჭველად მერვესაც წააგებენ, მაგრამ ვერა და ვერ მიხვდნენ, რა არის მათი მუდმივი მარცხის ნამდვილი მიზეზი.

რა არის და ის, რომ თვრამეტი წელიწადია, სიძულვილში, ბოღმაში, ბალღამში, ანგარიშსწორების, რისხვის და სისასტიკის რეჟიმში ცხოვრობენ და ამ საშინელი ავადმყოფობისგან ვერა და ვერ განიკურნენ.

უსიყვარულობის სენი სჭირთ ნაცებს, ეს კი ისეთი სენია, რომელიც, ერთხელ თუ გაგიჯდა სისხლში, ისე მოგშხამავს და ისე მოგწამლავს, ვერც კი მიხვდები, ადამიანიდან როგორ თანდათან და შეუმჩნევლად იქცევი ურჩხულად, ზომბად, მსვერპლზე დაგეშილ მხეცად.

– ჩვენ ვართ ახალი საქართველოს აღმშენებლები და დამფუძნებლები, გზები დავაგეთ, ხიდები ავაშენეთ, მრავალსართულიანი კორპუსები წამოვჭიმეთ, სახელმწიფო სტრუქტურები გავაძლიერეთ, ეს ვქენით, ის ვქენითო, – ბაქიბუქობენ ნაცები, მაგრამ ნულია ყოველივე ამის ფასი, როცა ამ საქმეების პარალელურად უდანაშაულო ადამიანებს ციხეებში ყრი, ადამიანებს აწამებ, ადამიანებს ქუჩაში ხოცავ, ადამიანებს აყაჩაღებ, ძარცვავ, აბულინგებ, ამცირებ, შეურაცხყოფას აყენებ, ღირსებას ულახავ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი არ გიყვარს და როცა ადამიანი არ გიყვარს, ვერც ნორმალურ სახელმწიფოს ააშენებ, ან, თუ ააშენებ, ააშენებ ისეთ მახინას, რომელიც შეიძლება გარედან ზიზილ-პიპილებით იყოს მორთული, მაგრამ შიგნით შეხვალ და ადამიანისთვის საცხოვრებლად უვარგისია.

„ნაცმოძრაობასა" და „ქართულ ოცნებას" შორის მთავარი განსხვავება სწორედ ადამიანების მიმართ დამოკიდებულებაშია.

ხელისუფლებათა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმი მხოლოდ იმით არ განისაზღვრება, ვინ მეტი გზა დააგო და ვინ მეტი ხიდი ააშენა (თუმცა ამ საზომითაც თუ მივუდგებით, „ქართულ ოცნებას" 3-ჯერ, 4-ჯერ მეტი აქვს გაკეთებული, ვიდრე „ნაცმოძრაობას"), არამედ იმით, როგორი იყო ადამიანების მიმართ დამოკიდებულება ამა თუ იმ ხელისუფლების დროს.

ნიკანორ მელია, რომელიც თა-

ვის თავს კალაძის მთავარ კონკურენტად მოიაზრებს, აუცილებლად დამარცხდება კახა კალაძესთან პაექრობაში და, პირველყოვლისა, დამარცხდება იმიტომ, რომ მისი პოლიტიკური ბიოგრაფიის ფესვები უსიყვარულობის, სიძულვილის, აგრესიის, კაცთმოძულეობის შხამიან ნიადაგშია გადგმული და იქიდან იკვებება.

სხვათა შორის, ამ რამდენიმე თვის წინათ იყო რაღაც მომენტი, მომენტის გაელვება, როცა ნაციონალებმა ტონალობა შეცვალეს და უცებ სათნოებაზე, მიმტევებლობაზე, ურთიერთპატივებაზე ალაპარაკდნენ, მაგრამ იმდენად უცხო აღმოჩნდა მათთვის ეს როლი, რომ ვერა და ვერ მოირგეს და ისევ ძველ ჰანგებზე გადაერთნენ.

ნიკანორ მელიამაც სცადა ამის გაკეთება, ხომ გახსოვთ, როგორი ცრემლჩამდგარი თვალებით იყურებოდა, როგორი დარბილებული ხმით გვესაუბრებოდა ტელეეკრანებიდან უცებ ღვთის გზაზე შემდგარი ნიკანორი, მაგრამ ვერც მან და ვერც „ნაცმოძრაობამ“ დიდხანს ვერ გაქაჩეს და კვლავ თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდნენ.

არსებობს იაპონური ველური თხა, სეროუ – გარედან რომ შეხედავ, ჩვეულებრივი თხაა, შიგნით კი მგელია.

ნაციონალი სეროუები ვერც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს და ვერც სხვა არჩევნებს ვერასოდეს მოიგებენ, რადგან ქართველი ამომრჩეველი დიდი ხანია, პეტელზე ცნობს ამ ჯიშის „თხებს“.

●

კახა კალაძე რომ უდავო ფავორიტია ამ არჩევნებში და ის აუცილებლად გაიმარჯვებს, მთელმა საქართველომ და მთელმა თბილისმა იცის. მათ შორის, იციან ეს არჩევნებში მონაწილე სხვა კანდიდატებმაც – მელიამ, გახარიამ, ბიბი-



ლაშვილმა, კეკენაძემ, ოგნუბუჯუმ, სხვებმა და სხვებმა.

ერთადერთი, ვინც ეს შეიძლება არ იცოდეს, ანა დოლიძეა, რომელმაც, მას შემდეგ, რაც ერთმა მოხუცმა კაცმა უთხრა: შენი იმედი გვაქვს, ანა, მთელი თბილისი შენ გიჭერს მხარსო, მტკიცედ დაიჯერა, რომ ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს და თბილისის მერი ის გახდება, თუ ვიღაც-ვიღაცებმა ხელი არ შეუშალეს.

მოკლედ, ეს ერთადერთი გამონაკლისი რომ არა, დანარჩენებმა, არ იმჩნევენ, თორემ ზუსტად იციან, რომ კახა კალაძე დიდი უპირატესობით მოიგებს ამ არჩევნებს. ამას ამტკიცებს როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების თუ საინფორმაციო საშუალებების მიერ ჩატარებული ყველა სოციოლოგიური კვლევა. თუმცა ამის დადგენას სოციოლოგიური კვლევებიც არ სჭირდება – გადით ქალაქში, მოუსმინეთ მოქალაქების შეფასებებს და დარწმუნდებით, რომ კახა კალაძეს თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა უჭერს მხარს და მას ყველაზე საუკეთესო მერად მიიჩნევს. ვინც კი ოდესმე თბილისს ჰყოლია.

სხვათა შორის, ერთი საინტერესო და საგულისხმო გარემოებაც იკვეთება ამ წინასაარჩევნო პერიოდში – არის კონტინგენტი ამომრჩევლებისა, რომლებიც დიდ სიმპათიებს არ ამჟღავნებენ „ქართული ოცნების“ მიმართ, მაგრამ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ხმა კალაძეს მისცენ, რადგან, მათი აზრით, ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რომელ პარტიას წარმოადგენს ესა თუ ის კანდიდატი, რამედ ის, რას წარმოადგენს თვითონ ეს ადამიანი.

ასეა თუ ისეა, ცხადზე ცხადია, რომ ამ არჩევნების შედეგები, ფაქტობროვად, წინასწარ არის ცნობილი და თბილისის მომავალი მერის ვინაობაც უკვე გარკვეულია.

არჩევნების მთავარი მოტივაცია და მთავარი ინტრიგა სწორედ ჯანსაღ კონკურენციაშია, ჯანსაღი კონკურენცია კი მხოლოდ მაშინ შეიძლება შედგეს, როცა არჩევნებში მეტ-ნაკლებად თანაბარი წონის ფიგურები მონაწილეობენ.

თბილისის მერის არჩევნებში ეს ბალანსი დარღვეულია – ერთ კანდიდატს, ცალკე აღებულს, უფრო მეტი რეიტინგი აქვს, ვიდრე ყველა დანარჩენს ერთად.

თითქოს ყველაფერი გარკვეულია, ყველაფერი დალაგებულია და თბილისის მერის არჩევნებმაც, წესით და რიგით, მშვიდ, ნორმალურ, მდორე ვითარებაში უნდა ჩაიაროს, მაგრამ პარადოქსული ის არის, რომ მშვიდი კი არა, ეს არჩევნები შეიძლება ძალიან დაძაბული და ვნებებით დამუხტული აღმოჩნდეს, მიუხედავად იმისა, რომ ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს, ისე, როგორც არანაირი რეალური საფუძველი არა აქვს ოპოზიციის ხმამაღალ განცხადებებს, რომ კახა კალაძესაც დაამარცხებენ და „ქართულ ოცნებასაც“.

ხომ საინტერესოა, როგორ უნდა მოახერხოს კახა კალაძის დამარცხება იმ ოპოზიციამ, რომლის კანდიდატთა ხმების საერთო რაოდენობა 40%-მდე ძლივს აღწევს?



მოდით, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი რამ – კახა კალაძემ პირველ ტურში ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა, დაინიშნა მეორე ტური, რომელშიც ნიკანორ მელიამ, ან, ვთქვათ, კეკენაძემ გაიმარჯვა.

მსგავსი რამ მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ თბილისის მერის არჩევნებში რაღაც ზებუნებრივი, კოსმიური ძალები ჩაერთვებიან, მოსახლეობას დააჰიპნოზებენ, დააზომბებენ და ტვინებს სხვა მიმართულებით გადაურთავენ.

მხოლოდ კოსმოსიდან მოსულ უცხოპლანეტელებს შეუძლიათ ამის გაკეთება, ადგილობრივი წარმოშობის უცხოპლანეტელები კი, „ნაცმოძრაობის“ და სხვა ოპოზიციური პარტიების სახით, ამდენს ნამდვილად ვერ გაქაჩავენ.

ის, რაც ახლა ირონიით და ხუმრობით ითქვა, სულაც არ არის სახუმარო თემა.

საქმე ის არის, რომ ბოლო წლებში ჩატარებულ ყველა არჩევნებს მუდმივ ლაიტმოტივად გასდევს გამარჯვებულთა მისამართით გამოთქმული აგრესიული პრეტენზიები და მკაცრი ბრალდებები, თითქოს არჩევნები გამარჯვებულის სასარგებლოდ გაყალბდა და ამ უსაფუძვლო ბრალდებების გასაქარწყლებლად არანაირი არგუმენტი არ ჭრის – გაყალბდა და მორჩა!

ასეთი ბრალდებები, დიდი ალბათობით, 2 ოქტომბრის შემდეგაც გაჟღერდება და „სიმართლის მაძიებელთა“ რისხვის მთავარი ობიექტი კახა კალაძეც გახდება, რომელიც 2 ოქტომბერს აუცილებლად წარმატებას მიაღწევს და მას ამისთვის არანაირი გაყალბება და სხვა აკრძალული მეთოდების გამოყენება არ დასჭირდება.

რა ქნას ასეთ შემთხვევაში კახა კალაძემ – თავზე ნაცარი დაიყაროს და დამსახურებულად, პატიოსნად მოპოვებული ხმები თავის კონკურენტებს აჩუქოს, რადგან მათ ასე სურთ?

სხვა მრავალ დანაშაულთა შორის, ერთ-ერთი სერიოზული დანაშაული, რომელიც ნაციონალებმა ჩაიდინეს, არის ის, რომ მათ დაამახინჯეს არჩევნების არსი, დაუკარგეს მას ცივილური ფორმა და არჩევნები გლადიატორების ბრძოლას დაამსგავსეს.

წლებია, ეს უმსგავსობა გრძელდება, წლებია, ნაციონალები ძალადობენ ქართველ ხალხზე და ძალის დემონსტრირებით, დესტაბილიზაციის მუქარით, შანტაჟით, პროვოკაციებით ცდილობენ გამარჯვების გამოძალვას და კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნებას.

დემოკრატიული თანამეგობრობა, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები და მეგობრები სწორედ ამ უმსგავსობის, ამ ძალადობის და უტიფრობის აღმოფხვრაში უნდა ეხმარებოდნენ საქართველოს, თუმცა, სამწუხაროდ, ყველაფერი ძველებურად რჩება დღემდე და არავინ იცის, რით და როგორ დამთავრდება დროში გაჭიმული ეს ძალადობა.

●

ვიღაც-ვიღაცებს ჰგონიათ, თბილისის მერის არჩევნები თბილისის მთავარი „პრარაბის“ არჩევნებია და თავიანთ პროგრამებში ძირითად აქცენტებს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ამახვილებენ.

არადა, თბილისის მერობა პოლიტიკური თანამდებობაა და, აქედან გამომდინარე, თბილისის მერი, პირველ რიგში, აუცილებლად უნდა იყოს გამოცდილი პოლიტიკოსი, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავის ავტორიტეტულ და წონიან სიტყვას ამბობს.

ამ კუთხითაც კახა კალაძეს თავის მეტოქეებში სერიოზული კონკურენტები არ ჰყავს.

ერთადერთი, ვინც შეიძლება პოლიტიკოსად ჩავთვალოთ, გიორგი გახარიაა, რომელმაც წლების განმავლობაში ნაგროვები პოლიტიკური კაპიტალი, თავისი პოლიტიკური წინდაუხედაობისა და ქარაფშუტობის წყალობით, ერთბაშად გაფლანდა და გაანიავა.

რაც შეეხება ნიკანორ მელიას, ის არც არასდროს ყოფილა პოლიტიკოსი.

მელია „ძველი ბიჭის“, „შტურმავიკის“ და ზონდერის ერთგვარი ჰიბრიდია, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მისი და მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული პარტიის დამარცხების შემდეგ, დიდი ალბათობით, პოლიტიკურ კარიერას „ნაცმოძრაობიდან“ დიდი გამოპანღურებით დაამთავრებს.

მერობის სხვა კანდიდატებს პოლიტიკასთან ახლოსაც არ გაუვლიათ, ასე რომ, კახა კალაძე ერთადერთი ადამიანია ამ არჩევნებში, რომელსაც, როგორც სამეურნეო, ასევე პოლიტიკური საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს.

მე არ ვიცი, რა იქნება მომავალში, არ ვიცი, ვინ გამოჩნდება ოთხი წლის შემდეგ, მაგრამ დღეს, მოცემულ სიტუაციაში, კახა კალაძე თბილისის მერობის საუკეთესო კანდიდატია და, ფაქტობრივად, შეუცვლელი ფიგურაა.

– შეუცვლელი ფიგურები არ არსებობენო, – კი თქვა ერთმა მისმა კოლეგამ კალაძის მისამართით, მაგრამ მცდარია ეს მოსაზრება – კონკრეტული დროისა და გარემოების მიხედვით, შეუცვლელი ფიგურებიც არსებობენ და ახლა, ამ ვითარებაში, დროის ამ მონაკვეთში, კახა კალაძე სწორედ რომ შეუცვლელია.

ვისაც მხოლოდ თავისი თავი არ უყვარს პოლიტიკაში და მხოლოდ საკუთარი ეგოისტური ინტერესები არ ამოძრავებს, აუცილებლად დაეთანხმება იმ აზრს, რომ თბილისისთვის, თბილისის მოსახლეობისთვის და მთელი საქართველოსთვისაც თბილისის მერად კახა კალაძის არჩევა უაღრესად საჭირო და ქვეყნისთვის ბევრი სიკეთის მომტანი გადაწყვეტილებაა.

კახა კალაძეს თანამოაზრეთა შესანიშნავი გუნდი ჰყავს, რომელმაც ამ ოთხი წლის განმავლობაში თავდადებით იშრომა, რომ თბილისი დღეს ასეთი ლამაზი და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული ქალაქი ყოფილიყო.

ამ ახალგაზრდული გუნდიდან განსაკუთრებით გამოვყოფ გიორგი ტყემალაძეს, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, ამჟამად ვაკის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატს.

უაღრესად ყურადღებიანი, თავმდაბალი, მაგრამ, იმავე დროს, პრინციპული და თბილისზე და თბილისელებზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცია გიორგი ტყემალაძე, რომლის თავკაცობითაც თბილისის საკრებულო ქალაქის პრობლემებზე, მისი განვითარების პერსპექტივებზე და ახალ, ინოვაციურ იდეებსა და ინიციატივებზე ორიენტირებულ ორგანოდ იქცა.

კახა კალაძემ და მისმა გუნდმა ქალაქის განვითარების უაღრესად მრავალპროფილიანი პროგრამა წარმოადგინა, რომელშიც ასახულია ყველა დარგი, ყველა სფერო, ყველა მიმართულება, რომელთა განხორციელება და რეალობად ქცევა საქართველოს დედაქალაქს ახალ სიცოცხლეს შესძენს.

რაც მთავარია, ამ პროგრამა-პლატფორმას საფუძვლად უდევს დიდი სიყვარული თბილისისა და თბილისელებისადმი, ხოლო იქ, სადაც სიყვარულია, ყველა სიძნელე დაიძლევა, ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერი კარგად იქნება.

# 2 ოქტომბერი – მავნებლების და მოღალატეების ბოლო დღე

## ირაკლი ღარიბაშვილი – არჩევნების შემდეგ ყველა მტერსა და მოღალატეს საკადრის პასუხს გავცემთ!



14 სექტემბერს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხაშურში ყოფნისას კიდევ ერთხელ თქვა ისეთი რამ, რაზეც „ნაციონალებმა“ და მათთან მკვეთრად გათანაბრებულმა პირებმა კრიახი ატეხეს: უი, ეს რეებსა ლაპარაკობს, არჩევნების შემდეგ დიქტატურის დამყარებას და ჩვენს დასჯას აპირებსო? აბა, ეს რას ნიშნავსო? სიტყვის თავისუფლებას ემუქრებაო?!

პრემიერმა განაცხადა, ჩვენ „ნაციონალების“ სახით საქმე გვაქვს ანტისახელმწიფოებრივ ძალასთან, რომელიც ჩაგრავდა მოსახლეობას, ებრძოდა საკუთარ ხალხს და ქვეყანასო.

„მეცხრე წელია, ჩვენი ხალხი უძლებს იმ სიბინძურეს, რაც მათი ტელევიზიებიდან მოდის. ეს არის ქართველი ხალხის, სახელმწიფოს, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა, ბრძოლა. ისინი 2 ოქტომბერს კიდევ ერთხელ დამარცხდებიან, არჩევნების შემდეგ ყველა მოღალატეს და მტერს საკადრის პასუხს გავცემთ“.

არის აქ რამე გაუგებარი?







თამარ დედოფლის ორდენის კავალრები

არის აქ რამე მიუღებელი? როგორ, მოღალატეს და მტერს საკადრისი პასუხი არ უნდა გავცეთ? არაო, აათამაშა ინგა გრიგოლიამ მუსკულები ტატამზე გასული ძიუდოისტივით, გაშალა მკლავები სამკალში გასული კომბაინის ტარაბუასავით. ენა? ოჰ, ენა კი გადაიგდო მხარზე კავკასიური ნაგაზივით. მისმა წვეტიანმა ხმამ გაჰკვეთა ატმოსფერო და ეკრანზე გამოჩნდა თეთრი ბოლი ზოლად: ხედავთ, ხალხო, რას აპირებს ირაკლი ღარიბაშვილი არჩევნების შემდეგო? ყველა უნდა დაგვიჭიროსო, გაგვაციმბიროსო, გადაგვასახლოსო, სიტყვის თავისუფლება შეგვიზღუდოსო, დემოკრატია ჩააზშოსო.

და ბოლოს... მიიღო პირდაპირ ეთერში „დადგენილება“ ფაფარაშლილმა ინგა გრიგოლიამ: “მე, როგორც ჟურნალისტი, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს ხელისუფლება შეიცვალოს”!

გაიგონეთ?

ის, როგორც ჟურნალისტი, ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს ხელისუფლება შეიცვალოს. უკაცრავად, მაგრამ ვისით უნდა შეიცვალოს? მავნებლებით, მოღალატეებით, უვიცებით, ავანიურისტებით და ჩლუნგებით? კოკაინზე შემომჯდარი სააკაშვილით? იქნებ ხაზარაძეებით და გვარგადაკეთებული წერეთლებით?

ვინ არის ჟჟჟჟუუურრრნალისტი გრიგოლია, რის ტრაკი აქვს? არც არაფრის, ერთი ავანტიურისტი დედაკაცია, რომელიც ყველაფერზე მიდის და რაც მთავარია, აზროვნებაშიც კაი გვარიანად ჭედავს.

ერთ „საიდუმლოს“ გაგიმხელთ: მე პირადად ადამიანს არ ვთვლი ჟურნალისტად, რომელიც ყოველ 10 წუთში ამტკიცებს, რომ ის არის ჟურნალისტი; ასევე, ადამიანს არ ვთვლი ჟურნალისტად, რომლის თავშიც გრამატიკული კოლაფსია – არ იცის სინტაქსი, არ იცის მორფოლოგია, არ იცის სასვენი ნიშნების გამოყენება; ასევე, არ ვთვლი ადამიანს ჟურნალისტად, რომელსაც აშკარად ეტყობა უწიგნურობა. ინგა გრიგოლია ერთ-ერთი მათგანია, ერთ-ერთი ყოჩი ჟჟჟუურრრნალისტია, რომელსაც ჩამოთვლილ საკითხთაგან ყველა „აკვდება“ (აი, ეს „აკვდება“ ბოლო დროის ტერმინი გახლავთ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში).

იცით, რა მახსენდება ხოლმე ხშირად? საქართველოს მოსახლეობის ნორმალურმა ნაწილმა რომ შემოსძახა, გარეჯი საქართველოაო და ამან კიდე, ამ გრიგოლიამ სულ თავისი კოტიტა თითები გვიტრიალა პირდაპირ ეთერში, რას ჰქვია, გარეჯი საქართველოაო? თან გათახსირებული (ციხიდან გამოთრეული) ივერი მელაშვილი მიიყვანა სტუდიაში და მუხლები დაუკოცნა, მეამაყებით, გმირი ხართ, მოდით, საქვეყნოდ განაცხადეთ, რა ხდება და რანაირად ხდება, გარეჯი ხომ აზერბაიჯანს ეკუთვნისო. ამან, ამ გაიძვერა მზომელმა ჩააზველა და „განგვანათლა“, იცით... გარეჯი კი არის ჩვენი, მაგრამ აქ არის პრობლემა – შენია, მაგრამ არ არი შენი... აი, როცა შენია და არ არი შენი, რანაირად გამოდის შენი? სადღაც მართალია ეს ტიპი, როცა შენია, მაგრამ არ არის შენი, რანაირად არის შენი? აი, ამაშია საქმე!

სხვათა შორის, ინგა გრიგოლიას და სტუდიაში მყოფ „პატრიოტებს“ ისე მოეწონათ მელაშვილის პასუხი, ფეხზე წამოუდგნენ და ტაშითაც დააჯილდოვეს.

ჯილდოზე გამახსენდა... შეიძლება არ დაიჯეროთ, ინგა გრიგოლია, რომელიც პრინციპულად გვიპირებს გადატრიალებას, 2013 წელს დაჯილდოებულია თამარ მეფის ორდენით.

თამარ მეფის ორდენი – ეს არის საქართველოს სახელმწიფო ორდენი, რომლითაც ჯილდოვდებიან ქალები ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისთვის, გამორჩეული სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. დამტკიცებულია 2009 წლის 31 ივლისის საქართველოს პარლამენტის N1553 დადგენილებით.

ახლა კი მოემზადეთ, სიცილის დროა... გთხოვთ, თუ ახლა რამეს ჭამთ ან სვამთ, გადადეთ, რათა სიცილ-ხითხითის დროს არ გადაგცდეთ... თამარ მეფის ორდენით 2013 წელს დაჯილდოვდნენ: ინგა გრიგოლიას გარდა, ეკა კვესიტაძე, მაია ასათიანი, ნანა (ნანუკა) ჟორჟოლიანი, ხატია ბუნიათიშვილი.

გაიგონეთ, ხალხნო და ჯამაათნო? აი, რატომ გვიქნევენ თითებს და გვიპარჭყავენ ხელებს, რატომ გვითამაშებენ მუსკულებს პირდაპირ ეთერში ეს ქალები. ჰმ, რატომაც არა? მაგალითად, ინგა გრიგოლიამ, რომელიც თამარ მეფის ორდენოსანი გახლავთ, რატომ არ უნდა დაალაგოს ქვეყანა თავისებურად? რატომ არ უნდა გაუსწოროს ირაკლი ღარიბაშვილს გამონათქვამები, თუ საჭირო იქნება, გადააყენოს კიდევაც?

ინგა გრიგოლია იძახის, ეგრეაო და ჩვენ, რიგით მოკვდავებს რა უფლება გვაქვს, არ დავუჯეროთ? ვაი, ჩვენს პატრონს, ასეთი უწიგნურ-უკითხავ-უნამუსოები რომ გვიდგენენ, ხელისუფლებიდან ვინ უნდა წავიდეს, ხელისუფლებაში ვინ უნდა და საერთოდ, რომელ ნოტაზე უნდა ვიცხოვროთ. სასაცილოა პირდაპირ!

რა თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა ისეთი, რამაც ასერიგად გააცოფა ე.წ. ქართული მედიის ამორტიზებული მენეჯერები? ასევე, ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და გრიგოლ გეგელიას მსგავსი პოლიტიკოსები? აღარაფერს ვამბობ დანარჩენ მოდებილო ელემენტებზე. რა, სახელმწიფომ, ქვეყანამ, ხელისუფლებამ პასუხი არ უნდა გასცეს მტრებსა და მავნებლებს? რა, ამ სახელმწიფოში არ არის სასწრაფო წესით მისაღები კანონი პრესისა და ელექტრონული მედიის შესახებ? რასაც ე.წ. საინფორმაციო საშუალებებს ამოფარებული მოღალატეები სჩადიან, ეს არ უნდა აილაგმოს? დაიწყებენ, დემოკრატია საფრთხეშიაო, ეს არ გახლავთ დემოკრატია, ეს არის „ჩემოკრატია“, რომელსაც მავნებლები იყენებენ სახელმწიფოს წინააღმდეგ. როგორ შეიძლება, ქვეყანაში არსებობდეს ძებნილებისა თუ მისჯილების მიერ დაარსებული ე.წ. ტელევიზიები? აგერ, გუშინ და გუშინწინ დავით კეზერაშვილს რამდენიმე საქმეზე სასჯელი გამოუტანეს, დაუსწრებლად გაასამართლეს და მისი ტელევიზია სხვის არარსებულ დანაშაულზე მელაპარაკება.

ის კანონიც შესაცვლელია, სიტყვისა და სიგიჟის გამოხატვის თავისუფლება რომ ჰქვია, ამ ქვეყანაში თავისუფლება სულ სხვანაირად გაიგეს, ამათი ჭკუით, თავისუფლება ის არის, ადამიანებს სახლებში რომ უვარდებიან. ამათ ჰგონიათ, კეზერას, ჭუტას და „მავნეს“ მიერ ყალბად დამზადებული მოწმობა, სადაც წერია „ჟურნალისტი“, ყველგან შესვლისა და ჭიდაობის უფლებას იძლევა. რატომღაც მკლავებაკეცილმა გრიგოლიამ და მისთანებმა დაამკვიდრეს, თითქოს ე.წ. ჟურნალისტს უფლება აქვს, ნებისმიერს მიაყენოს შეურაცხყოფა. ეგრე სად არი? ერთხელაც გაგიდებენ ბაირამ-დუდუკში და მერე დაიწყებ ღნავილს, უფლებები შემილახესო. უფლებები არა, ვირის თავ-ფეხი.

სიმართლეს ღაღადებს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, დადგა დრო, ქვეყანაში ამოქმედებული ტერორისტული ორგანიზაციები შევაჩეროთ და მოსახლეობა ნორმალურ ყოფას დავუბრუნოთ. როგორც ჩანს, ეს ვერ მოხდება მავნებელთა და მოღალატეთა ალაგმვის გარეშე.







„ტელევიზიონშჩიკები“

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# მეგისის დაცემა აეროპორტში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამა წლის 21 აგვისტოს ოფიციალური ვიზიტით უკრაინას ეწვია. პრეზიდენტ ზელენსკისთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ სერიული მკვლელი, ცნობილი ჯალათი მეგის ქარდავა, რომელიც თავს უკრაინას აფარებდა, საქართველოს გადმოეცემოდა.

მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილს მეგის ქარდავაზე „მზრუნველობა“ აღარ გამოუვიდა, ეგრევე უარყო:

„მეგის ქარდავა ვინ არის, ვიცი ტელევიზიით. ცხოვრებაში ამ ადამიანს არ შევხვედრივარ. მეგისი – უცნაური სახელია, ხომ? მე ნამდვილად არ ვიცნობ ამ პიროვნებას და არც ის ვიცი, უკრაინასთან რა კავშირშია“.

ადამიანს, რომელიც 2006 წელს



იყო მე-7 საპყრობილის დირექტორი, 2007–2009 წლებში სინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილე (!!!), 2009–2012 წლებში – სამხედრო პოლიციის უფროსი, მიხეილ სააკაშვილი არ იცნობდა? იცნობდა კი არა, ის გახლდათ მისი აჩრდილი, ის ასრულებდა ყველა ბნელ და ბინძურ საქმეს, რასაც კი დაავალებდნენ – თუ უბრძანებდნენ, ზოგს აწამებდა, ზოგს კლავდა, ზოგს ტყ... ნავდა (ოღონდ ნამდვილად!).

რომ არა მიხეილ სააკაშვილი და მისი სადისტური ბუნება, მისი ავადმყოფური მოთხოვნილებები, მისი არაადამიანური გადახრები, მისი ფსიქიატრიული პრობლემები და ჩვენი ქვეყნის ჩათრევა მორიგ ავანტიურაში, ალბათ ბევრი ახალგაზრდა (ვინც მის ხელქვეითად მუშაობდა) გადაურჩებოდა არა მხოლოდ სასჯელს, არამედ ჯალათის სახელსაც. ისინიც ერთ დროს ჩვეულებრივი ბიჭები იქნებოდნენ, სამეგრელოში გაიზარდნენ, სოფელში, იქნებ კარგი მეურნეებიც გამოსულიყვნენ? იქნებ თოხი იყო მათი ბედი და არა ავტომატი და „დუბინკა“? იქნებ ფერმაში რძე უნდა დაეღვარათ ძროხების წველისას და არა სისხლი ამ პატიოსან დედამიწაზე?!

სააკაშვილმა გაეროს კანტორას გამოაცემინა რაღაც სარეკომენდაციო წერილი, სადაც ეწერა: აისერიო, მისერიო, თუ შეიძლება, უკრაინიდან საქართველოში ჯალათის გადაგზავნა 3 თვით შეაჩერეთ, მაგის საქციელზე ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობასო. ექსტრადიციის საკითხი თითქოს რამდენიმე დღით შეყოვნდა, „ნაცებმა“ და მათთან გათანაბრებულმა პირებმა ეგრევე დასცეს ყიჟინა, მიხოს ავტორიტეტმა გაჭრა, მთელი მსოფლიო ფეხზე დააყენა, მეგისი არ გადმოაცემინა, ეხლა რაღას იტყვით ქოცებოვო? ყველაზე მეტად უდღეური თეა თუთბერიძე აქტიურობდა, რომელიც ახალაიების ზეობის პერიოდში ბნელ და საეჭვო თემებს „აპრავებდა“, ძირითადად ციხეებში დაწანწალებდა და სისხლის კვალს შლიდა. იცის სააკაშვილმა (თუთბერიძეებმაც იციან), რომ მეგის ქარდავას ჩამოყვანა საქართველოში ნიშნავს მისი „მიზნებისა და ამოცანების“ საბოლოო განადგურებას – მეგისმა ბევრი იცის, მეგისს სამხილებიც აქვს, მტკიცებულებებიც. როდესაც ის უკრაინაში ყალბი პასპორტის გამო დააკავეს, მაშინ თქვა, აქედან გამომიხსენით, თორემ გუდას თავს მოვხსნიო. გამოიხსნეს, კამერიდან შინაპატიმრობაში გადაიყვანეს, რაც ფაქტობრივად არაფერია. ის კი არა, ბოლო თვეებში პოლიტიკურ თავშესაფარსაც უჩალიჩებდნენ, მაგრამ ვეღარ გაჭრა ბოლომდე მიხეილ სააკაშვილის „ავტორიტეტმა“, ვეღარ იმოქმედა ნიუ-იორკიდან გაკეთებულმა ყალბმა განცხადებებმა – ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივითა და მონდომებით სამართალი აღსრულდა!

სხვათა შორის, სააკაშვილს ხშირად აქვს ხოლმე თვითგამოთაყვანების პერიოდი (ისედაც გამოთაყვანებულია, მაგრამ თვითშემოქმედებითი გამოსირებულობა მაინც სხვა რამეა), თავის დროზე დათა ახალაიაზე თქვა, არ ვიცნობ, არც გამიგიაო. დათას ძმაზე, ბაჩო ახალაიაზე არ უთქვამს, არ ვიცნობო, მაგრამ არც მასთან ახლობლობაზე დასცდენია ორიოდ სიტყვა.

არ ვიცნობო, ამბობს ყოფილი პრეზიდენტი, როცა თითქმის ყველა ავაზაკი ორ-ორჯერ მაინც ჰყავს დაჯილდოებული, მათ შორის ავადმყოფი ქარდავა!

2010 წელს ვახტანგ გორგასლის ორდენი უბოძებია, 2012 წელს – ღირსებისა და რა დამსახურებისთვის? უსაფრთხოებისა და კონსტიტუციური წყობილების დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის. როგორც ორდენების „განკარგულებაში“ წერია, მეგის ქარდავას ჯილდოები სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, მაღალი პროფესიონალიზმისა და ღირსეული სამსახურისთვის გადაეცა.




დიახ, ასე აჯილდოებდა სააკაშვილი თავის ბნელ ხელქვეითს, რომელსაც ახლა სამართალი ადანაშაულებს სერგო თეთრაძის და გიორგი ჩიკვატიას წამებაში, მისჯილი აქვს 9 წელიწადი. შემდეგ მოდის კასრების საქმე (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობა) მისჯილი აქვს 9 წელიწადი. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმე (წამება), მისჯილი აქვს 7 წელი და 6 თვე.

ციხის ბუნტის საქმე (დამამცირებელი მოპყრობა) – 3 წელი და 9 თვე. ბელა როგავას საქმე (დამამცირებელი მოპყრობა) – 3 წელი და 9 თვე.

მიმდინარე საქმეები: ელბერდ კობერიძის წამება, რომან დუმბაძის მკვლელობა, ელდარ ქობალიას, მერაბ ყოლბაიას და კობა მატკავას წამება, მალხაზ არქანიას წამება, სერგო თეთრაძის საქმეში გაფლანგვის ეპიზოდი.

მეგის ქარდავა სააკაშვილის ხელისუფლებაში პირველივე დღეებიდან გამოჩნდა (2003 წელს), ძმებმა ახალაიებმა მიიყვანეს და თავიანთ „სასტავში“ ჩაწერეს, როგორც საიმედო არსება (ადამიანს ვერ იტყვით). სადაც ბაჩო ახალაია მუშაობდა, ესეც იქ გადადიოდა, გადაჰყავდა და დიდ პატივშიც ჰყავდა. სხვათა შორის, განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნები იმ ვიდეოშიც კარგად ჩანს, მეგის ქარდავას ქორწილი რომ არის აღნუსხული. მართალია, ჩვენი სასიქადულო მომღერლები ამბობენ, მეგისი ვინ არის, პირველად გვესმის, არასდროს გაგვიგონიაო, მაგრამ არქივს ვერაფერს უზამენ, არქივი ყველაფერს იტევს და იტანს, ის არ წითლდება. პრინციპში, მხოლოდ არქივი? არც ესენი წითლდებიან, არც ამათ აწუხებთ სინდისი და ნამუსი. ისე, რაღა დაგიმალოთ და შეიძლება არც კი ტყუიან... სააკაშვილი და ახალაიები მერაბ სეფაშვილს ვის ქორწილში ამღერებდნენ, ყველას ხომ ვერ დაიმახსოვრებდა?

მეგის ქარდავას იმედი ჰქონდა, რომ სააკაშვილი უკრაინაში თავშესაფარს გაუჩალიჩებდა, მაგრამ მოტყუვდა, ის ზუსტად იმ დაწესებულებაში შეაბრძანეს, სადაც უამრავი პატიმარი უწამებია და გაუუპატიურებია.



როგორც გურამ შარაძის ქალიშვილი რუსუდან შარაძე აცხადებს, მეგის ქარდავას ასევე „წვლილი“ მიუძღვის მამამისის მკვლელობაშიც, ის იყო ზედამხედველი:

„ამას მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით ვამბობ. მოწმესაც ხომ გააჩნია? თავად ახალაიას და ქარდავას მარჯვენა ხელი ლაპარაკობს ამას. მისი თქმით, მამაჩემის მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე ზუგდიდში მეგის ქარდავამ დაიბარა და დაავალა, თბილისში მანქანით წაეყვანა ორი სპეცრაზმელი – თემურ ჯგერენაია და გია ფაჩულია იმ მიზნით, რომ მოეკ-



ლათ გურამ შარაძე. თბილისში დახვდებოდათ გია დგებუაძე, იგივე „მასტერა“ და მკვლელობის დეტალურ გეგმას გააცნობდა. მეგის ქარდავამ მოწმეს გადასცა იარაღი და ხუთი ათასი ლარი პრემია. მოწმემ, რომელიც იქამდე არაფერზე ამბობდა უარს, გადაწყვიტა, არ შეესრულებინა დავალება და ავადმყოფობა მოიმიზეზა. მიუხვდნენ და პასუხად, სამეგრელოს მაშინდელმა გუბერნატორმა, თენგიზ გუნავამ სცემა, მერე დაიჭირეს, სწორედ, იმ იარაღის უკანონოდ შენახვის გამო, რომელიც თავად მისცა ქარდავამ, ფულიც ჩამოართვეს, ციხეში გაუშვეს. დავალებიდან ერთ კვირაში გურამ შარაძე მოკლეს“.

თქვენ წარმოიდგინეთ, მიუხედავად ამდენი დამტკიცებული დანაშაულისა, ქარდავა თავს მაინც უდანაშაულოდ მიიჩნევს (არ გაგიკვირდეთ, სააკაშვილის მოწაფეა): მე პირადად არ გამიკვირდება, თუკი ხვალ მეგის ქარდავა განაცხადებს, ჩემი პროდასავლური იდეებისა და მიზნების გამო მებრძვიან, სწორედ ამიტომ დამაპატიმრეს, ბიძინა ივანიშვილის პირადი პატიმარი გახლავართო. არც ის გაგიკვირდეთ, ევროპარლამენტარი კუბილიუსი რომ გამოვიდეს და თქვას, მეგისის გამოხედვაში აშკარად იგრძნობა ღრმად ევროპული ტრადიციები, დღევანდელობა და მომავალიო.

მეგის ქარდავამ დაწერა: „წლებია, რაც ჩემს თანამებრძოლებთან ერთად პოლიტიკურად ვიდევნები 2012-ის რუსული ჰიბრიდული კონტრ-რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსული პუტინის ოლიგარქის ხელისუფლების მიერო.

აჰა, ხომ გეუბნებოდით, ასე იზამს-მეთქი? ქალბატონ ვიოლა კრამონს ჯერ საგანგებო განცხადება არ გაუკეთებია? გააკეთებს, არ ინერვიულოთ. კუბილიუსიც მალე გამოეხმაურება ამ ამბავს. უბრალოდ აქ ერთი პრობლემაა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ცდილობენ, მეგის ქარდავას ექსტარდირების საქმე არ შეიმჩნიონ. არც მათი ე.წ. ტელევიზიები აშუქებენ, საერთოდ არ ახსენებენ. ასეთია მათი „დამოუკიდებელი“ პოლიტიკა.

გიგი უგულავამ განაცხადა, ქარდავას არ ვიცნობ და ვნანობ, სანამ ძალაუფლება მქონდა, ასეთები არ გავაქრეო. როგორც იტყვიან, ესეც ემიჯნება, ეს ვირეშმაკა. აშკარად შეეტყო თბილისის ყოფილ „უმფროსს“ უგუნებობა, არც



ამას აწყობდა ჯალათის ჩამოყვანა, რას დაწერს და რას ილაპარაკებს, ვინ იცის? წესით, ბევრს უნდა აეწვას კუდი!

მეგისმა ფეხი დადგა თუ არა ქართულ მიწაზე, მუხლებზე დაეცა და ემთხვია.

თუმცა!

ქართულ მიწას ჯალათთა ცრემლების აღარ სჯერა, ის უნდა დაისაჯოს სამუდამო პატიმრობით. იმის ნაცვლად, რომ მოინანიოს, უკვე აცხადებს, პოლიტპატიმარი გახლავართო.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# პარადოქსია, მაგრამ ფაქტია - ხელისუფლება წინასაარჩევნო პროცესშია, ოპოზიცია წინასარევოლუციოში

## ან ნაცები უნდა მოვაშოროთ პოლიტიკას ან სახელმწიფო ჩამოგვეშლება



*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ. პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, წინასაარჩევნო კამპანიას ნაცები ბინძური მეთოდებით აგრძელებენ. გვარამიამ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატები სუსის აგენტებად შერაცხა. პარალელურად, ტელევიზიებმა სუსის მიყურადების ფაილები გამოაქვეყნეს. ეს ყოველივე რას ემსახურება?**

— საკმაოდ მძიმე პოლიტიკური გარემოა. სამწუხაროდ, გვერდს ვერ აუვლით იმას, რომ ეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღიდანვე გატარებული არასწორი პოლიტიკის შედეგია. დიახ, ეს გახლავთ კოაბიტაციის, სამართლიანობის არაღდგენის შედეგი და ა.შ. „ქართული ოცნების“ მხრიდან შეცდომა იყო ის, რომ „ნაცმოძრაობა“ არ დასაჯა, რაც, ფაქტობრივად, ყველა არჩევნების წინ და სხვა კრიტიკულ სიტუაციებში შესაბამის ნაყოფს გვაძლევს. კოაბიტაციის გამოცხადების მერე, ქვეყანა, მუდმივად, რღვევის, საფრთხის, ჩამოშლის წინაშეა. ამ ფონზე, ყოველ შეტევაზე ახალი შეფასებების გაკეთება გვიწევს. მთავარი შეფასება შემდეგია: სანამ ქვეყანაში სამართლიანობა არ აღდგება — „ნაცმოძრაობა“ არ გასამართლდება და მას პოლიტიკური საქმიანობის უფლება არ ჩამოერთმევა, მანამ ქვეყანას განვითარება და წინსვლა არ უწერია. ამაში, უკვე, დავრწმუნდი. პროცესები რაც ახლა მიმდინარეობს გახლავთ წინასარევოლუციო და არა წინასაარჩევნო. ხელისუფლება წინასაარჩევნო პროცესშია, ხოლო ოპოზიცია — წინასარევოლუციოში. როცა ქვეყანაში ასეთი რეალობაა, როგორ იქნება სიმშვიდე ან განვითარების იმედი. ერთი მხრივ, სახეზეა ჯანსაღი საარჩევნო კამპანია, მეორე მხრივ, ტელევიზიით გასული ფარული ჩანაწერები, მოსმენები, ხალხის გაგიჟება, გაღიზიანება, რათა როგორმე, ქუჩაში გამოიყვანონ და რევოლუცია მოახდინონ. აი, ეს რეალობა გვაქვს.



**— სააკაშვილი საარჩევნოდ ქვეყანაში დაბრუნებას დაგვპირდა. როგორ ფიქრობთ, რა მიზანი აქვს?**

— სააკაშვილის დაბრუნება, სწორედ, რევოლუციურ სცენარს უკავშირდება, რომ მუხტი უფრო მეტად ასწიონ, ქვეყანაში ვითარება დაძაბონ, რათა ხელისუფლება როგორმე, ჩამოშალონ და დაამხონ. საბედნიეროდ, გვიმართლებს იმაში, რომ სააკაშვილი მშიშარა, მხდალი პოლიტიკოსია. ის საკუთარ სიცოცხლეს და კეთილდღეობას სასწორზე ვერ დებს.

ნაციონალები არიან ნეობოლშევიკები, ვგულისხმობ, „ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტ ტელევიზიებს, რომლებმაც ჟურნალისტები დაირქვეს, რეალურად კი, „ნაცმოძრაობის“ ზონდერები არიან. ნაცები ბოლშევიკური მეთოდებით, იარლიყების მიწებებით, სიცრუის ტირაჟირებით, ადამიანებზე ტალახის შესხმით იბრძვიან, რათა შემდგომ, მათ მიერ ტალახში გასვრილი ხალხის აზრს, საზოგადოებაში, ფასი დაუკარგონ და ქვეყანაში დომინანტი მხოლოდ მათი — ბოლშევიკების თუ კომკავშირლების აზრი იყოს. ამას ემსახურება ნაცების პოლიტიკა. დიახ, ეს გახლავთ ბოლშევიკური მეთოდები. ისინი ჩამოყალიბებული ნეობოლშევიკები არიან, რომლებიც ანგრევენ ქვეყანას, ეკონომიკას და საერთოდ, ხრწნიან საზოგადოებას. მათ კიდევ ერთი მისია აქვთ შესასრულებელი — როგორმე გარდაქმნან, გადააგვარონ, გადააჯიშონ ქართველი და მიიღონ მონსტრი, როგორიც თავად სურთ — მართვადი, მონა ადამიანები, განსხვავებული აზრის მიმართ აგრესიულნი და რაც მთავარია, ქვეყნისადმი სიძულვილით აღსავსე. აი, ეს პოლიტიკა ტარდება. **თუ „ქართული ოცნება“ პოლიტიკას არ შეცვლის და პრინციპული არ გახდება, მაშინ ქვეყანას არაფერი ეშველება და შედეგიც სავალალო დადგება.** ასეთ ბოროტებას კანონი, სამართალი თუ არ დაუპირისპირე, ბოროტი ძალა გაიმარჯვებს. რა მნიშვნელობა აქვს დაყვავებით გაიმარჯვებს თუ რევოლუციით. მთავარია, ძალაუფლება ასეთ საშიშ ძალას ხელთ არ ჩაუგდო. ამის იარაღი არის კანონი, ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული ძლიერი ხელისუფლება და არა დასავლეთი, აღმოსავლეთი რას იტყვის, ამის შემყურე. რას იტყვის ქართველი ხალხი — აი, ეს უნდა იყოს ამოსავალი და არა ევროსაბჭოდან, თეთრი სახლიდან, ცისფერი სახლიდან რა გზავნილი მოვა. მიხედე შენს ქვეყანას, ერს, უსმინე შენს ხალხს, წინაპრებს და გადადგი ნაბიჯები მომავლისაკენ.

**— ქალბატონო ნანა, სუსის მიყურადების ფაილები, ძირითადად, ეპისკოპოსებზე, მღვდლებზე, თვით პატრიარქზეც კი გავრცელდა. ეს მიზანმიმართული დისკრედიტაციაა?**

— ეს, პირდაპირ, ხალხის უფლებების შელახვა, სახელმწიფოებრიობის ნგრევაა. მართლმადიდებლურ ეკლესიას დაარტყეს. ანუ, ფაილების გამოქვეყნება დაიწყეს ყველაზე სათუთი, გასაფრთხილებელი ინსტიტუტის წინააღმდეგ. პირდაპირ, ეკლესიის დისკრედიტაციით დაიწყეს თავიანთი შეთითხნილი ფეიკ-ფაილების გამოქვეყნება. თან, ამას აკეთებენ არა ეკლესიის მტრობის სახელით, როგორც აქამდე, არამედ როგორც კეთილმოსურნეები. მეუფეებს ეუბნებიან: რუსეთის აგენტებო, თქვენ, სუსი გისმენთო. ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობის ახალი ფორმა მოიგონეს — ვითომ, გული შესტკივათ ასეთი რამ რომ „აღმოაჩინეს“. ეკლესია ჩვენი ეროვნულობის იდენტურობაა. აი, ამას ხელყოფენ, ანგრევენ. ხელისუფლება რას აკეთებს? — დგას და უსმენს ნაცვლად იმისა, რომ კანონით გათვალისწინებული ნაბიჯები გადადგას. პირადი ცხოვრების ამსახველი შინაარსის ვიდეო თუ აუდიო მასალის გამოქვეყნება კანონით დასჯადია. პირადი ცხოვრება მხოლოდ სექსუალური კადრები არ გახლავთ, არამედ ნებისმიერი პირადი საუბარი, რისი მოსმენაც სასამართლოს მიერ დაკანონებული არ არის და მაინც ისმინება. გვარამია გვამშვიდებს: ჩვენ, სექსუალურ კადრებს არ გამოვფენთო.ე.ი. ტელევიზიებში ასეთი კადრები არსებობს, ხომ. რატომ არ ჩატარდა ჩხრეკა? ეს მასალები არ უნდა ამოეღოთ?



„მთავარს“ კანონით ამის შენახვის უფლება არ აქვს. წესით, ეს ფაილები პროკურატურას უნდა გადასცენ. მაგრამ როცა ინახავენ და არ იცი როდის გამოიყენებენ, ამით ხომ მთელ საზოგადოებას აშანტაჟებენ?! ეს ცალსახად დანაშაულზე ხელის დაფარებაა.

**— თვითმმართველობის არჩევნებს რეფერენდუმი დაარქვეს. როგორც შარშან, ახლაც, 3 ოქტომბრისთვის ემზადებიან?**

— რა თქმა უნდა, სცენარი იგივეა. მნიშვნელობა არ აქვს რეფერენდუმს დაარქმევენ თუ თვითმმართველობის არჩევნებს. საყურადღებო შემდეგია: ყველა არჩევნები, ოპოზიციის მხრიდან, ქვეყანას რევოლუციის, გადატრიალების საფრთხის ქვეშ აყენებს. ვერაფრით მოხერხდა ამ ადამიანების პოლიტიკიდან ჩამოშორება, მათთვის რეალური ადგილის მიჩენა, ქვეყნის გათავისუფლება ამ ბნელი, ბოროტი, სისხლიანი ძალისგან. ეს არის პრობლემა. თუ ნაცებს ჩამოვიშორებთ, ეკონომიკური პრობლემებიც მოგვარდება, პოლიტიკაც განვითარდება. პოსტ. საბჭოთა ქვეყნებს თუ გადახედავთ, საქართველო ყველაზე მეტად არის დამუხრუჭებული, სწორედ, ამ მავნე ძალის გამო. სხვა მიზეზი არ არსებობს. „ქართულმა ოცნებამ“ პასუხი უნდა გაგვცეს: რატომ არ გაასამართლა ნაცები და არ მისცა ქვეყანას ნორმალური განვითარების საშუალება. დღეს, ზუსტად იმ მდგომარეობაში ვართ, როცა ქვეყნის განვითარება, პროვოკაციების ფონზე, წარმოუდგენელია. „ნაცმოძრაობას“ ფანტაზია არ ღალატობს და ყოველი არჩევნების წინ ახალ-ახალ რევოლუციურ სცენარებს იგონებს.

მუდმივად, რყევების ქარ-ცეცხლში ვართ. ან ნაცები უნდა მოვაშოროთ პოლიტიკას ან სახელმწიფო ჩამოგვეშლება. არ ვიცი, რა არის ამისთვის საჭირო — ხალხი მასობრივად გამოვიდეს ქუჩაში და „ქართული ოცნება“ აიძულოს სამართლიანი ნაბიჯები გადადგას თუ კიდევ წლობით ველოდოთ, სანამ ნაცები ქვეყანას ბოლომდე არ დაამხობენ. არ ვიცი, რა არის გამოსავალი, მაგრამ ფაქტი ერთია: კრიმინალური ძალის პოლიტიკიდან ჩამოშორების გარეშე ქვეყანა ვერ განვითარდება. 2003 წლიდან ამ პროცესს ვუყურებთ. ეს უნდა დასრულდეს.

**— წეღან ახსენეთ, სადაც იმსახურებენ იქ უნდა მივუჩინოთ ნაცებს ადგილიო. თუმცა, ისინი დღემდე, მთავარ ოპოზიციურ ძალად იწოდებიან.**

— ნაციონალობა, განსხვავებით ყველა სხვა ქვეყნისგან სადაც ოპოზიცია არსებობს, არ გახლავთ პოლიტიკური გემოვნება და არჩევანი, არამედ ეს ადამიანების სულიერი მდგომარეობაა. იმიტომ, რომ არ შეიძლება ხალხის გამაუპატიურებელი, ახალგაზრდების ქუჩაში ჩამხოცავი, ქვეყნის ტერიტორიების დამკარგავი და მიზანმიმართული გამყიდველი, ხალხის გამკულაკებელი, ბიზნესის რეკეტიორი პარტია — ასეთი დანაშაულებების ჩამდენი ძალა, ვიღაცას პოლიტიკურად მოსწონდეს. არა! ეს არის გაბოროტებული საზოგადოების სულიერი მდგომარეობა. დიახ, „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველი იმ სულიერ მდგომარეობაშია, რაშიც თავად პარტია იმყოფება. ეს სულიერი მდგომარეობა, საზოგადოების გაბოროტება, ღვარძლი, სიძულვილი ადამიანების ტვინებს რეცხავს და მათ ფსიქოტიპს ცვლის. აი, ეს პროცესი მიდინარეობს.

მათგან მუქარის, საზოგადოების შანტაჟის გარდა, სხვა არაფერი ისმის. იმასაც კი არ ამბობენ: ამა და ამ სიკეთეებს გპირდებითო, არამედ პირდაპირ, გვეუბნებიან: მოვალთ, დაგიჭერთ, დაგაპატიმრებთ, ყველაფერს წაგართმევთო. ივანიშვილიდან დაწყებული ყველას, ვისაც მათგან განსხვავაებული პოზიცია გააჩნია, ემუქრებიან. სუსის ფაილები, რითაც მანიპულირებენ, რაზე მეტყველებს? — ვინც მათთვის მიუღებელია, ყველას ტალახში სვრიან. დააკვირდით,

8 გვ.

# მტერი

## სააკაშვილის ოცნება – საქართველო – ახალი სინგაპური ანუ ქვეყანა ყველასი და არავისი, მათ შორის არც ქართველების





ამ პატარა წერილში, წარმოუდგენელია, ვრცლად და სრულად გაშიფრო მთლიანი ანატომია ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული იმ დიდი შეთქმულებისა, რომელიც კანონიერად, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების იარაღით დამხობის მომენტიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ალბათ, მოვა დრო და დაიწერება ამ შეთქმულების ავტორების და მისი ერთი ნაწილის, „ნაცმოძრაობის“ შავბნელი საქმიანობის ამსახველი შავი წიგნი, სადაც სრულყოფილად, დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, ობიექტურად და მოუკერძოებლად იქნება გაშუქებული და გაანალიზებული დროში გაწელილი ამ შეთქმულების ყველა დეტალი, მანამდე კი ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ: ამ შეთქმულების მთავარი მიზანი და მთავარი ამოცანაა ქართულ სახელმწიფოებრიობას გამოაცალონ ის ფუნდამენტი, რაზეც ეს ქვეყანა დგას და რასაც ილია ჭავჭავაძემ ასეთი ფორმულირება მისცა: მამული, ენა, სარწმუნოება.

ეს პროექტი 90-იან წლებში საქართველოს საზღვრებს გარეთ შემუშავდა, გამსახურდიას დამხობის შემდეგ კი, შევარდნაძის დროს, მისი თანმიმდევრული, ეტაპობრივი განხორციელება დაიწყო ყველა მიმართულებით.

შევარდნაძე, ერთი შეხედვით, არ ერეოდა ამ პროცესებში, ის კი არა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ის ეწინააღმდეგებოდა კიდევაც ქვეყნის დამანგრეველ ამ პროცესებს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ შირმა, ნიღაბი, სინამდვილეში სწორედ შევარდნაძემ შემოიყვანა პოლიტიკაში ამ შეთქმულების შემსრულებელთა ახალგაზრდული გუნდი (ე.წ. რეფორმატორები) და მტკიცედ დაამკვიდრა ისინი სახელისუფლო სტრუქტურებში.

„ნაცმოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიას რომ ვაკვირდები, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები: „ნაცმოძრაობა“ ქართული სახელმწიფოს მტერია, ხოლო ის, რასაც ეს ორგანიზაცია აკეთებს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს თუ დავესესხებით, არის დიდი შეთქმულება ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც არ დაწყებულა არც გუშინ, არც გუშინწინ.

ოფიციალურად ეს შეთქმულება 2003 წლის 23 ნოემბერს, ვარდების რევოლუციის დღეს გაფორმდა.

ასე წერია მისი დაბადების მოწმობაში, თუმცა ეს შეთქმულება გაცილებით ადრე, სადღაც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ჩაისახა, დაბადებით კი, როგორც ვთქვით, 2003 წლის ნოემბერში დაიბადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით, სახელი კი პლაგიატობასა და მიტაცებაში ხელგაწაფულმა სააკაშვილმა სხვა ორგანიზაციას მოჰპარა და ურცხვად მიითვისა, ისე, როგორც მიიტაცა და მიითვისა „ვარდების რევოლუციის“ ლიდერისა და წინამძღოლის ტიტული.

ისინი, 2003–2004 წელს კი არა, ფაქტობრივად, 1995 წელს მოვიდნენ ხელისუფლებაში და შევარდნაძეს ნელ-ნელა, თანმიმდევრულად გამოაცალეს ყველა სახელისუფლო ბერკეტი, რაც იმით დამთავრდა, რომ „თეთრმა მელამ“ კაპიტულაცია გამოაცხადა და ასპარეზს გაეცალა.

მოგვიანებით „ნაცმოძრაობა“, ამ ჯგუფს გამოეყო და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად მოგვევლინა, თუმცა მას არ უღალატია და არ გადაუხვევია იმ პროექტის მთავარი მაგისტრალური ხაზიდან, რომლის განსახორციელებლადაც, უცხოელების ხელდასმით, მათივე სელექციით და მათივე დაფინანსებით შეიქმნა ახალი პოლიტიკური ძალა, რომელსაც საქართველო ახალ რჯულზე უნდა მოექცია და ეპოქის სულისკვეთებას ჩამორჩენილი, მოძველებულ ტრადიცებს მიჯაჭვული ქართველიდან ახალი ყაიდის ქართველი შეექმნა.

სააკაშვილი, როგორც კი პრეზიდენტი გახდა, ენერგიულად შეუდგა საქმეს, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ დივერსიულ-დამპყრობლური საქმიანობა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ.

სააკაშვილი იქცეოდა, როგორც ვერაგი და მზაკვარი მტერი, რომელიც თავის მთავარ მიზანს მოხერხებულად ნიღბავს ქვეყნის აღმშენებლობის იდეით, სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის პროექტებით.

ის მართლაც აშენებდა გზებს, ხიდებს, ობიექტებს, სასტუმროებს, ინფრასტრუქტურას, მაგრამ ანგრევდა მთავარს — სულიერ ფასეულობებს და ღირებულებებს, ეროვნულ იდენტობას, ეროვნულ ცნობიერებას, ერის სულიერ საყრდენს და ხერხემალს.

საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება მტერი უწოდო ადამიანს, რომელიც ამდენს აშენებდა?

საქმე ის არის, რომ აღმშენებლობა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება სულაც არ უშლის ხელს იმ მიზანს, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ამ საერთაშორისო შეთქმულების ქვაკუთხედია.

სააკაშვილს არ დაუმალავს, რომ მისი ოცნება იყო, საქართველოში აეშენებინა ახალი სინგაპური, ქართული სინგაპური.

ბევრმა სააკაშვილის ეს ოცნება მდიდარი, ეკონომიკურად ძლიერი და წარმატებული საქართველოს მშენებლობის სურვილს დაუკავშირა, იმაზე კი ძალიან ცოტა თუ დაფიქრებულა, რანაირი და როგორი სახელმწიფოა სააკაშვილის ეს საოცნებო ქვეყანა — სინგაპური.

სინგაპური, ეს არის ქვეყანა ყველასი და არავისი, მათ შორის არც ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობის, რომელიც დიდი ხანია, ჩაიკარგა ქვეყანაში ჭარბად შემოსული მიგრანტების მღვრიე ოკეანეში, რომელთა რიცხვი მოსახლეობის 47%-ს შეადგენს.

სინგაპურში ათამდე სახელმწიფო ენაა, თანაბარი უფლებებით სარგებლობს ყველა რელიგიური აღმსარებლობა.

რაც მთავარია, ქვეყანაში ოცდაათ წელზე მეტია, ხელისუფლება არ შეცვლილა — ქვეყანას უცვლელად მართავს პრემიერი ლი კუან იუ.

გავიხსენოთ, როგორ ფართოდ გააღო ქვეყნის კარები სააკაშვილმა საქართველოში ცხოვრების მსურველი უცხოელებისთვის, როგორ უხვად ურიგებდა იგი საქართველოს მოქალაქეობას უცხოელებს, როგორ დაუბრკოლებლად იყიდებოდა ქართული მიწა უცხოელებზე და როგორი პრივილეგიებით სარგებლობდნენ აწ უკვე საქართველოს მოქალაქის სტატუსით აღჭურვილი უცხოტომელები საქართველოში.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართველო კაცი თავის სამშობლოში ლამის მეორეხარისხოვან, უუფლებო და ადვილად დასაჩაგრ სუბიექტად იქცა, რომელსაც მისი „მშობლიური“ ხელისუფლება ნებისმიერი მცირე საბაბით ან სულაც უმიზეზოდ, საციხოდ იმეტებდა, ფიზიკურად უსწორდებოდა, ძარცვავდა, აყაჩაღებდა, ქონებას ართმევდა, ქუჩაში ხვრეტდა.

იქნებ, ვინმეს ეყოს გამბედაობა და მითხრას, რომ ეს ასე არ იყო?

მოკლედ რომ ვთქვათ, სააკაშვილი აქტიურად ამზადებდა ნიადაგს საქართველოს სინგაპურიზაციისთვის და თავგამოდებით ცდილობდა, მის ხელთ არსებული ბერკეტების საშუალებით, ხელოვნურად დაერღვია ბალანსი აბორიგენ მოსახლეობასა და საქართველოს ახლადგამომცხვარ მოქალაქეებს შორის.

სააკაშვილის ბოროტი ფანტაზია ამ „წვრილმან“ მავნებლობებზე არ შეჩერებულა — მან მალევე გადმოისროლა ახალი მეგაპროექტი „ლაზიკა“ — ქალაქი ზღვის პირას, 500 000 მაცხოვრებლით.

„პატრიოტი“ ნაციონალები დღემდე გულისტკივილით და აღშფოთებით ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ ჩაშალა „ქართულმა ოცნებამ“ ეს გრანდიოზული პროექტი, რომელსაც ქართული სახელმწიფოსთვის არნახული ეკონომიკური წინსვლა და კეთილდღეობა უნდა მოეტანა თურმე.

ამ დროს პირიქითაა ეს ყველაფერი — „ლაზიკა“ არის პროექტი, რომელიც საბოლოოდ დაამთავრებდა საქართველოს სრული სინგაპურიზაციის პროცესს.

ისედაც მცირერიცხოვან საქართველოს არ გააჩნია ის დემოგრაფიული რესურსი, რომ 500 000 ადამიანი ახალი ქალაქის შესავსებად გადაისროლოს. ცხადია, ეს ნახევარი მილიონი ადამიანი სხვა ქვეყნებიდან უნდა ჩამოგვეყვანა.

არაოფიციალურად სახელდებოდა ეთნიკური ჯგუფი სირიიდან, რომელიც საქართველოს ტერიტორიებისადმი განსაკუთრებული ინტერესით ისტორიულად გამოირჩეოდა. ასევე ცნობილია ამ, ჩვენთვის არც ისე შორეული ხალხის, მიზანსწრაფული ლტოლვა ზღვისპირა ტერიტორიების დაკავებისკენ.

როგორც ამბობდნენ, სწორედ ამ ხალხის უმდიდრესი წარმომადგენლები, რომლებიც მთელ მსოფლიოში ცნობილნი არიან თავიანთი გრანდიოზული ფინანსური შესაძლებლობებით, აპირებდნენ



8 გვ. →

# ხელისუფლება წინასაარჩევნო პროცესშია, ოპოზიცია წინასარევოლუციოში

6 გვ.

ადამიანების რა კატეგორიაზე აქვთ ეს ჩანაწერები? — ნანა კაკაბაძეზე, თეა წულუკიანზე და ა.შ. „ნაციონალებს“ არ უსმენდნენ? სად არის ეს ჩანაწერები, რატომ არ ჩანს? მარტო იმ ხალხს უსმენდნენ, ვინც ნაცებისთვის მიუღებელია?

მე, მაინტერესებს რატომ ითმენს ამ ყველაფერს „ქართული ოცნება“. კი ბატონო, საკუთარ ხარჯზე მოითმინოს, მაგრამ არა ქვეყნის ხარჯზე. აპატიოს პირად მტერს, მაგრამ ქვეყნის მტერს და ინტერესების გამომთხრელს რომ პატიობ, ამას კეთილშობილება არ ჰქვია, არამედ ან თანამონაწილეობა, ან დანაშაულის დაფარვა, ან დანაშაული. რამდენი წელი შეიძლება ეს გაგრძელდეს და მუდმივად, შანტაჟის ქვეშ ვიყოთ: მიშა მოდისო. აღარ დასრულდა ამ საფრთხობელათი ქართველი ხალხის დაშინება, დატერორება: მოვა, გაგაუპატიურებს, ქონებას წაგართმევს და ა.შ. პირადად, მე, დავცაცინებ „ქართულ ოცნებას“, რათა როგორმე გაძლიერდეს და ამ ბოროტებასთან გამკლავება შეძლოს. დღეს, აღარავის აინტერესებს: რომელ პარტიას, რა პროგრამა აქვს, მთავარია გადარჩე. ეს გადარჩენა ნიშნავს შემდეგს: ნაცები ხელისუფლებაში აღარასდროს მობრუნდნენ. აი, რაზე მიდის ბრძოლა და არა იმაზე, როგორი პოლიტიკა, განვითარება გვსურს ქვეყანაში. საუბარი მიდის შემდეგზე: როგორმე უნდა გადავრჩეთ, რომ ამ ბოროტმა, სისხლიანმა ძალამ არ დაგვიპყროს. ყველა არჩევნების წინ, ბრძოლა ამისთვის მიდის.

**— მიშელის დოკუმენტი ანულირებულია, რაც საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა იყო. ოპოზიცია, დასავლეთი მაინც არ იტეხენ იხტიბარს და გაიძახიან: ვადამდელი არჩევნები ჩატარდებაო. ეს რას ნიშნავს?**

— სანამ დოკუმენტი ანულირდებოდა, აბსოლუტურად, ღირსებაშელახული, თავისუფლებააყრილი, დამონებული ქვეყნის მოქალაქე ვიყავი. ეს საშინელი განცდაა. ამ დოკუმენტის შესრულებაზე მითითება, თავმოყვარე ერისადმი, ძალიან მახინჯი დამოკიდებულება იყო. ამიტომ, მის ანულირებას, მივესალმები. დღეს, ეს თავხედი კრიმინალები ისევ ბედავენ შარლ მიშელის დოკუმენტზე საუბარს. მუდმივად გაიძახიან: თუ „ქართული ოცნება“ 43%-ს ვერ გადალახავს, ვადამდელი არჩევნები ჩატარდებაო. არავინ საუბრობს იმაზე, თუ რას ეფუძნება ეს 43%-იანი დათქმა. კონსტიტუცია, აბსოლუტურად, საწინააღმდეგოზე მიუთითებს და ესენი რის საფუძველზე მოითხოვენ ვიღაც მიშელის თუ გრიშელის ნაჯღაბნზე ამ პირობის შესრულებას?! არცერთი ჟურნალისტი არ სვამს კითხვას: რა უნდა დაედოს საფუძვლად მიშელის დოკუმენტის აღსრულებას. ანუ, ქვეყანა მონურ მდგომარეობაშია. თურმე, საბჭოთა კავშირი ცუდი იყო. ქვეყანაში ასეთი მონები, იმ პერიოდში, ნამდვილად, არ მახსოვს. 1978 წელს, როცა ქართული ენის კონსტიტუციური ცვლილების საკითხზე ბჭობდნენ, მთელი ერი ფეხზე დადგა — ქართული ენა არის სახელმწიფო ენა, რაც კანონში უნდა იყოს დაფიქსირებულიო. ახლა, ამ ანტიკონსტიტუციურ დოკუმენტზე, ფარატინა ქაღალდზე გვეუბნებიან: ეს კონსტიტუციაზე მაღლა უნდა დადგესო. მაშინ ერქვა საბჭოთა და ახლა, თავისუფალი საქართველოა?! მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რა წნეხის ქვეშ იმყოფება ე.წ. დამოუკიდებელი საქართველო.

**— ჩვენ, პირიქით, შიშით შევყურებთ: ვაითუ, ევროკავშირმა, კონგრესმა და ა.შ. ურჩობა არ გვაპატიონოს.**

— ხელისუფლება როგორც დაიჭერს თავს და წარმოაჩენს ქვეყანას, ანალოგიურად მოგვეპყრობიან. ჩვენ, ეს მოპყრობა დავიმსახურეთ, ამაში ქართულ საზოგადოებას არ ვგულისხმობ, არამედ ძალაუფლებაში მყოფ ხალხს. ძალაუფლების გამო არ შეიძლება ქვეყანა ვიღაცის ფეხქვეშ გათელონო. ოპოზიცია და ხელისუფლება კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვაზე თანხმდება, რასაც მეგობარი ქვეყნის ელჩებიც ამყარებენ. ეს პარადოქსია. ამაზე დიდი ლუსტრირება რაღა გინდათ, რომ ჩვენ, ჩვენი თავი არ გვეყუდვნის.

როგორც კი არჩევნებს ჩავამთავრებთ, უნდა დაიწყოს ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის. ვინც თავისი ბინძური ხელებით დამოუკიდებლობას ეხება, თავის ადგილი უნდა მივუჩინოთ. ერის დასაცავად ასი ათასობით ქართველი თავის რწმენას ეწირებოდა. ახლა, ვიღაც ვიგინდარები ტელე-ეთერიდან იმ ეკლესიაზე ბედავენ ასეთი ტონით ლაპარაკს, რომელსაც ერთ დღეში 100 ათასი წამებული ჰყავს. როგორ შეიძლება ამის ყურება, რაც დღეს ტელევიზიებით ხდება. ასეთი ბინძური ტელე-ეთერები არასდროს ყოფილა. ასეთი დამცრობილი ქართული ენა არასდროს ყოფილა, ენით აუწერელმა ბილწსიტყვაობამ წალეკა მასმედია. ლანძღვა-გინებას ტაბუ აქვს ახსნილი. როგორ შეიძლება სტანდარტი იყოს შენი ქვეყნის, ენის, ეკლესიის ნგრევა. როგორ შეიძლება რამე არსებობდეს, რაც მთავარ ღირებულებებს — ენას, მამაულს და სარწმუნოებას საფრთხეს უქმნის. როგორ შეიძლება ადამიანის უფლებები იყოს ის, რაც ენას, მამულს და სარწმუნოებას ანგრევს. რაც იდენტობას არღვევს, ეს როგორ შეიძლება იყოს უფლებები. ეს ქვეყნის მტრობაა და ხელისუფლებამ შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინოს.









**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# მტერი

7 გვ.

„ლაზიკის“ დაფინანსებას, რაც სააკაშვილს და მის ბანდას მილიარდობით შემოსავალს, ხოლო საქართველოს სრულ პოლიტიკურ და დემოგრაფიულ კატასტროფას მოუტანდა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 500 000 ადამიანი, ეს არის 500 000 ამომრჩეველი, რომელიც, ცხადია, ამ ქვეყანაში მის ჩამომყვანს და დამმკვიდრებელს მისცემდა ყოველთვის ხმას, რაც იმას ნიშნავდა, რომ სააკაშვილი კუან იუსავით სამარადისოდ დარჩებოდა ხელისუფლების სათავეში.

გემახსოვრებათ, ნაციონალები არც მალავდნენ, რომ კიდევ 30 წელი აპირებდნენ ხელისუფლებაში დარჩენას და ამ სურვილს შეისრულებდნენ, რომ არა „ქართული ოცნების“ გამარჯვება 2012 წელს.

„ლაზიკის“ პროექტი შეჩერდა, მაგრამ ის დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. სააკაშვილი ყველა თავის გამოსვლაში სისტემატურად ახსენებს ამ პროექტს და იქადნება, რომ ხელისუფლების დაბრუნების შემთხვევაში, აუცილებლად დაიწყებს მის განხორციელებას..

საქართველოს მტერია სააკაშვილი, რომლის გეგმები ზუსტად ემთხვევა საქართველოს იმ მტრების ხედვებს და მიზნებს, რომლებსაც, დიდი ხანია, თვალი აქვთ დადგმული საქართველოსთვის.

სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ საქართველოს არ უყურებენ, როგორც სამშობლოს, მათთვის ის ბიზნესის კეთების, აღებ-მიცემობის საშუალებაა და სხვა არაფერი.

საქართველო — ახალი სინგაპური — ქვეყანა, რომელიც ყველასია და არავისია, მათ შორის არც ქართველების — აი, ეს არის ის მზაკვრული გეგმა, რის სისრულეში მოსაყვანადაც სააკაშვილი და მისი ბანდა მოიყვანეს თავის დროზე ხელისუფლებაში და რის გამოც იგივე ძალები დღემდე იფარავენ და პატრონობენ ამ ქვეყნის გამყიდველებს.

ის, რაც ამ მცირე ფორმატის წერილში ვილაპარაკე გაკვრით, ფრაგმენტულად, სრული სიმართლეა, სიმართლე, რომელიც ვერა და ვერ გავაგებინეთ ქართველი ხალხის იმ ნაწილს, რომელიც დღემდე სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“ უჭერს მხარს, თუმცა ეს არ არის მათი ბრალი, ეს ჩვენი ბრალია, რადგან ეს სიმართლე დღემდე ვერ ვუთხარით ამ ადამიანებს.

**სააკაშვილისთვის და „ნაცმოძრაობისთვის“ მხარის დაჭერა, ეს იგივეა, თემურ ლენგის, შაჰ-აბასის, მურვან-ყრუს ლაშქარს დაუჭირო მხარი და მათი წარმომადგენლები ლეგიტიმურად შემოიყვანო საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებაში.**

ვინ გააგებინებს ამას შეცდომაში შეყვანილ, მოტყუებულ, პიარტექნოლოგიური ხრიკებით გაბრუებულ და განსჯის უნარდაკარგულ ქართველობას და ვინ და როდის მოსთხოვს პასუხს საქართველოს გამბახებელ სააკაშვილს და მის ხროვას?



— არჩევნების შემდეგ ყველას მოეთხოვება პასუხი! — გვპირდება პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

კი, ბატონო, იყოს არჩევნების შემდეგ, ოღონდ იყოს...

**ვახტანგ ხარჩილავა**



# ხელისუფლების გასაგონად ვამბობ: არ დაინდოთ არავინ, ვინც ქვეყნის წინააღმდეგ დივერსიულ-ტერორისტული აქტის განხორციელებას აპირებს



*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი ДИМИТРИ*

*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე:*

**— ბატონო დიმიტრი, რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა ტელე-არხმა სუსის თვალთვალის ამსახველი მასალები გამოაქვეყნა, სადაც თქვენ, ივერი მელაშვილის მკვლელობის ორგანიზატორობაში დაგდეს ბრალი. რას უკავშირებთ ამ ბინძურ ცილისწამებას?**

— შარშან, დავით გარეჯის თემაზე, გენერალურ პროკურატურაში შვიდი საათის მანძილზე ვიკითხებოდი. როგორც იცით, ამ თემაზე „საერთო გაზეთისთვის“ ვრცელი, ანალიტიკური სახის ინტერვიუ მოგეცით. ბუნებრივია, საკითხმა საზოგადოებრივი რეზონანსი შეიძინა. ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაციების თანახმად ყველასთვის გასაგები გახდა ღალატის ანატომია, რაც უკავშირდება არამარტო გარეჯის სადაო მონაკვეთს, არამედ წითელი ხიდიდან დაწყებული მთლიანი პირობითი საზღვრის პერიმეტრზე გაყოლებულ 3600 ჰექტარ ფართს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, აზერბაიჯანის სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ, მოღალატეობრივად, მუხანათურად იქნა დათმობილი პოლიტიკური და გეო-პოლიტიკური მიზნის მისაღწევად.

მიხეილ სააკაშვილმა აზერბაიჯანული მხარის ინტერესის გათვალისწინებით, პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, რაც ქართველი ხალხის, მისი ისტორიული წარსულისა და მომავლის საზიანო გახლდათ. ამ ამბავს დიდი ხნის მანძილზე გვიმალავდნენ. პრობლემამ, ღიად, თავი 2012 წლის 6 მაისიდან იჩინა, როდესაც აზერბაიჯანის მხარემ, მოულოდნელად, უდაბნოს მონასტერში მიმავალი გზები გადაკეტა. იმ პერიოდში პარლამენტის წევრი გახლდით და არსებულ პრობლემას თვალყურს ვადევნებდი. „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკა არაერთგზის ვამხილე. ამ ყველაფერმა რეზონანსი 2013 წლიდან შეიძინა, როდესაც აზერბაიჯანის მხრიდან მონასტერში მიმავალი გზის გადაკეტვის პრეცედენტები გახშირდა. დღეს, იგი სრულიად ჩაკეტილი და ხელმიუწვდომელია ქართველი მომლოცველებისთვის როგორც სასულიერო, ისე საერო პირებისთვის. აქამდე სწორედ იმიტომ მივედით, რომ სააკაშვილის მიერ შექმნილმა დემილიტაციის კომისიამ, ექსპერტთა ჯგუფმა, რომელსაც ივერი მელაშვილი ხელმძღვანელობდა (სხვათა შორის, მას აკადემიური ხარისხი არ გააჩნია, ისევე, როგორც ნატალია ილიჩოვას), მუხანათურად, ქვეყნის ინტერესების ზურგს უკან მიღებული დავალების საფუძველზე, სიყალბის დადასტურებას შეუწყვეს ხელი — კონკრეტული მონაკვეთები რაც დატანილი იყო რუკებზე, თვითნებურად შეცვალეს, ხოლო მეორე მხრივ, მათ გაქრობაზე სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა წრემ იზრუნა. სწორედ ამასთან დაკავშირებით მკითხავდნენ პროკურატურაში 7 საათი. დიახ, ეს დაკითხვა კეთილმოწყობის კვლევით იმსტიტუტში არსებული რუკების გაქრობის ისტორიაზე აიგო. ასევე, დაიკითხა დიმიტრი ქართლელიშვილი, რომელიც ახლა, ტელეკომპანიების მიერ დადგმულ სიუჟეტში, სადაც მე, ივერი მელაშვილის მკვლელობის ორგანიზატორად გამომაცხადეს, ჩემთან ერთად ფიგურირებს. ანუ, ჩემთან ერთად დიალოგში შემოიყვანეს თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფიის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი დიმიტრი ქართლელიშვილი. ცდილობენ, დახატონ სურათი, თითქოს, თავდაცვის სამინისტრო, ჩემთან ერთად, ივერი მელაშვილის ლიკვიდაციის გეგმას განიხილავდა. ეს არის სრული აბსურდი, ფაბრიკაცია, რაც მხოლოდ დიმიტრი ლორთქიფანიძის ან დიმიტრი ქართლელიშვილის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ სახელმწიფოს ფუნდამენტური ინტერესების წინააღმდეგ. ეს გახლავთ სერიოზული პოლიტიკური დივერსია ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობა. დიახ, ეს სახელმწიფოსთვის ფუნდამენტის გამოცლაა და სხვა არაფერი. ეს არ არის კონკრეტული მთავრობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, არამედ ქვეყნის დიდ ქაოსში ჩათრევის პირდაპირი ინსპირაცია, რასაც თავისი ორგანიზატორები, შემსრულებლები ჰყავს და გრძელი და მოკლევადიანი გეგმები გააჩნია.

**— ამ გეგმებში არჩევნებს გულისხმობთ?**

— დიახ, მოკლევადიან გეგმებში იგულისხმება თვითმმართველობის არჩევნებში განსხვავებული შედეგების მიღება, ხოლო გრძელვადიანი გეგმა გაწერილია საპარლამენტო არჩევნებზე. ვინ შეიძლება ამ ყველაფრის უკან იდგეს? — სწორედ ის ძალები, რომლებიც ჩვენს ე.წ. დასავლელ პარტნიორებად იწოდებიან. ისინი სახელმწიფოს მართვის სტრატეგიასთან დაკავშირებით გარკვეულ ცვლილებებს ვერაფრით ეგუებიან. ვგულისხმობ შემდეგს: ქვეყანა შარლ მიშელის დოკუმენტიდან გამოვიდა, რითაც ჩვენი სუვერენიტეტი შეზღუდული იყო. იმიტომ, რომ აღნიშნული ხელშეკრულება, პირდაპირ, დასავლეთზე იყო ორიენტირებული. კერძოდ, განხორციელდებოდა სოციალური პოლიტიკა, რომლის ზედამხედველი ევროკავშირი იქნებოდა. ანუ, რეალურად, ჩვენი სუვერენიტეტი, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე გვაქვს, თავიდან ბოლომდე ლიკვიდირებული იქნებოდა. უარი ვთქვით 75 მილიონზე, ასევე, კაბალური ხელშეკრულებების გაფორმება, ჩვენთვის, მიუღებელი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, სახელმწიფოს წინააღმდეგ საარტილერიო შტურმი განხორციელებულიყო. ამას, ერთადერთი მიზანი აქვს: ახლო მომავალში ქვეყანა ძალიან სერიოზულ ქაოსში, სამოქალაქო დაპირისპირებაში ჩაიძიროს. საზოგადოება კარგად აღიქვამს, რომ ქვეყანაში ძალიან დაძაბული ვითარებაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დენთის კასრზე ვზივართ., „ნაცმოძრაობისა“ და მისი განშტოებების დაუსჯელობა, ამ აღვირახსნილობის დიდხანს ყურება, შეუძლებელია. ამ ხალხმა თავი მოიყარა 15 გეი-პარტიის ფარგლებში და კარლ ჰარცელის, კელი დეგნანის თანდასწრებით ხელი მემორანდუმს მოაწერა. მათი მიზანია: მომავალი არჩევნების პროცესში, ხელისუფლება, ყველა ხერხის გამოყენებით, საკვანძო სიმაღლეებს ჩამოაცილონ და 15 გეი-პარტიამ კოალიციური მთავრობა შექმნან. სწორედ ამიტომ გამოყარეს საზოგადოებაში ათი ათასობით ფაილი, რასაც მედია-ჰიდრა — „ტვ-პირველი“, „ფორმულა“ და „მთავარი“ სასურველი რაკურსით აშუქებენ.

**— სხვათა შორის, ამ ტელევიზიებს ოპოზიციის მიყურადების არცერთი ფაილი არ გამოუქვეყნებიათ. მათ არავინ უსმენდა?**

— საქმეც ამაშია — მაყურებელი თუ დააკვირდება, მიყურადების არცერთი ფაილი, რასაც მედია-ჰიდრა აჟღერებს, არ არის მიმართული ბოკერიას, უგულავას, სააკაშვილის და ა.შ. წინააღმდეგ. კრეფსები არცერთ იმ 15 პოლიტიკურ პარტიაში შემავალი პირის წინააღმდეგ არ გამოქვეყნებულა, რომელთა ხელისუფლებაში მოყვანა დასავლეთისთვის ერთ-ერთი საკრალური ამოცანაა. დარტყმის ობიექტები ვართ ადამიანები, რომლებიც დასავლური გეგმის განხორციელების, ანუ საქართველოს როგორც ფორმალური სუვერენიტეტის მატარებელი სახელმწიფოს სრული დაკაბალების წინააღმდეგნი ვართ. შესაბამისად, ამიტომაც განხორციელდა ჩემს მიმართ ენით აუწერელი, თავისი მასშტაბით არნახული ცილისწამება, რამაც უმძიმესი მორალური ზიანი მიაყენა ჩემს ოჯახს. აბა, წარმოიდგინეთ, როგორი მოსასმენია ტელე-ეკრანიდან მამას მკვლელობის ორგანიზატორად და ლიკვიდატორად რომ გიცხადებენ. ეს ძალიან მძიმე ასატანია. ბუნებრივია, ამას ასე არ დავტოვებ. **„საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან მინდა გენერალურ პროკურატურას, სამართალდამცავ ორგანოებს კატეგორიულად ვთხოვო: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით იხელმძღვანელონ და ამ ცილისმწამებლური მედიასაშუალებების მიერ ჩემს მიმართ გაკეთებული განცხადებები შეისწავლონ.** როცა აღმოჩნდება, და ეს ნამდვილად ასე იქნება, რომ სრულიად უდანაშაულო ვარ და არც არავის მკვლელობას ვგეგმავდი, ამის შემდეგ დაზარალებულად მცნობ და კოლექტიური ინგა გრიგოლიები, ვახო სანაიები, ნინო ჟიჟილაშვილები, ნიკა გვარამიები, გურამ გოგავები თუ მარიამ გაფრინდაშვილები თავისი იურისტებით და რეჟისორებითურთ პასუხისგებაში მისცენ.

ესენი არიან პოლიტიკური პარტიების ოპერატიული ქვედანაყოფები, მედია-ზონდერები, მედია-ტერორისტები, რომლებიც ყველა ღონეს ხმარობენ, რათა დასავლეთის ბრძანება აღასრულონ. შემთხვევითი არ არის, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ უკან მდგომი დავით კეზერაშვილი, ტელეკომპანია „ფორმულას“ ყოველწლიურად, თითქმის, 30 მილიონი დოლარით აფინანსებს. ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ ელიტას — მმართველ ძალას მოუწოდებ: სანამ გვიან არ არის, ახლა, მაინც მოეგოს გონს, ჩაჭრას კოაბიტაციის ყველა თოკი, ზურგი შეაქციოს დასავლეთიდან მომდინარე კაბალისტურ მოთხოვნას და ქვეყნის ორგანული ინტერესებით იხელმძღვანელოს. ისევ ხელისუფლების გასაგონად ვამბობ: არ დაინდოთ არცერთი დამნაშავე — ვინც ქვეყნის წინააღმდეგ მასშტაბურ, დივერსიულ პოლიტიკურ აქტს ახორციელებდა, ყველა პასუხისგებაში მიეცით. ეს სუბიექტები, ამავე დროს, ქვეყნის წინააღმდეგ საბოტაჟს ეწევიან და ეკონომიკურად ისედაც დასუსტებულ ქვეყანას, გადარჩენის შანს აღარ უტოვებენ. კიდევ ერთხელ ვამბობ: მთელი ქვეყანა დენთის კასრზე ზის. ერთი ასანთის გაკვრა უნდა და პროცესები უმართავი გახდება. ქვეყნის დაქცევით ძალიან ბევრი პოლიტიკოსია დაინტერესებული. პირველ რიგში კი, ვითომ, აქ, ჩამოსასვლელად გამზადებული სააკშვილი, რომელიც რა თქმა უნდა, ამ ნაბიჯის გადამდგმელი არ არის. იგი აქ, წყლის ამღვრევას ელოდება, რათა შემდგომ, გაბატონებული, დომინანტური კლასის სათავეში მოგვევლინოს. ეს არის ამ ანატომიის თავიც და ბოლოც. ამიტომ, ახლა, უკან დახევის, რევერანსებით საუბრის დრო არ არის. რკინის ხელის პოლიტიკაზე უნდა გადავიდეთ. ვისაც საკუთარი სამშობლოს მიმართ პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გააჩნია, ყველა ვალდებულია დაუნდობელი სამართლებრივი ბრძოლის, მათი მხილების სამსახურში ჩადგეს.

**— მომზადებულ სიუჟეტში, თქვენ, ივანიშვილის ძმასთან მოლაპარაკებებში „გამხილეს“. გლობალური დასავლეთის გეგმები აშკარაა. მათ ინტერესში არ არის საქრათველორუსეთს შორის ურთიერთობების დალაგება.**

— აბსოლუტური სისულელეა, არავითარი ინტერესთა კავშირი, ურთიერთობა ალექსანდრე ივანიშვილთან არ მქონია. ეს არის დადგმული სცენარი იმისთვის, რათა სასურველ შედეგამდე მივიდნენ — საზოგადოების ზომბირება მოახდინონ, თითქოს, აქ, რუსული კვალი იკვეთება და ხელისუფლებასა და პრო-რუსულ ორგანიზაციებს შორის არსებული კავშირ-ურთიერთობები ქვეყნის დასავლური განვითარების პერსპექტივას საფრთხეს უქმნის. სინამდვილეში, ქვეყნის დასავლური განვითარების პერსპექტივა პირდაპირპროპორციულია ინგა გრიგოლიებისა და მათთან დაკავშირებული ზონდერ-ჯგუფების კეთილდღეობასთან. დიახ, ეს გახლავთ მათი კეთილდღეობის წყარო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. როდესაც ღიად ვსაუბრობთ, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს თანაბარი კავშირები დასავლეთთან და აღმოსავლეთთან ანუ, ევროკავშირი და ევრაზიული კავშირი — ეს უნდა იყოს ორი გეო-პოლიტიკური ცენტრი, რომელთა შორის საქართველოს მყარი ხიდის როლის შესრულების ფუნქცია ექნება, ამაზე ძალიან ღიზიანდებიან. ეს არ სჭირდებათ იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფო უნდა იყოს ამერიკის პოლიციის სადგური. საქართველო უნდა იყოს ზესახელმწიფოთა დაპირისპირების პოლიგონი, მეტი არაფერი. ეს გახლავთ ვასალური, კაბალური ამოცანა, რომელიც პირდაპირპროპორციულია იმისა, რომ საქართველო არ უნდა განვითარდეს. ჩვენი ქვეყნის განვითარებას რაც სჭირდება, ადრეც მითქვამს — ეს არის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება როგორც დასავლეთთან, ისე აღმოსავლეთთან. აქედან გამომდინარე, საჭიროა პოლიტიკური პრეფერენციების განხორციელება იმ მიზნით, რათა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფასი განისაზღვროს და ჩვენმა აფხაზმა და ოსმა ძმებმა დააფასონ როგორც ეკონომიკური კეთილდღეობა, ისე რეალური, პოლიტიკური პერსპექტივა, რაც საქართველოს შემადგენლობაში მათი ნამდვილი თავისუფლებით აღინიშნება. აი, ეს არის ის, რაც 30 წელია არ განხორციელდა. მათ უნდათ ჩვენი ისევ ამ ჭაობში ყოფნა გააგრძელონ. შედეგად, 15 გეი-პოლიტიკური პარტია თავიანთი ლიდერებით, დასავლეთის თვალში, თავს დაფასებულად იგრძნობენ. შესაბამისად, მათ ექნებათ მატერიალური კეთილდღეობა, პოლიტიკური საკვანძო სიმაღლეები და ამის გარანტად გლობალური დასავლეთი დადგება. ეს არის ჩანაფიქრი.




**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# დარწმუნებული ვარ, ზუგდიდელები ღირსეულ არჩევანს გააკეთებენ და მხარს შენებას და წინსვლას დაუჭერენ

## გვესაუბრება პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ზუგდიდის მერობის კანდიდატი მამუკა წოწერია



**— ბატონო მამუკა, როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში?**

— მიგვაჩნია, წინასაარჩევნო კამპანიას სრულფასოვნად ვახორციელებთ. ინტენსიური შეხვედრები გვაქვს მოსახლეობასთან. მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში უკვე გავმართეთ შეხვედრები, ახლა ვაპირებთ გავაგრძელოთ ყოველდღიური შეხვედრები ქალაქის მოსახლეობასთან, ჩვენს ამომრჩეველთან.

სისტემატურად ვეცნობით ჩვენი მოქალაქეების პრობლემებს და ვსაზღვრავთ იმ ძირითად პრიორიტეტებს, რომლებიც მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ჩვენი სამუშაო გეგმის უმთავრესი ნაწილი უნდა გახდეს.

ჩვენს საარჩევნო კამპანიას სულ სხვა სახე აქვს, ოპოზიციური პარტიების, მათ შორის, განსაკუთრებით,



„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების საარჩევნო კამპანიისგან განსხვავებით. „ნაცმოძრაობა“ თავისას არ იშლის და ცდილობს, შანტაჟით, მუქარით და რევანშით მიაღწიოს მიზანს, მაგრამ ამას მშვენივრად ხედავს ჩვენი მოსახლეობა.

**— პირადად თქვენი პრიორიტეტი რა არის? თქვენი გამარჯვების შემთხვევაში, როგორი მერი ეყოლება ზუგდიდს?**

— ჩემთვის მთავარი გამოცდილება იყო უწყვეტი კომუნიკაცია მოსახლეობასთან, რომელიც არასდროს გამიწყვეტია. ბოლო ხანებში, თავისთავად ცხადია, უფრო ხშირად ვხვდებით.

მათთან ერთად დიალოგში გამოიკვეთა მთელი რიგი პრიორიტეტების. კერძოდ, სოფლების უზრუნველყოფა წყლით. ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის ეტაპობრივი განვითარება, რომელიც უკვე დამტკიცებულია, ეკონომიკის გაძლიერება, ჩვენი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის როლის გაზრდა, ანუ თავად ჩვენ გადავახალისებთ ეკონომიკურ პოლიტიკას, რაც გულისხმობს, რომ უფრო მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას. გამოვკვეთთ ეკონომიკის იმ მნიშვნელოვან სტრუქტურას, რომელიც მასტიმულირებელი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდის.

ჩვენი პრიორიტეტი იქნება, ასევე, მომავალი თაობა. მათთვის აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მაქსიმალური მოწესრიგება. უკვე დავიწყეთ ახალი ბაღების მშენებლობა, ხოლო რეაბილიტაცია და რემონტი იქ, სადაც შესაძლებელი იყო. აუცილებლად სერიოზულად მივხედავთ სკოლებს. ესეც ჩვენი მუშაობის აქტიური მიმართულება იქნება და მომავალი ოთხი წლის განმავლობაში სასწავლო დაწესებულებები, ვვარაუდობთ და ვგეგმავთ, რომ მაქსიმალურად იქნას განახლებული, რეაბილიტირებული.

ახალგაზრდობა ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტია. მათი პროფესიული, ან სხვა სახის ინტერესების გათვალისწინება, ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

გათვალისწინებულია, როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული სასწავლებლების გახსნა. 250 სტუდენტისთვის უკვე შენდება ზუგდიდში კოლეჯი, რომელიც შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში იქნება.

ჩვენი პრიორიტეტია ჩვენი დევნილი მოსახლეობა. გეგმები ასეთია: ზუგდიდში მყოფ დევნილ მოსახლეობას შევუქმნათ ღირსეული საყოფაცხოვრებო პირობები. მიმდინარეობს კორპუსების მშენებლობა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფაც ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა. უკვე გვაქვს გრძელვადიან შედეგზე გათვლილი პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალური პრობლემების მოგვარებას და გამოსვლას იმ სიტუაციიდან, რის გამოც ჩვენი მოსახლეობის ნაწილი სოციალური დახმარების საჭიროებას ხედავს.

ქალაქის გზები მოსაწესრიგებელია. წყლის, წყალარინებისა და გამწმენდი სამუშაოების გამო ქალაქის ქუჩები არასასურველ მდგომარეობაში იყო, 120-ზე მეტი გზის მონაკვეთი უკვე აღდგენილია, უახლოეს პერიოდში დანარჩენსაც მივხედავთ.

ეს არის ჩვენი ძირითადი პრიორიტეტები, რომლისკენაც, როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსები მაქსიმალურად იქნება მიმართული.

**— მოსახლეობის განწყობა როგორია. გაქვთ იმედი, რომ ზუგდიდის ამომრჩეველი „ქართული ოცნების“ კანდიდატს მხარს დაუჭერს?**

— მუშაობა ყოველთვის საჭიროა, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ჩვენი მთავარი პრინციპი იყო, უწყვეტი კონტაქტები მოსახლეობასთან, მათი ჩართვა პრობლემების განსაზღვრაში. აქედან გამომდინარე, ვგრძნობთ პოზიტიურ დამოკიდებულებას პარტია „ქართული ოცნების“, ჩვენი კანდიდატების მიმართ.

არის კრიტიკული შენიშვნები, თუმცა მოსახლეობა ამჩნევს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ორიენტირებულია შედეგზე, პრობლემების მოგვარებაზე და თვალშისაცემია, რომ მმართველი პარტიის მიერ გამართულ წინასაარჩევნო კამპანიაში უფრო აქტიურად მონაწილეობენ.

დარწმუნებული ვართ, დამაჯერებელ შედეგებს დავდებთ და „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დამთავრდება ეს საარჩევნო მარათონიც.

**— სამეგრელო სპეციფიკური რეგიონია. ამ რეგიონში გამარჯვება ბევრად მნიშვნელოვანია საერთო შედეგების შეფასებისას, ამიტომაც არჩევნები სამეგრელოში ხშირად დაძაბულობის და დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. როგორ ფიქრობთ, ახლა ამ დაძაბულობას თავს აარიდებთ?**

— ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ იყოს სიმშვიდე.

წინასაარჩევნოდ არავითარი დაძაბულობა არ იგრძნობა, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან გამოიკვეთა ახალი მეთოდი ჭორების დაყრის, ფარული მუქარის და ა. შ. გაუგონარ ამბებს თხზავენ „ქართულ ოცნებაზე“ და მის კანდიდატებზე, მაგრამ თქვენი გაზეთის საშუალებითაც მინდა ვუთხრა მათ, რომ ეს კონტრპროდუქტიულია.

ზუგდიდი არ არის ისეთი დიდი ქალაქი, რომ ადამიანებმა ერთმანეთის შესახებ არ იცოდნენ. „ნაცმოძრაობის“ ძალიან ბევრი ზუგდიდელი ამომრჩეველიც კი უკმაყოფილებას გამოხატავს უსაფუძვლო ჭორებსა და ბრალდებებზე, რასაც ავრცელებენ ოპონენტები „ქართული ოცნების“ ადგილობრივი წარმომადგენლების და პირადად ჩემ მიმართაც. ამასთანავე, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები იმასაც აცხადებენ, რომ მათ კანდიდატს არ აქვს რეალური ხედვები, რეალური გეგმები. თანაც ანზორ მელია ამბობს, რომ მერობა მისთვის არ არის მთავარი ამოცანა, უბრალოდ, გვსურს ყველას დავანახოთ ჩვენი შედეგი ზუგდიდშიო. აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ მათ თვითმმართველობის არჩევნები, როგორც არჩევნები, არ აინტერესებთ, თვითონ ზუგდიდიც და მისი სამეურნეო და მოქალაქეების პრობლემები ნაკლებად აწუხებთ, მათი მიზანია, პოლიტიკური ტემპერატურის აწევა, არეულობების შექმნა.

ჩემზეც გავრცელდა ჭორები — გადაბირებული, გადმობირებული, რაღაც მეტსახელები, თითქოს ზეწოლას ვახორციელდებდი ამომრჩეველზე და ა. შ. მერე, მოგეხსენებათ, თვით იმ ადამიანებმა განაცხადეს, რომ მათთან შეხება არასდროს მქონია. ასეთი შავი პიარით მიმდინარეობს „ნაცმოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ყველაფერს დავძლევთ და ამ არჩევნებსაც მოვიგებთ.

**— პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი წლების განმავლობაში ხან იქით გადაიხარა, ხან — აქეთ. შეიძლება პოლიტიკაში ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ, როცა მოქალაქე კონკრეტულ კანდიდატს ირჩევს, ამ კანდიდატს პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს, კონკრეტულ პერიოდში ამომრჩეველი, უბრალოდ, არ მიატოვოს.**

— როცა ირჩევენ მერს, კანდიდატს, მაჟორიტარს, რა თქმა უნდა, პიროვნული ფაქტორი მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი მოსახლეობა, ელექტორალურად, უკვე გაიზარდა და ყურადღებას აქცევს პარტიის პროგრამას და გეგმებს.

ყველა წარმატება, რასაც მიაღწია ნებისმიერმა „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, ეს იყო, პირველ რიგში, პარტიის დამსახურება.

პირადად ჩემთვის, ერთადერთი პარტია, რომელთანაც აქტიურ პოლიტიკურ თანამშრომლობაზე წავედი, არის „ქართული ოცნება“.

ჩემი გადაწყვეტილებაც სწორედ „ქართული ოცნების“ პოლიტიკამ განაპირობა.

მე ვიგრძენი, როგორც ჩვენი აქტივის, ასევე მომავალი გუნდის მხარდაჭერა ზუგდიდის მერიაში, სადაც, არჩევის შემთხვევაში, მომიწევს მუშაობა. ერთ-ერთი ფაქტორი ესეც იყო, რომ დავთანხმდი კანდიდატობაზე.

სრული დარწმუნებით შემიძლია ვუთხრა ჩემს ამომრჩეველს, მანდატი, რომელსაც მარგუნებენ არჩევის შემთხვევაში, იქნება მათი იმედი და კეთილდღეობის გარანტი. ამ პასუხისმგებლობას მე ღირსეულად ავიღებ და ვატარებ ოთხი წლის განმავლობაში. მთავარი პასუხიმგებლობა მე მექნება ზუგდიდელების წინაშე.



ჩვენმა ხელისუფლებამ შესანიშნავად ჩამოაყალიბა, როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკა. ერთადერთი ხელისუფლება ვართ, რომლის პირობებშიც არ მომხდარა ომი და შეიარაღებული დაპირისპირება. ჩვენ ვინარჩუნებთ მშვიდობას და ეს არის განვითარებისთვის აუცილებელი პირობა. დარწმუნებული ვარ, ქართველი ამომრჩეველი ამ ყველაფერს მშვენივრად ხვდება და „ქართულ ოცნებას“ აირჩევს და არა იმ პარტიას, რომლის დღის წესრიგი არეულობა, დაპირისპირება, ბილწსიტყვაობა, სიძულვილი და ანგარიშსწორებაა.

**— წარმატებებს გისურვებთ, ბატონო მამუკა. იმედი მაქვს, რომ 3 ოქტომბერს გამარჯვებას მოგილოცავთ.**

— თქვენ დიდი მადლობა ყურადღებისთვის.

მთელ საქართველოს ვუსურვებ გამარჯვებას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ სამტრედია მთელ საქართველოში ერთ-ერთ გამორჩეულ მუნიციპალიტეტად იქცეს

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად წარდგენილია ბატონი **დავით ბახტაძე**. იგი ძირძველი სამტრედიელია და ზედმიწევნით ზუსტად იცნობს მისი მშობლიური ქალაქისა და მთლიანად მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარ პრობლემებს, რაშიც ჩვენს მკითხველს ქვემოთ მოყვანილი ინტერვიუც დაარწმუნებს

**— ბატონო დავით, სულ რამოდენიმე დღეღა რჩება ადგილობრივი არჩევნების ჩატარებამდე. თქვენ სამტრედიის მერობაზე იყრით კენჭს. მაინც, რატომ უნდა აგირჩიონ სამტრედიელებმა ამ საპასუხიმგებლო თანამდებობაზე?**

— ერთმა ბრძენმა თქვა: „ბედნიერებაა, როცა გაფასებენ. დიდი ბედნიერებაა, როცა უყვარხართ. ჭეშმარიტი ბედნიერება კი ის გახლავთ, როცა შენ გიყვარს“.

მე ქართველი ვარ და მიყვარს ჩემი ქვეყანა, ჩემი საქართველო და ვერავინ დამძრახავს თუ იმასაც ვიტყვი, რომ ჩემი საქართველო სამტრედიიდან იწყება.

დავიწყებ იქიდან, რომ ჩემი მიზანია სამტრედია ერთ-ერთ გამორჩეულ მუნიციპალიტეტად ვაქციოთ, რისთვისაც დაუღალავად ვიშრომებ.



კარგად ვიცნობ სამტრედიას. ვიცი ჩვენი მუნიციპალიტეტის რომელ დასახლებასა თუ უბანს რა სჭირდება და რა უნდა გაკეთდეს. ჩემი მთავარი ამოცანაა, სამტრედიაში განსახორციელებელი პროგრამები ორიენტირებული იყოს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე. იმედი მაქვს, საზოგადოების თანამონაწილეობით, მომდევნო წლებში აქტიურად გაგრძელდება ეკონომიკური განვითარების, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვის, სოციალური, ინფრასტრუქტურის და სხვა მიმართულების პროექტებები.

**— რა არის ის, რაც თქვენ უპირატესობას გაძლევთ სხვა პარტიებთან შედარებით?**

— მე ვარ მმართველი გუნდის, „ქართული ოცნების“, წარმომადგენელი. გუნდმა დიდი ნდობა გამომიცხადა და ვეცდები, ჩემი თავდაუზოგავი შრომით, იმედები გავამართლო. ეს ნდობა უდიდეს პასუხისმგებლობას მანიჭებს. „ქართული ოცნება“ ერთადერთი პოლიტიკური ძალაა, რომელსაც შეუძლია საქმე აკეთოს და ჩვენი ქვეყანა წინ წაიყვანოს. ასევე, პასუხისმგებლობის გრძნობას მიმატებს მოსახლეობის ჩემდამი დამოკიდებულება, მათი სიყვარული და პატივისცემა. როგორც კი გაჟღერდა, რომ კანდიდატად მოვიაზრებოდი, უამრავმა ადამიანმა, მათ შორის ბევრმა ისეთმა, რომელთა თანადგომასაც არ ველოდი, გამოხატა ჩემი მხარდაჭერა. რამაც უდიდესი გავლენა იქონია ჩემზე და გამიასმაგა სურვილი, გამოვადგე ჩემს სამტრედიასა და სამტრედიელებს. არჩევნებზე, ალბათ, მამის ავტორიტეტიც დამეხმარება, რომლის გარდაცვალების შემდეგაც, ქუჩა, რომელზეც ვცხოვრობ ატარებს მის სახელს. წარმოიდგინეთ, ესეც რამხელა პასუხისმგებლობას მანიჭებს — ისეთი რამ არასდროს უნდა გავაკეთო, მის სახელს ჩრდილი მიადგეს და, პირიქით, ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ მაქსიმალურად დავიხარჯო ჩემი საყვარელი მუნიციპალიტეტისათვის.

**— ადამიანის რაობა, ხისა არიყოს, მიწის ზემოდან კი არა, ფესვებიდან იწყება. აი, ახლანდელი მეცნიერები გენს რომ უწოდებენ და შემდეგ ამას ეფუძნება აღზრდა-განათლება თუ პროფესიული დაოსტატება. იქნებ საკუთარ თავზეც გვიამბოთ რამე, საიდან მოდიხართ, რა გზა გაიარეთ დღევანდლამდე.**

— დავამთავრე ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. შემდეგ კი საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის აგრობიზნესის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი.

1996 წლიდან ვმუშაობდი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 2014–2017 წლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილედ გადამიყვანეს. 2017 წლის 14 ნოემბრიდან კი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ვიყავი.

ამ პერიოდში მრავალი პროექტი განხორციელდა ჩემი ინიციატივითა და მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დოკუმენტის ხარისხი, შეიქმნა ადგილობრივი შემოსავლების ბაზა, გაიზარდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები, ყოველდღიურ რეჟიმში უშუალოდ ვაკონტროლებდი ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს.

**— ბატონო დავით, რა პრობლემებია ქალაქში და როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება სამტრედია ოთხი წლის შემდეგ, თქვენი შესაძლო მერობის პირობებში?**

— სამტრედიაში საკმაოდ ბევრი გამოწვევაა. მათ შორის, მოსაწესრიგებელია სასმელი წყლისა და კანალიზაციის სისტემები. მასშტაბური სამუშაოებია ჩასატარებელი, რადგან ქალაქში ქსელი მთლიანად ამორტიზებულია. ასევე მოსაწესრიგებელია სანიაღვრე სისტემები. სამტრედია არ არის მარტო დაბლობი ზონა, ჩვენთან შემოდის 6 ადმინისტრაციული ერთეული, რომლებიც მდებარეობს მთიან ზონაში. მათი წყალმომარაგების პრობლემა მთიანი ზონის მაცხოვრებლებისთვის უმნიშვნელოვანესია. წყალმომარაგების ქსელის მოწესრიგებისთვის მზადება უკვე დაწყებულია ქალაქის ტერიტორიაზე. წინა საპროექტო კვლევა ჩატარდა, უცხოურ დონორ ორგანიზაციასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. გარკვეული შეთანხმებები უკვე მიღწეულია და იმედია, ეს მასშტაბური პროექტი განხორციელდება. კიდევ ერთი გამოწვევა სამტრედიისთვის არის სპორტული ინფრასტრუქტურა. სამტრედია ცნობილია სპორტული ტრადიციებით და მიღწევებით. მხოლოდ ის რად ღირს, რომ კახა კალაძე წარმოშობით სამტრედიიდანაა. ახალი სტადიონის მშენებლობა, მრავალფუნქციური სპორტის სასახლის მშენებლობა, სპორტული მოედნების მშენებლობა — ეს ყველაფერი განხილვის საგანია და იმედია, ჩემი არჩევის შემთხვევაში, ამ საკითხების მოგვარებას შევძლებთ.

მიუხედავად იმისა, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობდა ბოლო პერიოდში, ამ კუთხით კიდევ მრავალი სამუშაოა ჩასატარებელი. მოსაწესრიგებელია მრავალბინიანი კორპუსების კომუნიკაციები და სახურავები. სამტრედია გამოირჩევა საკვანძო მდებარეობით, ესაზღვრება იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ექვს მუნიციპალიტეტს. სამტრედიას, საავტომობილო გზების მეშვეობით, გააჩნია მუნიციპალიტეტში შემომავალი შვიდი შემოსასვლელი, სადაც, ვფიქრობ, მოსაწყობია ორიგინალური მანიშნებელი აბრები.



შეუძლებელია არ აღვნიშნო, რომ სამტრედია, ისევე როგორც ბევრი სხვა მუნიციპალიტეტი, დგას დიდი გამოწვევის წინაშე, რომელსაც ჰქვია უმუშევრობა. ამ გამოწვევას კი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით უნდა ვუპასუხოთ. მასშტაბური პროექტები, რომლებიც მომავალში განხორციელდება, იძლევა როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური მუშახელის დასაქმების შესაძლებლობებს. პარალელურად უნდა განვითარდეს სხვა მიმართულებები. სამტრედიას აქვს სამედიცინო ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი — 1990-იან წლებამდე ჩვენთან არსებობდა ბალნეოლოგიური კურორტი „სამტრედია“. აქ უნიკალური თვისებების მქონე სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მინერალურ-თერმული წყალი 1400 მ. სიღრმის ჭაბურღილიდან მოედინება და ჭაბურღილიდან გამოსვლის მომენტში, მისი ტემპერატურა 61, 5 გრადუსი ცელსიუსია. დღეს ეს წყალი მხოლოდ სასათბურე მეურნეობაში გამოიყენება — ლიცენზიის მფლობელს 25 წლით აქვს აღებული წყალი და იყენებს სასათბურე მეურნეობაში. ეს ცუდი არ არის, რადგან იქ 50-მდე ადამიანია დასაქმებული და სხვადასხვა სახეობის პროდუქტი მოჰყავთ, მაგრამ ეს წყალი მისი პირდაპირი დანიშნულებითაც რომ გამოვიყენოთ, კარგი იქნება. ამ კუთხით რამდენიმე წელია ვმუშაობთ, გვაქვს კონტაქტები სახელმწიფო უწყებებთან, ლიცენზიის მფლობელებთან. მომავალში ვგეგმავთ, რომ ეს უნიკალური წყალი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დანიშნულებითაც იყოს გამოყენებული, რაც ათასამდე ოჯახს დამატებითი შემოსავლის წყაროს გაუჩენს.



**— ამ არჩევნებზე თქვენ „ქართული ოცნების“ გუნდს წარმოადგენთ, რომელიც უკვე კარგა ხანია ხელისუფლების სათავეშია. როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე მოახერხა ამ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ამ შედეგის მიღწევა?**

— განვლილი 30 წლის განმავლობაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი, ერთადერთია, როდესაც ქვეყანაში შენარჩუნებულია, მშვიდობა და სტაბილურობა. აქტიურად მიმდინარეობს ქვეყნის განვითარების პროცესი. ერთი შეხედვითაც აშკარად ჩანს ის პროგრესი, რასაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყანაში მივაღწიეთ.

**— ბატონო დავით, ამომრჩეველს მოსწყინდა ერთი და იმავე სახეების ხილვა ნებისმიერი არჩევნებისას. თუ არის ცვლილებები „ქართული ოცნების“ გუნდში, ვიხილავთ თუ არა თქვენს შორის ახალგაზრდა პოლიტიკოსებს?**

— ჯანსაღი განახლების პროცესი, რა თქმა უნდა, მიმდინარეობს. გუნდში გამოცდილ კადრებთან ერთად ვიხილავთ ახალ კომპეტენტურ კადრებსაც. გუნდში მანდილოსნებიც გვეყოლება, მაგრამ, არა იმიტომ, რომ უბრალოდ გენდერული თანასწორობა დავიცვათ.

არა, ეს მათ, უპირველესად, ნიჭიერების, თავდაუზოგავი შრომის წყალობით მოიპოვეს.

თავდაუზოგავი შრომით, პროგრესულად მოაზროვნე, კეთილსინდისიერი ადამიანების თანადგომით, საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით დასახულ მიზნებს აუცილებლად მივაღწევთ. სამტრედიას ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მუნიციპალიტეტად ვაქცევთ.

**— ბატონო დავით, წარმატებას გისურვებთ თქვენს მომავალ საქმიანობაში.**

ნატო ივანიაძე
593 56 48 28

# ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგაც დაცული უნდა იყოს და ის, უპირველესად, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დაიცვას ქართველ ხალხთან ერთად



*გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ხათუნა ხოფერია:*

**— მოგესალმებით, ქალბატონო ხათუნა. გასულ კვირას ფეისბუქ-პოსტი გამოაქვეყნეთ, სადაც ბიძინა ივანიშვილს სიფრთხილისკენ მოუწოდებდით. რა არის ის, რაც უნდა იცოდეს და რა არ იცის ბიძინა ივანიშვილმა?**

— ეს პოსტი, რა თქმა უნდა, გარკვეულ ინფორმაციებზე და ანალიზზე დაყრდნობით დავწერე. მაინტერესებდა, რა რეაქცია მოჰყვებოდა ჩემს მიმართვას.

ვერავინ ვერასდროს ვერ მეტყვის, რომ 2011 წლიდან მოყოლებული, თუნდაც ერთი დღე ყოფილიყოს ისეთი, არ ვყოფილიყავი ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი. ყველა



ჩემი სატელევიზიო თუ სხვა მედიასაშუალებებით გამოსვლებისას და ცხოვრების წესითაც, არაერთხელ დამიმტკიცებია, რომ მქონდა და მაქვს ბიძინა ივანიშვილის ნდობა და პატივისცემა. მიუხედავად ბევრი ადამიანის დაჟინებული მტკიცებისა, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი, ყოველთვის ვამბობდი, რომ ის არის შესანიშნავი პოლიტიკოსი, აქვს უნარი ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებების მიღების და, აქედან გამომდინარე, არასდროს მის გადაწყვეტილებებს არ გავმიჯნივარ.

ამ ვითარებაში, ცოტა უცნაური იყო ჩემთვის ის კომენტარები, რაც მოჰყვა ჩემს პოსტს. გამიკვირდა, რომ, რატომღაც, გაღიზიანდნენ იმ პოლიტიკოსის მხარდამჭერები, რომელსაც გამორჩეულად დიდ პატივს ვცემ და მხურვალედ ვგულშემატკივრობ. მას სულ ვაფრთხილებდი, რომ სჭირდებოდა პოლიტიკური, სუფთა პარტიული მხარდაჭერა, რომელიც დღესაც არ გააჩნია, რადგან პარტია მისი გუნდი არ არის...

ამას ვამბობდი და ვამბობ მე, ხათუნა ხოფერია, პოლიტიკოსი, რომელიც პოლიტიკაში მენეჯერობიდან არ მოსულა, არც მაღაზიის დახლიდან, ან ვენახიდან.

მე ვარ პარტიული კადრი, რომელმაც კარგად იცის, რით სუნთქავს პარტია, ნებისმიერი ბრიფინგი, გამოსვლა, კომენტარი, ბილბორდია თუ რაც არის, რას ემსახურება და რას ნიშნავს, ამის მიხედვით შემიძლია, ვიგრძნო და მივხვდე, რა ხდება რომელიმე პარტიის შიგნით. ამას მივუთითებდი ყოველთვის, გულშემატკივრის პოზიციიდან, ირაკლი ღარიბაშვილს.

**— მოდით, დაწყებული საუბარი გავაგრძელოთ და ბიძინა ივანიშვილის წინაშე მდგარ საფრთხეებზე ვისაუბროთ...**

— გეტყვით იმას, რაც ყველამ იცის. მაგალითად, შარლ მიშელის დოკუმენტში, როგორც ვიცით, ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იყო სასამართლო რეფორმის ჩატარება, რომლის შემდეგაც, პრაქტიკულად, უცხოელების მიერ მოხდებოდა სასამართლო სისტემის რეფორმირება და მისი, ანუ მესამე უმთავრესი სახელისუფლებო ბერკეტის მართვა.

სატელევიზიო გამოსვლაში ერთხელ კიდევაც ვთქვი, რომ ეს ჩემთვის ძალიან საგანგაშო სიგნალი იყო, რადგან, არ გამოვრიცხავ, ერთ-ერთი პირველი, ვის მიმართაც ეს „რეფორმირებული“ სასამართლო რეპრესიებს დაიწყებდა, იქნებოდა ბიძინა ივანიშვილი.

ამის გარკვეულ საფუძველს იძლევა არა მარტო ის, რა კულუარული ინფორმაციებიც არსებობს, არამედ სააკაშვილის და სხვადასხვა ოპოზიციური ლიდერების მხრიდან გამჟღავნებული მუქარები ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ.

ფაქტი ის არის, რომ შარლ მიშელის დოკუმენტს ხელი მოაწერეს ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული პარტიის წევრებმა. მეტიც, ამ დოკუმენტის შემუშავებაშიც იღებდნენ მონაწილეობას და კელი დეგნანის მიერ გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, სასამართლო რეფორმა, რის განხორციელებასაც აპირებდნენ მიშელის დოკუმენტის შესაბამისად, როგორი იქნებოდა, ყველა კარგად ხვდება.



მე ვსაუბრობ იმაზე, რაც გახმაურებულია, მაგრამ არსებობს კიდევ ძალიან ბევრი ინფორმაცია, რომლებიც კულუარებიდან გამოდის. მაგალითად, ინფორმაცია იმაზე, რატომ მოხდა მეგის ქარდავას საკითხის გააქტიურება, რამდენად რეალურია სააკაშვილის ჩამოსვლა, რატომ აპირებდა ჩამოსვლას და ა.შ.

არსებობს ინფორმაციები იმის შესახებაც, რომ საქართველოს პრეზიდენტი უპირისპირდება ხელისუფლებას და იკავებს პოზიციას, რომ ვადამდელი არჩევნებიც დაინიშნოს, შარლ მიშელის პოზიციასაც უნდა დავუბრუნდეთ, დაკნინდეს საპატრიარქოს და ეკლესიის როლი. შენიშვნებს აძლევს და უკმაყოფილოა სინოდის მუშაობით. ამას რომ აკეთებს საქართველოს პრეზიდენტი, აქ კითხვები არ უნდა გაჩნდეს?

**— ამას, თქვენი აზრით, რატომ აკეთებს?**

— რატომ და იმიტომ, რომ ეს არის მზადება, რათა არჩევნების მერე მოხდეს ერთი ნაბიჯის უკან გადადგმა და შარლ მიშელის დოკუმენტთან დაბრუნება, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ზემოთნახსენებ სასამართლო რეფორმებსაც ითვალისწინებს. ეს კი ნიშნავს კერძო საკუთრების კონტროლს სასამართლოს მხრიდან, არჩევნების კონტროლს, სტრატეგიული ობიექტების, თვით ბიძინა ივანიშვილის, მისი ქველმოქმედების კონტროლს და როცა პრეზიდენტი დეკლარირებას აკეთებს, რომ მას სურს, ეს განხორციელდეს ქვეყანაში, მიჩნდება შეკითხვა: მეგობარი და გულშემატკივარია ეს ადამიანი?!

კიდევ ვიმეორებ: ბიძინა ივანიშვილი ჩემთვის არ არის „ვიღაცა“. ის ქართულ პოლიტიკაში უნდა იყოს, როგორც, გარკვეული გარანტი იმ პოზიციების, რომლებიც მან მოიტანა და იმ სიკეთეების, თუ პოლიტიკური ბალანსის, რაც ჩამოყალიბდა 2012 წლიდან. ის პასუხისმგებელია ყველაფერ ამაზე.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგაც დაცული უნდა იყოს არაკეთილისმსურველების შეტევებისგან და მოღალატეებისგან. ის უნდა დაიცვას ქართველმა ხალხმა და, პირველ რიგში, მისმა პარტიამ — „ქართულმა ოცნებამ“.

**— არჩევნები ახლოვდება და დაძაბულობას უნდა ველოდოთ?..**

— იცით, ახლა ყველაზე ნაკლებად მაინტერესებს არჩევნები, ჩემთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი არის, რა მოჰყვება არჩევნების შედეგებს. ცნობს თუ არა მას საერთაშორისო საზოგადოება, სხვადასხვა ორგანიზაციები.

თქვენ ფიქრობთ, რომ ვინმე ამ შედეგებს ტაშს დაუკრავს და არ მოხდება სიტუაციის გამწვავება?

ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ აქ სიტუაცია დალაგებული აქვს და ეს ამბები არ იქნებოდა გარჩეული სააკაშვილთან სუფრაზე ევროკავშირის წევრების მხრიდან?! თუ მელიას და ჟორიკა რურუას განთავისუფლებით ერთხელ რომ შეგვაფურთხეს სახეში, ახლა მეგის ქარდავათი უნდათ რომ შეგვაფურთხონ?!

**— ქალბატონო ხათუნა, ხომ არ შეიძლება „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ ისეთი გამონაკლისები, თანამდებობის პირებს გულისხმობ, რომლებიც ფარულად იქნებიან მოლაპარაკებული ძირითად ოპოზიციურ ძალებთან რაიმე სახის დათმობებზე?**

— 2020 წელს ყველანი დავდექით ფაქტის წინაშე, რომ „ნაცმოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის იყო პოლიტიკური შეთანხმება. ეს შეთანხმება იყო ყველაფერზე, გადანაწილდა პროცენტებიც, მაგრამ ბოლოს მოხდა ისე, რომ ბიძინა ივანიშვილი წავიდა პოლიტიკიდან, მაგრამ სააკაშვილი არ წავიდა. მან დაარღვია შეთანხმება. მათ შორის, შარლ მიშელის დოკუმენტთან დაკავშირებითაც. მიჩნდება ეჭვი, რომ ანალოგიური სიტუაცია არის ახლაც. როცა ყველაფერს აკეთებენ, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი ვინც იყო და განაწყენებულია, კიდევ მეტად გაანაწყენონ. ისევ იგივე წრეზე ხომ არ მივდივართ, სადაც ჟორიკა რურუაზე კი აღარ იქნება საუბარი, არამედ სააკაშვილის ჩამოსვლაზე, რომელიც, როგორც პოლიტიკური ლიდერი, ისე დაბრუნდება ქვეყანაში.

როგორც ჩანს, ვიღაცამ თავის თავს მისცა ამის უფლება.

მეგის ქარდავა, რომელიც ამდენი ხანია დაჭერილია, ახლა დაიწყო მის ექსტრადაციაზე ლაპარაკი და ერთ ხანს მთელი ევროპა დადგა ფეხზე, რომ ის არ ჩამოეყვანათ საქართველოში.

როგორც შეიძლებოდა ამ კაცის მკვლელის, კაცის გამაუპატიურებლის, კასტილიანის ძმაკაცის დაცვა დაეწყო ევროპას.

ვიღას გაუკვირდება ამის შემდეგ, რომ საქართველოს პრეზიდენტის და გაეროს მხრიდან სააკაშვილის დაცვაზე რომ დაიწყოს მოქმედებები?

**— ბევრი რამ ხდება პოლიტიკაში. შეიძლება რაიმე გარანტიები არსებობს მოლაპარაკებების საფუძველზე.**

— კიდევ ვამბობ: მოლაპარაკებები და გარანტიები იყო 2020 წელსაც, როცა სააკაშვილი უნდა წასულიყო პოლიტიკიდან, ჩამოსცილდებოდა ყველაფერს და უნდა დამდგარიყო სრულიად სხვა სცენარი, მაგრამ მივიღეთ საშინელი რამ, რაზეც მოუწიათ მერე მთლიანად უკან დახევა.

**— ახლაც, ამ არჩევნებში, მიჯნასთან ვართ ჩვენ, როგორც სახელმწიფო?**

— რაღაც სცენარები, ალბათ, არსებობს და ეს იქნება საპარლამენტო არჩევნები თუ ადგილობრივი არჩევნები, ამას არ აქვს იმ „სცენარებში“ მნიშვნელობა. მთავარი არის თანამეგობრობა; რას გააკეთებენ და როგორ ნაბიჯებს გადადგამენ და როგორც მე ვხედავ, ეს არ იქნება ჩემი ქვეყნისთვის სასიკეთო. ყოველ შემთხვევაში, ის ადამიანები, რომელთათვისაც აბსოლუტურად, ნებისმიერი ფორმით, მიუღებელია სააკაშვილის ან „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება, ეს იქნება კოალიციური მთავრობა თუ სხვა რამ, ამას არ შეეგუებიან და ეს იქნება სამოქალაქო დაპირისპირების საბაბი, რაც არ უნდა დავუშვათ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ამხანაგი ანზორი „მოსკოვებიდან“

## მივმართავ მოხუცთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას – ნიკანორ მელია საკუთარ მამას აბულინგებს!





ჩემი ღრმა რწმენით და გაგებით, ნიკანორ ანზორის ძე მელია თავის მამას, ანზორ მელიას აწვალებს. მე კატეგორიულად ვითხოვ, სასწრაფოდ ჩაერიონ ამ საქმეში მოხუც მამათა და დედათა დამცველები დეპუტატ ბუბა კიკაბიძის ხელმძღვანელობით. შეიძლება ნიკანორს ვინმე ავალდებულებს, მამაშენი უნდა აწვალოო. მე ამ საქმეში ვხედავ მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას მამაძაღლურ კვალს. მათ უცილობლად ექნებათ კომპრომატიული ფაილი, სადაც სავარაუდოდ აღწერილი იქნება ნიკანორის ტატრაყუნული მოძრაობები. როგორცა სჩანს, ეს ფაილი დაუდეს და უთხრეს, მამაშენის ძალისხმევით ან მეგრელებს აიგდებ სასაცილოდ, ან კიდევ ტატრაყუნულ მოძრაობებს გამოგიქვეყნებთოო. რა უნდა ექნა ნიკანორს, სხვა რა გზა ჰქონდა? გააგზავნა მშობელი მამა ზუგდიდში, დააყენა მერობის კანდიდატად და ისეთ რაღაცებს ალაპარაკებს, მთელი სამეგრელო სირცხვილით იწვის.

ბატონი ანზორი რუსეთის მიმართ გამოირჩევა ნამეტნავი აგრესიულობით. მან თავის დროზე „მოსკოვებში“ კი დაამთავრა საექიმო ინსტიტუტი და რუსეთი მეორე სამშობლოდაც მიაჩნდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი წაგვართვეს, გაბრაზდა!

ოოოოოო... გაბრაზებაცაა და გაბრაზებაც, ასეთი ანზორ მელია არავის ახსოვს: „საქართველოს ჩვენ არ დავუთმოთ რუსებს, გამორიცხულია, ეს მთავრობა მიგვაქანებს რუსეთისაკენ და ეს ყველა თქვენგანმა იცის. რუსეთი აგრესორია, რუსეთი დამპყრობელია და მე ამას ვერ შევეგუები“!

მეო, აცხადებს ბატონი ანზორი, 2008 წლამდე არ ვიყავი რუსებზე გაბრაზებული, ადრე აფხაზეთი რომ წაგვართვეს, ქართველების ბრალი იყოო, შეცვივდნენ, სოხუმი გაძარცვესო. როგორც ჩანს, ნიკანორის მამამ არ იცის (ან კი საიდან უნდა იცოდეს, წიგნთან მწყრალად ჩანს), რომ მაროდიორობა ყველა ომს ახასიათებს. შემდეგ თქვა, მაშინ „მხედრიონი“ იყოო. კი, ბატონო, იყო, მაგრამ სოხუმის დაცემა სულ სხვა პოლიტიკურ კატაკლიზმებთან იყო დაკავშირებული, ამხელა იმპერია დაიშალა და ჩვენ, სამწუხაროდ, საკუთარი ნებით ნანგრევებში მოვყევით. რაც მაშინ სამეგრელოს „მხედრიონის“ ხელით გაუკეთეს, ესეც რუსული სცენარის ერთი სიუჟეტი იყო. რა შეცდომებიც არ უნდა იყოს დაშვებული, არ შეიძლება, ზუგდიდის მერობის კანდიდატმა აფხაზეთის დაკარგვა ქართველებს დააბრალოს და თქვას, 2008 წლამდე რუსეთი ჩემს მეორე სამშობლოდ მიმაჩნდაო, მანამდე გაბრაზებული არ ვიყავიო.

განა რამედ ღირს ამ გზასაცდენილი მოხუცი „პოლიტიკოსის“ გამონათქვამების კითხვა, გაანალიზება და თქვენამდე მოტანა? არა, ან კი რა გაანალიზება უნდა იმ აბდაუბდას, რასაც ყოველდღე ვისმენთ? მე იმ ადამიანებისა მიკვირს, დაახლოებით 30–50 კაცისა და ქალისა, ამას რომ დაჰყვებიან და პირდაღებულები შეჰყურებენ. არ გამოვრიცხავ, შეიძლება მათ ფულსაც უხდიან, მაგრამ განა რამდენი უნდა მოგცენ, რომ ანზორ მელიას უსმინო? პრინციპში, ამათიც რა მიდის? ზოგს ბოსტანსა და ბაღში მუშაობა ისე ეზარება, ისევ ეს ურჩევნია. სხედან, ერთ ადგილს იფხანენ, ეს კიდე უბერავს:

„ჩვენ გვინდა საქართველო ისეთი, სადაც ყველა ჩვენგანი ბედნიერი იქნება. ზუგდიდიდან დავიწყოთ საქართველოს აღორძინება“.

ანზორ მელია ზუგდიდიდან იწყებს საქართველოს აღორძინებას. მას დაახლოებით ასეთი გეგმა უნდა ჰქონდეს: ზუგდიდს და სამეგრელოს რომ ააღორძინებს, ავა ზემო სვანეთში, იმასაც რომ ააღორძინებს, გადავა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. შემდეგ „ჩერეზ“ ქუთაისი გადავა გურიაში, აჭარაში, გადმოვა სამცხე-ჯავახეთში, გადავა ქვემო ქართლში, შეუყვება შიდა ქართლისკენ, ავა მცხეთა-მთიანეთისკენ, დეეშვება თბილისისკენ და ბოლოს დგაფანს იზამს კახეთისკენ.

ჩვენ გვჯერა, განა არ გვჯერა, რომ ანზორ მელია საქართველოს აღორძინებას ზუგდიდიდან დაიწყებს, მაგაში დარწმუნებულნიც კი გახლავართ, მაგრამ აქ ერთი პრობლემაა – როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადალაჯება ხომ არ გაუჭირდება? ჰო, რავი, გული კი ერჩის, გული მის ხელშია, სხვის გულებსაც კი არემონტებს... მთავარია, მუხლმა და ლაჯმა არ უმტყუნოს. ჩემი ღრმა რწმენით, ბატონ ანზორს ძაან კომპლექსური პროგრამა აქვს დაწერილი, გარდა იმისა, რომ მან საქართველო უნდა ააღორძინოს იაფად, რუსეთიც უნდა დაამარცხოს და აღგავოს მიწის პირისაგან. არ აპატიებს ვინმე პუტინს ასეთ ბოროტებას, ვერ შეეგუება. ჩვენ ყველაზე დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ, რუსეთს აწყობს, რომ საქართველო დააქუცმაცოს, ოჯახები მოსპოს და ისინიც დააქუცმაცოს, გაანადგუროს. რუსეთს უნდა ერქვას არა ოკუპანტი, არამედ ბოროტი მაქუცმაცებელი. ოკუპანტიც ერქვას, არ არის პრობლემა, მაგრამ ეს ქვეყანა არის ქუცმაცის მოყვარული.

2008 წლამდე ანზორ მელიას რუსეთი მეორე სამშობლოდ მიაჩნდა. თურმე ცდებოდა. აი, ამათთვის კი, ამ ხელისუფლების წევრებისთვის რუსეთი დღესაც სამშობლოა, თანაც მეორე კი არა, პირველი. აბა, ჩაფიქრდით, დაძაბეთ მეხსიერება, ამ ხელისუფლებიდან ვინმეს სამშობლო ან დედის ძუძუი როდისმე უხსენებია? ირაკლი ღარიბაშვილიც რუსია, წამდაუწუმ იძახის, გარეჯი საქართველოაო, მე პატარა ქართველი ვარო, კავკასიის მთების შვილიო. ცრუობს, არანაირი კავკასიის მთების შვილი ეგ არ არი, ეგ შირაქში დაბადებული ბალღია! აი, ყველაზე სამწუხარო კი ის არი, რომა... ქვეყანა ბალღებმა ჩაიგდეს ხელში და აღარ უშვებენ. განა მას უნდოდა პოლიტიკაში მოსვლა? არა, ეს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა გადააწყვეტინა და კიდევ იმან, რომ ლამის მთელმა ქვეყნიერებამ კალთები დაახია... მიდიოდნენ და ეხვეწებოდნენ, მუხლებს ქვემოთ უვარდებოდნენ, კოჭებში, ფეხის თითებში. არადა, როგორც ბატონი ანზორი ამბობს ერთ-ერთ სააგენტოსთან საუბარში, როცა ნიკანორი წავიდა პოლიტიკაში, მშობლები შოკირებულები ვიყავით, სამი თვე არ ველაპარაკებოდითო.

აი, მეგობრებო, რა არის ცხოვრება, როგორი მოულოდნელობებით არის აღსავსე, როცა ნიკანორმა პოლიტიკოსობა მოინდომა, ანზორი შოკში ჩავარდა, ახლა კიდევ თვით ანზორიმაც საკუთარი თავი პოლიტიკურ მდინარებას მისცა თუ მიაცემინეს. ზუგდიდის მომავალი მერის თქმით, სამშობლო იმნაირი რამეა, ყველაფერს ჩაგადენინებს, შეიძლება დადგეს მომენტი, მტკვარში გადახტომაც გაიძულოს.

მე 2012 წელს ხმა „ქართულ ოცნებას“ მივეციო, ამბობს ანზორ მელია. თუმცაო, მერე ნიკანორმა დამსვა, მესაუბრა და ყველაფერი ისე ასრულდა, როგორც ნიკამ მითხრაო. ესე იგი, რა გამოდის, 2012-მდე ეს ადამიანი ქოცი იყო, შემდეგ შვილმა იძალადა, განაქოცა და მეტიც, მერე გაანაცა? წარმოგიდგენიათ, რა სახის მწვალებლობასთან გვაქვს საქმე? საკუთარ მამას ტვინი შეუტრიალა, ხალხო, ტვინის უჯრედები გაუღუნა.

მომავალი მერი ამბობს: „ჩემს თავზე ვარ გაბრაზებული, რატომ მჯეროდა რომ საქართველოს იხსნიდა ბიძინა ივანიშვილი. თავის თავზე და თავის ქონებაზე ფიქრობს. ეკონომიკა ჩამოიშალა, ხალხი სიღარიბის ქვემოთაა, ეს ჩემს პროფესიაშიც აისახება. თუ ადრე 60 პაციენტი მოდიოდა, ახლა შესაძლებლობა არ აქვს ხალხს და 20–25 კაცამდე შემცირდა მომართვიანობა. სულს ვღაფავთ“.

ადრე 60 პაციენტი მოდიოდა, ახლა 20–25 მოდისო. იმის ნაცვლად, რომ უხაროდეს, ხალხს გული აღარ აწუხებსო, წუწუნებს, ეკონომიკა ჩამოიშალა, მოსახლეობას საშუალება აღარ აქვსო. აი, აქ კი ძალიან ვირეშმაკობს ბებერი მელია (მეც გავბრაზდი), ჯერ ერთი, გულის ოპერაციები ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, აქ გაჭირვება არაფერ შუაშია, მეორეც – ადრე თუ რამდენიმე კლინიკა არსებობდა, ახლა ასეულობით გაიხსნა, საქართველოში უკვე ისეთი ოპერაციები კეთდება, მელიებს არც კი დაესიზმრებათ.

ამხანაგებო, მე მაინც ვფიქრობ, რომ უფროსი მელია მძევალია... არა, განა მამა-შვილის პოლიტიკოსობა მიკვირს? მსგავსი შემთხვევები მრავლადაა მსოფლიო ისტორიაში, მარტო ბუშების მოღვაწეობა რად ღირს? თუნდაც მამა-შვილი გაბაშვილი ავიღოთ... არა, მე ვუყურებ უფროს მელიას და აშკარად ეტყობა მწვალებლური გავლენა, როგორც გონებრივად, ისე სულიერად. ამიტომ, მივმართავ მოხუცთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას, ამ საქმეში ბუბა კიკაბიძის ჩართვა გადავიფიქრე, უარი თქვა, თან მეზარება, თან მეძინებაო. ისე, თუ მოხუცთა დამცველები ბუბა პაპას ბედითაც დაინტერესდებიან, მართლა არ იქნება ურიგო, რაც დეპუტატი გახდა, გაქრა. დაველოდოთ, ვნახოთ, როგორ და რანაირად განვითარდება მოვლენები, თუ რამე შეიცვალა, დამატებით შეგატყობინებთ.



**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# მათთვის ვამბობ, ვისაც შეთქმულების თეორიების არ სჯერა – ნოეც შეთქმული ეგონათ წარღვნის მესამე დღემდე

*გვესაუბრება პოლიტიკის ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე:*

**— ბატონო სოსო, თქვენ ხშირად საუბრობთ გლობალური ეპიდემიის პოლიტიკურ სარჩულებზე. მსოფლიო პანდემია ძველ პოლიტიკურ, ასე ვთქვათ, წესრიგს დაარღვევს? თუ დაარღვია უკვე?**

— ეპიდემიის მიზეზით შექმნილი გლობალური პოლიტიკური თამაში, რომელიც მიმდინარეობს საქართველოში და მთლიანად, მსოფლიოში, საერთოდ ცვლის პოლიტიკურ კონიუნქტურას და ცხოვრების მიმდინარეობის სურათს. ძველი კლიშეებით პოლიტიკური პროცესების განხილვა ისე, რომ აქ არ ჩავრთოთ სიგიჟე, პანდემიის სახით, რომელიც გაბატონდა მთელ მსოფლიოზე, ჩვენი მხრიდან არასერიოზული იქნება.

ამ თამაშში ჩართულმა ხელისუფლებებმა კონტროლის სრულიად ახალი ბერკეტები შეიძინეს.

**— რა ბერკეტებია ეს?**

— ეს არის ტოტალური კონტროლის პოლიტიკური ბერკეტები ქვეყნებისთვის, მაგრამ, საინტერესოა, რომ ამ პროცესის ალგორითმში ადგილობრივი ნაციონალური სახელმწიფოების ელიმინაცია, ანუ განადგურება დევს.

ნაციონალური სახელმწიფოები გლობალური მმართველობისთვის სასურველი რამ არ არის და, შესაბამისად, ის პროცესები, რაც ხდება ჩვენს გარშემო და აბსურდული იძულება რაღაცების, ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლებების ხელით, იმავე ცენტრებიდან, რომლებიც ამ აბსურდებს ნერგავენ, თან ვრცელდება ამ ფარსის მამხილებელი მასალებიც. ხელისუფლებებიც, ამ გაორებულ ინფორმაციულ შტურმში იწვევენ ხალხის აგრესიას. მაგალითად, საფრანგეთში, იტალიაში და სხვაგანაც ფართომასშტაბიანი გამოსვლები მიმდინარეობს.

ბოლო ხანებში საქართველოშიც გვაძალებდნენ და გვაიძულებდნენ, აიცერით, თავი დაიცავით, ეს სასურველია იმუნური ფონის შესაქმნელადო. ახლა აღმოჩნდა, რომ, თურმე, მათ, ვინც კოვიდ-19 გადაიტანა, გაცილებით მეტი იმუნური გამძლეობა ჰქონიათ, ვიდრე მათ, ვინც აიცრა, ანუ მთელი ეს სარეკლამო და სააგიტაციო პროპაგანდა აბსურდი ყოფილა.

საბოლოო ჯამში კი ყველაფერი მიმართულია ადგილობრივი ხელისუფლებების და ერი-სახელმწიფოების წინააღმდეგ.

**— ანუ მონონაციონალური სახელმწიფოების მიმართ საშიშროება უფრო დიდია?**

— არა, ზოგადად, ერი-სახელმწიფოების მიმართ. ეს „ოპერაცია" არის ძალიან მრავალშრიანი, ღრმად ეშელონირებული და მრავალ ამოცანას ისახავს მიზნად. ერთ-ერთი მიზანი არის ის, რასაც არავინ მალავს, მაგალითად, რომის კლუბის, 300-თა კომიტეტის, გაეროს დოკუმენტები წაიკითხეთ და მიხვდებით, რომ ერი-სახელმწიფო არის ხალხთა ორგანიზების ის ფორმა, რომელიც არ არის სასურველი გლობალური მმართველობისთვის და ისინი ამას არც მალავენ.



**— თქვენ მასონებზე, 300-თა კომიტეტზე, გარკვეული ტიპის შეთქმულების თეორიებზე საუბრობთ, რაზეც ამბობენ, რომ დიდების ზღაპრებია.**

— დიახ, ცხვრებისთვის შეთქმულებაა ის, რომ ისინი საბოლოოდ სასაკლაოზე დაამთავრებენ არსებობას.

ნოეც შეთქმული ეგონათ წარღვნის მესამე დღემდე.

შეთქმულების თეორიების ზღაპრულობა მოიგონეს იმ ადამიანების დისკრედიტაციისთვის, რომლებიც ამ შეთქმულებებს ხვდებოდნენ და ამხელდნენ.

რაზეც ვსაუბრობ, არ არის საიდუმლო დოკუმენტების მასალები, ყველაფერი არის ღია, უბრალოდ, საჭიროა, ადამიანმა ინფორმაციები მიიღოს და სწორად გადაამუშაოს თავის გონებაში.

ყველა ხელისუფალმა და მათ შორის, ჩვენმაც, უნდა გაითვალისწინონ, რომ მათ იყენებენ და თავისივე ხელით ათხრევინებენ საკუთარ საფლავებს.

**— არეულობები თუ არის მოსალოდნელი, ვთქვათ, ოქტომბრის თვეში, მით უფრო, რომ ცხელი პოლიტიკური შემოდგომაა და ამ არეულობების ტალღას ხომ არ შეიძლება საქართველოში ექს-პრეზიდენტი შემოყვეს, მისი სურვილის შესაბამისად, რომელიც, შეიძლება, გარკვეულ უცხოურ პოლიტიკურ ძალებს სჭირდებოდეთ, როგორც კიდევ ერთხელ გამოსაყენებელი პოლიტიკური მარიონეტი არეულობების მოსაწყობად?**

— მეეჭვება, სააკაშვილი ამისთვის გამოდგეს. ჯერ ერთი, მისი პიროვნული თვისებების გამო და მეორეც, ის აბსოლუტურად დისკრედიტირებულია და ჩვენ უნდა გვესმოდეს, ერთია განზრახვები, რომლებზეც ვსაუბრობთ და მეორეა, ადგილებზე ხელისუფლებების თავდაცვის ინსტინქტები. ეს ინსტინქტები ხელისუფლებებს აქვთ.

რაც შეეხება სააკაშვილის ჩამოსვლას, ჩემი აზრით, ის არ და ვერ ჩამოვა საქართველოში. მას არ აქვს აქ პოლიტიკური მხარდაჭერა.

მან კარგად იცის, რომ მის ჩამოსვლას შეიძლება მოჰყვეს შეიარაღებული დაპირისპირება. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ის მიუღებელია და კონტროლის მექანიზმების მიუხედავად, რაც არსებობს საქართველოში, ეს მექანიზმები, მისი ჩამოსვლის შემთხვევაში, გამოვა მწყობრიდან, როგორც იყო ჩვენს უახლეს ისტორიაში — საძმოები და სხვა კრიმინალური დაჯგუფებები გააქტიურდებიან, შეიქმნება უმართავი პროცესები და ყველას დაავიწყდება, ვინ ვისი აგენტი იყო, ვინ ვისი მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. სავარაუდოდ, სააკაშვილი ხვდება ამას და, რადგან მასში დიდია შიშის იმპულსი და ეს არაერთხელ დავინახეთ, ვერ გარისკავს საქართველოში ჩამოსვლას. მე ნაკლებად ველოდები ამას.

სააკაშვილს უამრავი მტერი ჰყავს საქართველოში.

ამის გარდა, წლების განმავლობაში არსებული სიძულვილის ფრქვევა, რაც მიმდინარეობს მედიით და აკუმულირებულია ხალხში, ამან შეიძლება ერთხელაც საბედისწეროდ გადმოხეთქოს, რაც გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციებს, რომლის მართვა შეუძლებელი იქნება.



**— ბატონო სოსო, თუ, ვთქვათ, ამ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ" კვლავ მიიღო ხმების უმრავლესობა, დასავლური ძალები დემოკრატიას საქართველოში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ?**

— ეს მოსაზრება საშინაო მოხმარების და გარე მართვისთვის შემოგდებული დისკურსია.

მაგალითად, იაპონიაში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია 45 წელი მართავდა ქვეყნას, მაგრამ არავის უთქვამს მათთვის, იაპონიაში დემოკრატია საფრთხეშიაო.

ასეც რომ იყოს, რატომ უსმენენ ამ მდარე ხარისხის შემფასებლებს, თუნდაც ამერიკის სენატის და კონგრესის წარმომადგენლები იყოს. ამ უკანასკნელებს თავიანთი გასაჭირი ადგათ. უმძიმესი კრიზისია შტატებში. ამიტომ მათი შეფასებები უნდა მოისმინო და ან უნდა აღშფოთდე, ან შეშფოთდე და მორჩა.

იმუქრებოდნენ, სანქციებს დაგიწესებთო; რას გვერჩიან, თვითონაც არ იციან. ისედაც სრულ აბსურდში არიან. იგივე ავღანეთის საკითხი რომ ავიღოთ. გააგიჟეს ავღანელი ხალხი — შეუსიეს არასამთავრობოები, გენდერული თეორია, ლიბერალური ღირებულებების დანერგვა, ფემინისტები, ლგბტ აქტივისტები და ა. შ. და ამერიკელებმა „ძლივს გამოასწრეს თავიანთ ცხენს პორტ-არტურიდან", როგორც კი თალიბები დაიძრნენ მათ წინააღმდეგ.

ბაიდენმა კი, რომლის მითითებითაც კატასტროფა მოხდა ავღანეთში — 88 მლრდ-ის შეიარაღება დაუტოვა თალიბებს და აშშ-ის ათასობით მოქალაქე ჩატოვა საშინელ საფრთხეში.

ამ კატასტროფის შემდეგ მათ არც ხალისი აქვთ და არც შესაძლებლობა, აკონტროლონ ვითარება ევრაზიის ისეთ ქვეყნებში, როგორიც ჩვენ ვართ და ამას თუ ვერ გავაცნობიერებთ, ცუდ დღეში აღმოვჩნდებით. ხელისუფლება და მედია ამაზე უნდა ლაპარაკობდეს, მაგრამ, რასაც ვხედავთ, მშვენივრად ვხედავთ.

**— ბატონო სოსო, თქვენი ფარული ჩანაწერი გავრცელდა ახლახან. გამოდის, რომ თქვენც გისმენენ. ისე, მართლა გქონდათ ასეთი საუბარი ლევან ვასაძესთან?**

— დიახ, ბევრი მისვამს შეკითხვას ლევან ვასაძის და ჩემი საუბრის ჩანაწერის ავთენტურობის შესახებ.

ვადასტურებ, ასეთი საუბარი შედგა. საუბრის შინაარსი და ტონალობა გამომდინარეობდა იმ საფრთხიდან, რომლის წინაშეც მაშინ მიმდინარე უკონტროლო მიგრაციის გამო დადგა ჩვენი ქვეყანა და რომლის შეჩერებაც მოხერხდა ბევრი ჩვენთაგანის ძალისხმევით.

ამავე დროს მინდა ვთქვა, რომ პირადი ცხოვრება არ არის მხოლოდ მისი სექსუალური შემადგენელი. პირადი საუბრებიც პირადი ცხოვრებაა და თუ ადამიანი არ არის ეჭვმიტანილი სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმიანობაში, მისი მოსმენა და კონტროლი არის უზნეობა და დანაშაული.

ასეთივე დანაშაულია იმ საინფორმაციო საშუალებების პარპაში, რომლებიც ადამიანების პირადი ცხოვრების შესახებ მოპოვებულ ცნობებს თავიანთი პოლიტიკური დღის წესრიგის მიხედვით ასაჯაროებენ.

დანაშაულია ამ პარპაშზე პასუხის არმოთხოვნა და ვიღაც ადამიანებზე ნადირობა ამ ჩანაწერების გავრცელების ბრალდებით, როცა მათ ტელევიზიები და სააგენტოები ავრცელებენ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18







# ფოთის „რჩეული“ გიგილოს „გმირობანი“

„ვხედავ ბევრ გაკვირვებულ თვალებს და ბევრი მეკითხება ბოლო დღეებია – რატომ ფოთი, რატომ მე და რატომ 5 ნომერი. ერთი მარტივი პასუხი მაქვს, იმიტომ, რომ 2 ოქტომბერს იქნება რეფერენდუმი, სადაც თითოეული ჩვენგანი გადავწყვეტთ, საბოლოო განაჩენს გამოვუტანთ და გავისტუმრებთ „ქართულ ოცნებას“, თუმცა მანამდე ჩვენ მოგვიწევს ერთობლივი ბრძოლა და შრომა. ჩემთვის უდიდესი პატივია აქ ვიყარო კენჭი და თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში გავხდე ფოთის რჩეული“ – ეს „სადღეგრძელო“ გიგი უგულავას ეკუთვნის. სწორედ იმ უგულავას რომელმაც ცხრა წელი მაგრად „იგულავა“ და ეხლაც არანაკლებად „გულაობს“. „თბილსერვის ჯგუფის“ საქმეზე გიგი უგულავას ბრალი



2013 წლის 22 თებერვალს წაუყენეს. გამოძიება ქალაქის იმჟამინდელ მერს სისხლის სამართლის 182-ე მუხლის (მითვისება-გაფლანგვა) მეორე და მესამე ნაწილის დარღვევას ედავებოდა. ბრალი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მერიის დასუფთავების სამსახურში ფიქტიური დასაქმების საქმეს უკავშირდებოდა. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა და პროკურატურამ თბილისის მერია 5.24 მილიონი ლარის საბიუჯეტო თანხის გაფლანგვაში დაადანაშაულეს. პროკურატურის მტკიცებით, 2009 წლის დეკემბერში შპს „თბილსერვის ჯგუფში“ შეიქმნა ახალი განყოფილება, სადაც 2 წლის განმავლობაში 764 ადამიანი ფიქტიურად დასაქმდა. ხოლო დასაქმებულები, პარტიული კოორდინატორები იყვნენ და ხუთ მილიონზე მეტი მათი ანაზღაურებისთვის დაიხარჯა. საგამოძიებო სამსახურმა ასევე განაცხადა, რომ 2010 წლის 6 აგვისტოს „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი დედაქალაქის მაშინდელმა მერმა გიგი უგულავამ დაამტკიცა. ასევე, პროკურატურა ამტკიცებდა, რომ გიგი უგულავას დავალებით, „თბილისის განვითარების ფონდში“ ფიქტიურად გაფორმებული შენობის კვლევის 719 სპეციალისტისთვის ანაზღაურების მისაცემად ბიუჯეტიდან 13.85 მილიონი ლარი გამოიყო. სპეციალისტები კი სინამდვილეში, როგორც „თბილსერვისის“ საქმეში, აქაც „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები იყვნენ. ასევე, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება, დახმარება გაფლანგვაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით (მთაწმინდის პარკის ქონების გაფლანგვის ეპიზოდი) და დახმარება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რასაც ახლდა განსაკუთრებით დიდი შემოსავლის მიღება (ტელეკომპანია „იმედის“ ეპიზოდი) 2007 წლის 7 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე მომიტინგეთა დაშლის პარალელურად, შს მინისტრის დავალებით მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიჭრნენ შსს შეიარაღებული სპეცრაზმელები და ტერიტორიიდან უკანონოდ გამოაძევეს პარკის თანამშრომლები. იმავე დღეს, თბილისის მერიაში ჩატარდა პრესკონფერენცია, რომ თითქოსდა შპს „ლინქსი“ არ იხდიდა მთაწმინდის პარკის იჯარის თანხას, რის გამოც თბილისის მთავრობამ შპს „ლინქსთან“ სრულიად უკანონოდ, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება მაშინ, როდესაც პატარკაციშვილის კუთვნილი კომპანია (შპს „ლინქსი“) პირნათლად ასრულებდა ყველა ვალდებულებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2007 წლის მიტინგის დარბევის „სხადნიაკზე“ სხვა ნაცელიტგარეწრებთან ერთად ბიჭი გიგილოც მშვიდად იჯდა და ისმენდა ვინ უნდა „დაეხვრიტათ ან, ჩამოეხრჩოთ“. ნუ, ზემოთ ჩამოთვლილი „შეხრამუნებული“თანხების ფონზე, ცოლის და მისი დაქალების ლივლივის ხარჯებს აღარ ჩამოვთვლი… წლების წინ, ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ, რომელშიც კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „სიმართლე“ 2008 წლის აგვისტოს ომის გარემოებების შესახებ უნდა დადგინდეს და ამ პროცესში „ყველას, მათ შორის პრეზიდენტს, იმდენჯერ მოუწევს დაკითხვაზე მისვლა, რამდენჯერაც საჭირო იქნება“. სააკაშვილის აღშფოთება და თბილისის სტრიპტიზმერის გაცოფება გამოიწვია. უგულავას აზრით გამოძიების ჩატარება ნიშნავდა იმას, რომ,, აღარასდროს ჩვენ არ გვეყოლება ქმედითი ჯარი, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვეღარასდროს შევძლებთ იმას, რომ მტერს გავუმკლავდეთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საერთოდ ქვეყანა არ გვექნება და ვერავინ ქვეყანას ვეღარ უხელმძღვანელებს, ვერც ერთი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, მათ შორის, თუ საჭირო გახდება საომარ მოქმედებებში. ამიტომ ეს ხალხი უნდა დაფიქრდეს, რას აკეთებს. ეს არ არის ჩვეულებრივი გამოძიება, რაღაცეებს, რომ ატარებენ, თუნდაც ჩემს წინააღმდეგ და ნებისმიერი ადამიანის წინააღმდეგ… ასევე მინდა კონკრეტული გამომძიებლების მისამართით ვთქვა, რომლებიც თუ დაიწყო, მონაწილეობას მიიღებენ ამ გამოძიებაში, რომ ეს არ არის “რა ვქნა, დამავალეს”. ამ შემთხვევაში ნებისმიერი გამომძიებელი მიიღებს ღალატში მონაწილეობას და, შესაბამისად, დაისჯება, როდესაც ამის დრო დადგება”, არადა, გიგილო უარყოფდა თავის „მისიას“ 2008 წლის ომში. გენერალმა მამუკა ყურაშვილმა 2013 წლის ივლისში თავის საინტერესო და მნიშვნელოვან ინტერვიუში განაცხადა,, ვადასტურებ, რომ გიგი უგულავა ერეოდა სამხედრო ოპერაციებში. თავდაცვის მინისტრმა კეზერაშვილმა მიუშვა უგულავა თავის უწყებასთან ახლოს სააკაშვილის დავალებით! ომიანობის დროს უგულავა მხოლოდ კონსერვების გამხსნელი არ ყოფილა. მას სხვა ფუნქციაც ჰქონდა – სწორედ სააკაშვილის დაავალებით 8 აგვისტოს დილით თბილისიდან წითელი ფიანდაზებით, დროშებით და გადასატანი ტრიბუნებით დატვირთული კორტეჟი დაიძრა და ამ კორტეჟის სარდალი სააკაშვილის დავალებით უგულავა იყო; სწორედ სააკაშვილის დავალებით უკავშირდებოდა უგულავა ცხინვალში სასტიკ ბრძოლაში ჩართულ ჩვენს სამხედროებს და უყვიროდა, რომ დღის 2 საათმდე დაესრულებინათ ყველაფერი, ვინაიდან გამარჯვებისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი უნდა დაწყებულიყო და სააკაშვილი და დიმიტრი სანაკოევი სიტყვით უნდა გამოსულიყვნენ. დიახ, უგულავას სხვა ბანდის წევრებთან ერთად არ აწყობთ აღნიშნული გამოძიება. მიზეზი ბევრი აქვთ… გავრცელებული ინფორმაციით 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაჭრილი ქართველი ჯარისკაცებისთვის, ვაშინგტონის ერთ-ერთი ონკოლოგიური საავადმყოფოდან სამედიცინო ტვირთი საქართველოში ოფიციალურად თბილისის მერიის სახელზე გამოიგზავნა. ეს იყო ძალიან მაღალი ხარისხის მორფინი, რომელსაც, როგორც წესი, ონკოლოგიური პაციენტებისთვის ტკივილის გასაყუჩებლად იყენებენ. რაც შეეხება სამედიცინო ტვირთის რაოდენობას, ის ერთი კონტეინერი იყო. აქ იყო მთელი კომპლექტი: საინექციო საშუალებები, ბამბა, სპირტი… ყველაფერი ყუთებში იყო მოთავსებული. საკმაოდ დიდი რაოდენობის მორფინის ადრესატი თბილისის მერია იმიტომ გახდა, რომ ომის პერიოდში ამერიკის სახელმწიფოს მისი სხვა ფორმით გამოგზავნა გაუჭირდა, რაღაც სამართლებრივი პრობლემა შეიქმნა და მორფინი დედაქალაქის მმართველობის სახელზე გამოიგზავნა. ეს ტვირთი მერიას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის უნდა მიეწოდებინა, მაგრამ კეზერა და სხვა გიგილოს „ბრატვის“ წევრები მაგ შანსს „გამაზავდნენ“?… სად წავიდა ერთ კონტეინერი მორფინი, თავად ამერიკული მხარეც დაინტერესებულა, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურაც ინფორმირებული გახლდათ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თემურ დოლიძეს უთქვამს „პროკურატურის ჩვენი უწყების შესაბამისი სამსახურები მოკვლევას აწარმოებენ. ვფიქრობთ, რომ საზოგადოებას ამ კონკრეტული ფაქტის შესახებ ინფორმაციას უახლოეს დღეებში მივაწვდით“, თუმცა პროკურატურაში იმდენი ფარული თუ აშკარა ნაცია ერთი კონტეინერი მორფინი „გააიმასქნეს“ ალბათ და ამდენი მამალი ნაცის გულიც მოიგეს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ თბილისის უფლებაშეჩერებული მერი გიგი უგულავა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებას უარყოფდა „სამხედრო გადაწყვეტილებების“ მიღებაში მე მონაწილეობა არ მიმიღია. ჩემი საომარი მოქმედებების სიახლოვეს ყოფნის მთავარი მიზეზი იყო თბილისის მერიის ის სამსახურები, რომლებიც იქ იყვნენ: სასწრაფო, სახანძრო, „თბილისის ავტობუსი“, ასეთ ვითარებაში მე ოფისში ხომ არ დავჯდებოდი?! – არადა, 8 აგვისტოს დილით, გორში, სამთავრობო პრესცენტრში, გიგი უგულავამ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. ომი თითქმის დამთავრებული ჩანდა: „იცით, რომ ამ დროისათვის ცხინვალის დაახლოებით 70 პროცენტი – მე ვგულისხმობ თვითონ ქალაქს და მის შემოგარენ სოფლებს – დაკავებულია ჩვენი ჯარების მიერ. ჩვენი მთავარი ამოცანა არის ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პირველ რიგში, ქალების, ბავშვებისა და მოხუცების და ასევე მათი, ვინც ჩაბმულია საბრძოლო მოქმედებებში იქითა მხარეს. ამ მიზნით ჩვენ ერგნეთში ვამზადებთ სპეციალურ პუნქტს და ვამზადებთ კორიდორს.“ რამდენი ჯარისკაცი, მშვიდობიანი მოსახლე, ტერიტორიები შეეწირა ამ ნაცუთავო მხედრების ტინკიცს და ომი დამთავრებული არ იყო გამალებულ ტემპში სახელმწიფო თუ მიტაცებული ქონების გადაფორმებით იყვნენ დაკავებულები. წითელი ხიდის გავლით როგორ გარბოდნენ „ხალხზე და ქვეყანაზე მზრუნველი“ ნაცვირთხები ცნობილია, მაგრამ უცნობია როდის გაქრებიან პოლიტიკური ველიდან ეს ქვეყნის, ხალხის მოღალატე, გამყიდველი, ყველაფერზე წამსვლელი და მკადრებელი, უტიფარი ნაცები. უგულავა კიდევ „გორლაზეა“და იმუქრება. „რამ შეგაშინათ ასე თქვე უდღეურებო, გასაგებია რამაც შეგაშინათ. წასხმის შიში რას არ გაგაკეთებინებთ.“



არადა, 2012 წლის მერე „წასხმულია“, შარშან ზუგდიდელებს აბოლებდა, მაგრამ არ გამოუვიდა სულ ორ კვირაში, წასხმული კი არა ჩასვრილი იქნება, ან, ვინ უნდა ენდოს კაცს, რომელმაც ცოლს ვერ მოუარა ის ქვეყანას მოუვლის? ნეტა, გიგილოს ბებია ხომ არ ყავს ფოთში?

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

# „ევროპა დასრულდა, როგორც სამყაროში დიდი მნიშვნელობის მქონე რეგიონი“

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას შეადარეს პოლიტოლოგებმა გასულ კვირას გავრცელებული ახალი ამბავი: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და ავსტრალიამ შექმნეს ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების აუზის უსაფრთხოების დაცვის კავშირი, რომელსაც „აუკუსი“ დაარქვეს (**AUKUS**) — ქვეყნების დასახელების პირველი ასოების მიხედვით შეარჩიეს ახალი ორგანიზაციის სახელი. ერთი შეხედვით, ქვეყნებს შორის ურთიერთობის დამყარება რა სენსაციაა, არც იმას გამოუწვევია გაოცება, პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა რომ უცებ ვერ გაიხსენა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის სკოტ მორისონის სახელი ახალი ორგანიზაციის ჟურნალისტებისა და საზოგადოებისთვის წარდგენისას. „...მადლობა ბორის (დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ბორის ჯონსონს), ასევე მადლობას ვეუბნებ, ქვევით რომ არის, იმ ავსტრალიელ ბიჭს...“ — თქვა ჯო ბაიდენმა. დიახ, ბაიდენის სიტყვებს არავინ გაუოცებია, ზოგიერთმა გაიცინა კიდეც.





გასაოცარი გახლდათ ის გარემოება, რომ ევროკავშირის, ნატოს წევრი ქვეყნების და თავად ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა პრესის მეშვეობით შეიტყვეს ახალი ორგანიზაციის შექმნის თაობაზე. უფრო მეტიც, ბორის ჯონსონმა მომავალი გეგმა არ შეათანხმა არც ქვეყნის პარლამენტთან და არც საკუთარი თანაპარტიელები ჩაუყენებია საქმის კურსში. ამით აღშფოთდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტერეზა მეი, რომელიც მწვავე კრიტიკით დაატყდა თავს ჯონსონს და ითხოვს პასუხს, ხომ არ აპირებს ჯონსონი რომელიმე ფართომასშტაბიან ომში ჩაბმას. ნატოს შტაბ-ბინაში ჯერ არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ. დუმს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, რომელიც მსოფლიოში ნებისმიერი ახალი სამხედრო შენაერთის შექმნის წინააღმდეგი იყო ჯერ კიდევ 10 დღის წინ. საინტერესოა, ახლა რა პოზიციას დაიკავებს.

უსაფრთხოების დაცვის, ფაქტობრივად, სამთა კავშირის შექმნით არ ამოწურულა ევროპელი პოლიტიკოსების გაოცება. გაირკვა, რომ ავსტრალია აღარ შეიძენს საფრანგეთისგან წყალქვეშა გემებს აშშ-ის სასარგებლოდ! კომერციული კონტრაქტი საფრანგეთსა და ავსტრალიას შორის 2018 წელს გაფორმდა, რომლის მიხედვით, ფრანგებს 12 წყალქვეშა გემი უნდა აეგოთ ავსტრალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის. ეს გახლდათ მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი კონტრაქტი, რომლის ღირებულება 60 მილიარდ დოლარს აჭარბებდა. აღსანიშნავია, რომ ფრანგებს არაბირთვული წყალქვესა გემები უნდა გადაეცათ ავსტრალიელებისთვის.

წყალქვეშა გემებს ავსტრალია ახლა უკვე აშშ-ისგან შეიძენს, რაც უკვე გადაწყვეტილია. კონტრაქტით იხეირებს დიდი ბრიტანეთიც. გემები, რომლებსაც ავსტრალია აშშ-ისგან შეიძენს, ატომური რეაქტორებით იქნება აღჭურვილი. მართალია, სამივე ქვეყნის მეთაური აცხადებს, რომ ავსტრალია არ მიიღებს ბირთვულ იარაღს, მაგრამ მათი პირობა სასაცილოდ არ ჰყოფნით სამხედრო ექსპერტებს. ჯერ კიდევ 35 წლის წინათ, წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებმა უარი თქვეს ბირთვულ შეიარაღებაზე და პირობასაც ასრულებდნენ. ახლა უკვე ავსტრალია შექმნის წყალქვეშა ბირთვულ ფლოტს, რაც მსოფლიოს პოლიტოლოგების შეშფოთებას იწვევს. ფაქტობრივად, იქმნება გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობის ახალი კავშირი.

კონტრაქტის გაწყვეტით საფრანგეთი და მასთან ერთად ევროკავშირი 60 მილიარდი დოლარით დაზარალდნენ. აქვე გავიხსენოთ 2015 წლის მოვლენა. რუსეთის დაკვეთით აგებული ორი ვერტმფრენმზიდის გადაცემაზე საფრანგეთმა უარი განაცხადა აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის დაჟინებული მოთხოვნით. შესრულებული სამუშაოსთვის საფრანგეთს 7 მილიარდი დოლარი უნდა მიეღო, მაგრამ თავად მოუხდათ 1,2 მილიარდი დოლარი პირსაგამტეხლოს გადახდა კონტრაქტის ჩაშლისთვის. ავსტრალიელთა გადაწყვეტილებით, ქალაქ შერბურგის გემთმშენებელ ქარხანაში გაოგნებულები არიან — სულ რაღაც ორი კვირის წინ შემკვეთისგან მიიღეს საქმიანი წერილი, სადაც სხვადასხვა კონკრეტული დეტალები იყო გაწერილი.

შექმნილმა რეალობამ, პირდაპირი მნიშვნელობით, განარისხა ფრანგები. კონტრაქტის მოულოდნელ გაწყვეტას ისინი ქურდობად მიიჩნევენ. მათი პოლიტიკოსების განცხადებით, მოუწევთ მოკავშირე ქვეყნებთან ურთიერთობის გადახედვა. ამის გარდა, ცალკეული მოქმედი პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები გამოდიან ინიციატივით, საფრანგეთმა დატოვოს ნატო, რადგან კონტრაქტის ფაქტობრივად წართმევას, ქვეყნისთვის ზურგში დანის დარტყმად მიიჩნევენ. ამასთან, თვლიან, რომ მოკავშირე ქვეყნებმა — აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა საფრანგეთს სილა გააწნეს. ამიტომაც, ფრანგებმა სასწრაფო წესით ჯერ კონსულტაციისთვის გაიწვიეს ელჩები აშშ-იდან და ავსტრალიიდან. ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ არ გაიწვიეს ელჩი დიდი ბრიტანეთიდან, საგარეო საქმეთა სამინისტროში ასეთი პასუხი გასცეს: „...საფრანგეთში ყოველთვის იცოდნენ, როგორი მეგობრობა შეუძლიათ ბრიტანელებს. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი მათი ოპორტუნიზმი“. საფრანგეთმა ბოლოს აშშ-იდან ელჩი 55 წლის წინათ, შარლ დე გოლის პრეზიდენტობის დროს გაიწვია.

„მეგობრები ასე არ იქცევიან!“ — განაცხადეს ბრიუსელში. ევროკავშირის ჩინოვნიკების განცხადებით, წინასწარ არც მათ იცოდნენ, თუ საფრანგეთს კონტრაქტს შეუწყვეტდნენ. ანალიტიკოსების შეფასებით, აშშ-მ საგარეო კურსი მკვეთრად შეცვალა. ინაუგურაციის შემდეგ ჯო ბაიდენი ნატოს გაძლიერების, მოკავშირე ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესების პირობას იძლეოდა. რეალურად, დონალდ ტრამპის პოლიტიკას აგრძელებს, საკუთარი ინტერესებით მოქმედებს, — ასე აფასებენ არსებულ ვითარებას ექსპერტები. „ევროპა დასრულდა, როგორც სამყაროში დიდი მნიშვნელობის მქონე რეგიონი“, — აცხადებენ ევროპელი ანალიტიკოსები. მათივე შეფასებით, ევროკავშირის პოზიციებიც შერყეულია და თუ ასე გაგრძელდა, რაღა დარჩება უახლოეს მომავალში ორგანიზაციისგან, ამის პროგნოზირება ძნელია. ევროკავშირში უკვე ღიად საუბრობენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა რეგიონების ქვეყნებისგან დამოუკიდებლად გააგრძელონ მუშაობა.

ელჩების გაწვევამ და ნატოდან გასვლის ინიციატივამ შეაშფოთა აშშ-ის ადმინისტრაცია. „...კარგ მეგობრებს შორისაც ზოგჯერ ხდება უთანხმოება, სხვადასხვა საკითხებზე შეიძლება განსხვავებული აზრიც ჰქონდეთ“, — განაცხადა აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლინდა ტომას-გრინფილდმა. სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი ირწმუნება, პარიზში იცოდნენ კონტრაქტის მოსალოდნელ შეწყვეტაზეო. პენტაგონში იმედოვნებენ, რომ ფრანგების დაშოშმინებას შეძლებენ. საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს რბილი საგარეო პოლიტიკისთვის მკაცრად აკრიტიკებენ ოპოზიციური პარტიები და ადგილობრივი პრესა, გავრცელებული ინფორმაციით, **AUKUS**-ის შექმნაზე და




სამოქმედო გეგმაზე აშშ-ის პრეზიდენტმა, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის პრემიერ-მინისტრებმა ჯერ კიდევ ზაფხულში, ლონდონში გამართულ „დიდი შვიდეულის“ სამიტის მსვლელობისას მიაღწიეს შეთანხმებას, მაკრონისგან საიდუმლოდ. სავარაუდოდ, ამიტომაც იყო მიწვეული სტუმრის სტატუსით ავსტრალია G-7-ის შეხვედრაზე. კონტრაქტის შეწყვეტამ მხოლოდ ფინანსურად კი არ დააზარალა საფრანგეთი, მისი სახელმწიფოებრივი რეპუტაციაც შეარყია.

პოლიტიკურ წრეებში ღიად საუბრობენ, რომ ახალი ორგანიზაცია ჩინეთის საწინააღმდეგოდ შეიქმნა, რაც კიდევ უფრო დიდ შეშფოთებას იწვევს. ბრიტანელები უკვე დაუპირისპირდნენ ჩინელებს — მათ ელჩს აუკრძალეს, დაესწროს ლონდონში თუ სხვა ქალაქებში გამართულ ცალკეულ ღონისძიებებს.

დაგროვილი პრობლემების გადაფარვას ცდილობს აშშ-ის ადმინისტრაცია, მაგრამ უშედეგოდ. გასულ კვირას ჯო ბაიდენმა პირისპირ შეხვედრა შესთავაზა ჩინეთის ლიდერს სი ძინპინს, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. „ვიდრე ჩვენი ქვეყნის მიმართ თქვენი დამოკიდებულება არ შეიცვლება, შეხვედრების გამართვა გამორიცხულია“, — უპასუხეს ჩინელებმა. აზიელები უფრო შორსაც კი წავიდნენ. ჩინეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში, მოითხოვა, რომ აშშ-მ პასუხი აგოს საერთაშორისო სასამართლოში ავღანეთში ჩადენილი სამხედრო დანაშაულებებისთვის.

წინასაარჩევნო დაპირებებს საპირისპიროდ მოქმედებს ჯო ბაიდენი. დევნილების უპირობოდ მიღების დაპირებამ კატასტროფული შედეგი გამოიღო აშშ-ის სამხრეთ საზღვრებზე. ათეულობით ათასი მიგრანტის მიღებას ქვეყანა ვეღარ ახერხებს, ამიტომ დაიწყეს მათი დეპორტაცია. გაოცება გამოიწვია ასევე ბაიდენის ადმინისტრაციის განცხადებამ — ევროპის ცალკეულ ქვეყნებში დემოკრატია მოიკოჭლებს და უნდა დავეხმაროთო. ჩამონათვალთა სიაში არიან ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ხორვატია... ექსპერტების შეფასებით, თუ აშშ იდეის განხორციელებას დაიწყებს, ადვილი შესაძლებელია, მოკავშირეებმა ზურგი შეაქციონ. ევროპას საკუთარი პრობლემები თავზე საყრელი დაუგროვდა, თუნდაც ენერგომომარაგების კუთხით. გასულ კვირას ბუნებრივი აირის ფასმა ევროპულ ბირჟებზე არნახული რეკორდი დაამყარა — 970 აშშ დოლარს მიაღწია! ევროკავშირის ქვეყნების შინაურ საქმეებში გარედან ჩარევამ, შესაძლოა, კატასტროფული შედეგები დააყენოს რეგიონში, — შიშობენ ანალიტიკოსები. ამასთან, სინოპტიკოსები ევროპაში ცივ ზამთარს ვარაუდობენ. როგორც დარგის სპეციალისტები აცხადებენ, ე.წ. „მწვანე ენერგეტიკამ“ იმედები ვერ გაამართლა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# იდუმალებით მოცული გაუჩინარების საქმეები, რომლებიც დღემდე გაუხსნელია

ყოველწლიურად, მსოფლიოში ათასობით ადამიანი იკარგება და მათი უმეტესობა არასრულწლოვანია. მაგალითად, აშშ -ში 2018 წელს 424,066 ბავშვი დაიკარგა, ინდოეთში – 111,569 ბავშვი, ავსტრალიაში – 20 000, ბრაზილიაში – 40 000, კანადაში – 45 000-ზე მეტი. ევროპაში ყოველწლიურად ასობით ათასი ბავშვი იძებნება: ესპანეთში – 20 000, გერმანიაში – 100 000, დიდ ბრიტანეთში – 112 000. ავსტრალიაში – დაახლოებით, 25 000, სამხრეთ კორეაში – 21980 და ა.შ. თითოეულ ქვეყანას თავისი კანონმდებლობა აქვს, მაგრამ თითქმის ყველგან, გარდაცვლილად გამოაცხადებამდე დაკარგულს რამდენიმე წელი ეძებენ. ჩვენ გიამბობთ ყველაზე უცნაურ და დაუჯერებელ გაუჩინარებებზე, რომელთა საიდუმლო დღემდე ამოუხსნელია.





მადლენ მაკკეინი

### რა კავშირშია ვატიკანი ემანუელა ორლანდის ამბავთან?

ემანუელა ორლანდი 15 წლის, ოქროსფერკულულებიანი გოგონა იყო, როდესაც რომის ცენტრში უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. ის ვატიკანის თანამშრომლის, ერკოლე ორლანდის ხუთი შვილიდან მეოთხე გახლდათ. გოგონა უკანასკნელად 1983 წლის ზაფხულის მშვიდ საღამოს, ავტობუსის გაჩერებაზე ნახეს. წინა დღეს მან მობილური ტელეფონით უფროს დას დაურეკა და უთხრა, რომ ქსელური კომპანიის წარმომადგენელმა კოსმეტიკის რეკლამირება და გაყიდვა შესთავაზა. უფროსმა დამ ემანუელას ურჩია, რომ ამის შესახებ მშობლებთან ესაუბრა, მაგრამ გოგონა სახლში აღარ დაბრუნებულა.. მეორე დღეს ემანუელა ორლანდი უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადდა.

მოწმეები იხსენებდნენ, რომ გაუჩინარების დღეს, მუსიკალური სკოლის ეზოში ემანუელას მსგავსი გარეგნობის გოგონა დაინახეს, რომელიც მწვანე ფერის **BMW**-ში ჩაჯდა, მაგრამ ამ ინფორმაციამ გამოძიება ჩიხში შეიყვანა. გოგონას გაუჩინარების ერთ-ერთი ვერსია თურქული ტერორისტული ჯგუფის, „ნაცრისფერი მგლების“ წევრს, მეჰმედ ალი აღჩას უკავშირდებოდა, რომელმაც ორი წლის წინ იოანე პავლე II- ზე წარუმატებელი თავდასხმა განახორციელა. პოლიცია ვარაუდობდა, რომ ემანუელა ტერორისტებმა მეჰმედ ალის ციხიდან დასახსნელად გაიტაცეს, მაგრამ ეს ვერსია არ დადასტურდა.

მეორე ვერსიის თანახმად, გოგონა დელა მალიანას ბანდამ გაიტაცა. ამ ბანდამ ბანკ „**Ambrosiano**“-ში, რომლის მთავარი ინვესტორი ვატიკანი გახლდათ, უზარმაზარი თანხა შეიტანა. მალე ბანკი გაკოტრდა და ბანდამ თავისი ფული დაკარგა, ამიტომ პოლიციის ვარაუდით, ემანუელა გაიტაცეს, რომ ვატიკანითვის ფულის დაბრუნება ეიძულებინათ. წინა ვერსიების მსგავსად არც ეს ვერსია დადასტურდა.

მესამე და ყველაზე საშინელი ვერსიის თანახმად, გოგონა სატანისტური ორგიის დროს, მსხვერპლშეწირვის რიტუალის შესასრულებლად გაიტაცეს. ასეთი ვარაუდის შესახებ ვატიკანის ყოფილმა ეგზარქოსმა, გაბრიელე ამორტმა განაცხადა. სასულიერო პირი ირწმუნებოდა, რომ მსოფლიოს ყველაზე პატარა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ახალგაზრდა გოგონების გატაცება ხშირად ხდებოდა და ეს გოგონები რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურთან დაახლოებული პირებს სექსუალურ მონობაში ჰყავდათ.


ემანუელა ორლანდი

2019 წლის გაზაფხულზე, ორლანდების ოჯახმა ანონიმური წერილი მიიღო. კონვერტში ვატიკანის ტევტონის სასაფლაოს ერთ-ერთი საფლავი და მასზე მდგარი ქვის ანგელოზი იყო აღბეჭდილი. ემანუელას მშობლები ვარაუდობდნენ, რომ ამით გამტაცებლებმა გოგონას ადგილსამყოფელზე მიანიშნეს, თუმცა საფლავის გახსნამ შედეგი არ გამოიღო.

ვატიკანში დაკარგული გოგონას სკანდალური საქმე 38 წლის შემდეგაც გაუხსნელია და ოჯახი ისევ იმედოვნებს, რომ ემანუელა ცოცხალია.

### მადლენ მაკკეინი

2007 წლის 3 მაისს, 3 წლის გოგონა დაიკარგა, რომელიც ოჯახთან ერთად, პორტუგალიაში ისვენებდა. მშობლებმა – ქეით და ჯერი მაკკენებმა მადლენი ძმებთან და დებთან ერთად ნაქირავებ ბინაში დატოვეს, თავად კი ახლომდებარე რესტორანში სასადილოდ წავიდნენ. ორი საათის შემდეგ დაბრუნებულმა მშობლებმა მადლენი სახლში ვეღარ იპოვეს.

ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარი ეჭვმიტანილი მაკკენების ბინის მეზობლად მცხოვრები 33 წლის უძრავი ქონების კონსულტანტი, რობერტ მიურატი იყო. მოწმეების მტკიცებით, 9:15 საათზე, მიურატი სახლში პატარა გოგონასთან ერთად მიდიოდა, მაგრამ პორტუგალიის პოლიციამ ამ ამ ვერსიის დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ აღმოაჩინა. მოგვიანებით, ეჭვმიტანილთა სიას გოგონას მშობლები, ქეით და ჯერი მაკკენები დაემატნენ.

ერთ-ერთი ვერსიით, მადლენი საძილე აბების გადაჭარბებული დოზით გარდაიცვალა, რომელიც მშობლებმა ბავშვს რესტორანში წასვლის წინ დაალევინეს, შემდეგ კი, ამ ფაქტის დასამალად, ბავშვის გატაცების ამბავი მოიგონეს. მშობლები ეჭვმიტანილთა სიიდან მხოლოდ 2008 წელს ამოიღეს. 2020 წლის ივნისში ამ საქმის მთავარი ეჭვმიტანილი 43 წლის ქრისტიან ბრიუკნერი გახდა. გერმანიის პოლიციის ცნობით, მამაკაცი 1995 წლიდან 2007 წლამდე პორტუგალიაში ცხოვრობდა, სადაც ზოგჯერ მიმტანად და ზოგჯერ დამლაგებლად მუშაობდა და არც ნარკოტიკებით ვაჭრობას თაკილობდა. ამ დროისთვის ბრიუკნერი პედოფილიისთვის გასამართლებული იყო, მოგვიანებით კი დანაშაულთა სია ნარკოტიკებით ვაჭრობით, ძარცვით და გაუპატიურებით შეავსო. ბრიუკნერის მთავარი პრინციპი დანაშაულის სახლიდან მოშორებით ჩადენა იყო.

გერმანელი გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ გოგონა დიდი ხნის გარდაცვლილია, თუმცა 2020 წლის ივნისში ლონდონის პოლიციამ გამოაცხადა, რომ მადლენი ფორმალურად ისევ დაკარგულად ითვლება, რადგან მისი გარდაცვალების ფაქტი დაუდგენელია.

მას შემდეგ, რაც მისი სახელი 3 წლის გოგონას გაუჩინარების საქმეს დაუკავშირდა, ქრისტიან ბრიუკნერი, რომელიც სასჯელს სხვა დანაშაულისთვის იხდის, უსაფრთხოების მიზნით სამარტოო საკანში გადაიყვანეს. მადლენის გაუჩინარების შესახებ მას ამ დრომდე ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. დიდი ბრიტანეთის, პორტუგალიისა და გერმანიის საუკეთესო გამომძიებლები მუშაობას აგრძელებენ, მაგრამ ჯერჯერობით გოგონას ცხედარი ან სხვა მტკიცებულება აღმოჩენილი არაა.


ემი ლინ ბრენდლი

### ემი ლინ ბრედლის გაუჩინარება საკრუიზო გემიდან

1998 წლის 24 მარტს, დილის 5:30 საათზე, ემი ლინის მამამ საყვარელი ქალიშვილი საკრუიზო გემის კაიუტის აივანზე მძინარე უკანასკნელად დაინახა. ნახევარი საათის შემდეგ გოგონა გაუჩინარდა..

ბრედლის ოჯახი საკრუიზო გემზე „**Caribbean Rhapsody of the Seas**“ შემთხვევამდე ოთხი დღით ადრე ავიდა. წინა ღამეს გემის კლუბში მხიარული წვეულება მოაწყვეს. ლამაზი და ბედნიერი ემი ჯგუფი **Blue Orchid** მუსიკაზე ცეკვავდა და შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ მუსიკალური ჯგუფის ერთ-ერთი წევრი თვალს არ აცილებდა. მეორე დილას მამამ, რონ ბრედლიმ ქალიშვილი ვერც კაიუტაში და ვერც გემბანზე იპოვა.

შეშინებულმა მამამ დახმარებისთვის გემის ეკიპაჟს მიმართა, მაგრამ მისი ვარაუდები სერიოზულად არავინ აღიქვა. ძებნა მხოლოდ კუნძულ კურასაოსთან მიახლოვების შემდეგ დაიწყო, თუმცა ეკიპაჟის წევრების დაკითხვამ შედეგი არ მოიტანა. ემი პროფესიონალი მაშველი იყო, ამიტომ გამოძიებამ წყალში გადავარდნის და დახრჩობის ვერსია მთლიანად გამორიცხა.

გოგონას გაუჩინარებიდან ხუთი თვის შემდეგ გამოჩნდნენ პირველი მოწმეები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ემი კურასაოს სანაპიროზე ნახეს. ტურისტების თქმით, გოგონას, რომელიც ემის ჰგავდა, ისეთივე ტატუები ჰქონდა, როგორიც ბრედლის და თან კრიმინალური გარეგნობის ორი მამაკაცი ახლდა. ერთი წლის შემდეგ საზღვაო ძალების ჯარისკაცმა, რომელიც ადგილობრივ საროსკიპოს ეწვია, თქვა, რომ მეძავი ემი ლინ ბრედლის სახელით გაეცნო და დახმარება სთხოვა. სანამ მეზღვაურმა გამბედაობა მოიკრიბა და მომხდარის შესახებ ამერიკის პოლიციას აცნობა, დაწესებულება უკვე დახურული იყო.

ამერიკელი სამართალდამცავების გულმოდგინე მუშაობის მიუხედავად, გამოძიება ჩიხში შევიდა და უცნაური გაუჩინარების საქმე დღემდე გაუხსნელია. ემის ოჯახმა სოლიდური ჯილდო დააწესა მათთვის, ვინც გოგონას შესახებ ინფორმაციას მიაწვდის. ძებნა გრძელდება.

მოამზადა
**ნელი თორდიამ**
571 35 36 88

# სიცოცხლის სადარაჯოზე



წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც სახის სამწვერა ნერვის გაუსაძლისი ტკივილით გაწამებულმა, ამოვწურეთ რა მკურნალობის თერაპიული მეთოდები, თბილისის I საუნივერსიტეტო კლინიკის ყბასახის ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელის, ზაზა მაჭავარიანის რეკომენდაციით მივმართე ბატონ გოგი მაღალაშვილს, თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ნეიროქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელს.

სათანადო კვლევის ჩატარების შემდეგ ბატონმა გოგიმ დამინიშნა ოპერაციის დღე. ოპერაცია თავად ბატონმა გოგიმ ჩაატარა და მისი წარმატებით დასრულების შემდეგ უკვე ერთი წელია, ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდი.

ჩემი სურვილი, საჯაროდ გადამეხადა მადლობა მკურნალი ექიმისთვის, კიდევ უფრო გაამყარა სოციალურ ქსელში და ბეჭდურ მედიაში ბატონი გოგის შესახებ განთავსებულმა მასალებმა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი მოქალაქეობრივი პოზიცია.

ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი გოგი ხაზგასმით ამუნათებს იმ კოლეგებს, რომლებიც უცხოეთში უშვებენ პაციენტებს — როდესაც საქართველოში არანაკლები ეფექტურობით, პროფესიონალიზმითა და შედეგებით კეთდება იგივე ოპერაციები, ნუ აგზავნით პაციენტებს საზღვარგარეთო.

მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ გოგის ნეიროქირურგიაში შესანიშნავი სკოლის ჩამოყალიბებისთვის და შვილის, ასევე წარმატებული ნეიროქირურგის, ედიშერ მაღალაშვილის აღზრდისთვის. ბატონი ედიშერ მაღალაშვილი წარმატებით მიჰყვება მამის გაკვალულ გზას და დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს მადლიერ პაციენტებს შორის.

დასასრულს, მინდა, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელით, და, ალბათ, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის სახელით, უღრმესი პატივისცემა და სიყვარული გამოვხატო არამარტო ბატონი გოგი მაღალაშვილის, არამედ სამედიცინო სფეროს ყველა მაღალკვალიფიციური მუშაკისა და დამხმარე პერსონალის მიმართ, ვინც ყოველდღიურად თავდადებით იღვწის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად და ამ ურთულეს სიტუაციაში, რომელშიც მსოფლიო ჩააყენა კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ, ხშირად საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე აჩერხებს არაერთი სიცოცხლის გადარჩენას!

**ვლადიმერ ჟანტურიძე**
სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის
მეცნიერ-თანამშრომელი

# თბილისის მერიას

პირველ რიგში, მინდა ლოტკინის დასახლების წერონისის ქუჩის მცხოვრებთა სახელით დიდი მადლობა გადაგიხადოთ, რადგან ძალიან ოპერატიულად გამოეხმაურეთ ჩვენს თხოვნას ქუჩაზე სიჩქარის შესამცირებელი ბარიერების, ე. წ. „ბუგაროკების“ დამონტაჟების საკითხს და ისინი უკვე დამონტაჟებულია ქუჩის ერთ მონაკვეთზე.

მოგეხსენებათ, წერონისის ქუჩა ლოტკინის ცენტრალური და ყველაზე გრძელი ქუჩაა და ხუდადოვის ქუჩიდან შემომავალი დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომანქანები იმავე სისწრაფით განაგრძობენ მჭიდროდ დასახლებულ ქუჩაზე მოძრაობას, რაც საფრთხეს უქმნის როგორც მოზრდილ მოსახლეობას, ასევე ბავშვებსაც. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, დაგვეხმაროთ, რათა ქუჩის მთელ სიგრძეზე (როგორც საჭიროება მოითხოვს და გათვალისწინებულია ნორმის ფარგლებში) გაკეთდეს ბარიერები.

და კიდევ ერთი, იქნებ გამოიძებნოს საშუალება და წერონისის ქუჩაზე გაკეთდეს სიჩქარის მაკონტროლებელი რადარი, რაც კიდევ უფრო ქმედითი საშუალება იქნება სისწრაფისმოყვარული მძღოლების წინააღმდეგ.

იმედი გვაქვს, თბილისის მერია ჩვეული გულისხმიერებით მოეკიდება ჩვენს თხოვნას.

წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით, წერონისის ქუჩის მცხოვრებთა სახელით
**ბელა გველესიანი**
568 90 81 22







# ცხოვრება უფულოდ

## გერმანელმა მასწავლებელმა 20 წელი უფულოდ იცხოვრა, მაგრამ არაფერი აკლდა

მაღაზიის ვიტრინაში სასურველი ნივთი შენიშნეთ, მაგრამ შესაძენად ფული არ გყოფნით – ნაცნობი სიტუაციაა? ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ ფული საერთოდ არ გაქვთ და უახლოესი 20 წელი არც გექნებათ, მაგრამ ბედნიერი ხართ, რადგან ფულის გარეშეც შესანიშნავად ცხოვრობთ. სწორედ ასეთი ცხოვრება აირჩია გერმანელმა მასწავლებელმა და ფსიქოთერაპევტმა ჰაიდემარ შვერმერმა და მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა.

ჰაიდემარმა საკუთარ ქონებაზე უარი თქვა, დაზღვევა გააუქმა, ფული და ნივთები დაარიგა და ხანგრძლივ მოგზაურობაში ერთი ჩემოდნით გაემგზავრა, სადაც ყველაზე აუცილებელი ნივთები ჩააწყო.

როგორ იცხოვრა ჰაიდემარ შვერმერმა 20 წელი ფულის გარეშე?

ფულზე უარის თქმისა და უცნაური სოციალური ექსპერიმენტის ჩატარების გადაწყვეტილება ჰაიდემარ შვერმერმა 53 წლის ასაკში მიიღო. ჰაიდემარი 47 წლის იყო, როდესაც ქმარს გასცილდა და საცხოვრებლად დორტმუნდში გადავიდა. ერთხელ, ქალაქის ქუჩებში სეირნობის დროს ქალმა შენიშნა, რომ ქუჩაში უამრავი უსახლკარო ადამიანი ცხოვრობდა და მათი დახმარება გადაწყვიტა. ჰაიდემარი გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანებს მანამდეც ეხმარებოდა. მას ყოველთვის მიაჩნდა, რომ თანამედროვე სამყაროში ადამიანური დამოკიდებულება დაიკარგა და სიკეთის ბალანსი დაირღვა. იდეალისტია? რა თქმა უნდა, მაგრამ სამყარო მოსაწყენია ასეთი ადამიანების გარეშე ...

### „მოდი და წაიღე“

ჰაიდემარ შვემერმა 1994 წელს შექმნა გაცვლის ქსელი სახელწოდებით **Come and Take** (მოდი და წაიღე). ქსელი მარტივი პრინციპით მუშაობდა – არ აღიარებდა სასაქონლო-ფულად ურთიერთობას და ყველაფერი ბარტერული ურთიერთობით რეგულირდებოდა. ადამიანებს მხოლოდ მომსახურეობის და ნივთების შეცვლა შეეძლოთ.

თავდაპირველად, ქსელი მხოლოდ ღარიბებსა და უსახლკაროებს ეხმარებოდა, მაგრამ მოგვიანებით, „მოდის და წაიღეს“ პენსიონერები, მარტოხელა ადამიანები და მოხალისეებიც შეუერთდნენ. თითქოს ქსელის მუშაობით ყველა აღფრთოვანებული იყო, მაგრამ ღარიბი და უსახლკარო ადამიანები, ვისთვისაც ქსელი შეიქმნა, ჰაიდემართან საუბრის დროს ჯიუტად იმეორებდნენ – „თქვენ განათლებული და წარმატებული ქალბატონი ხართ და ვერასოდეს გაგვიგებთ“...

### ზურგჩანთა და 200 ევრო

არავინ იცის, ღარიბების მოკრძალებლმა საყვედურმა იმოქმედა თუ სხვა ფაქტორმა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს „განათლებულმა და წარმატებულმა“ ქალმა გადაწყვიტა ღარიბი ადამიანის ცხოვრება გამოეცადა. ჰაიდემარმა თავისი უძრავ-მოძრავი ქონება ღარიბებს დაურიგა და რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად მუშაობა დაიწყო. ამ დროისთვის ჰაიდემარის ზრდასრული შვილები ცალკე ცხოვრობდნენ და დედის გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებიათ.

„როგორც კი ჩემი ბინა დაცარიელდა, სიხარულით ცას ვეწიე“ – იხსენებს ჰაიდემარი. საბანკო ანგარიშების დახურვის შემდეგ ჰეიდემარმა სახლი ზურგჩანთასა და 200 ევროიან სარეზერვო ფონდთან ერთად დატოვა და თავისი ექსპერიმენტის განხორციელებას შეუდგა. ქალმა გადაწყვიტა თავისი სამუშაო საათები (ფსიქოთერაპიის სესიები) საკვებზე და ღამის გასათევ ადგილზე გაეცვალა. როცა მის პროფესიულ უნარებზე ნაკლები მოთხოვნა იყო, ჰაიდემარი რესტორნებში ჭურჭელს რეცხავდა, გაზონებს კრეჭდა, ბავშვებს უვლიდა და ალაგებდა, რომ კვების პროდუქტები და ბინის ქირისთვის საჭირო ფული მიეღო.

### 1 წლიანი გეგმა და შედეგი – 20 წელი

თავდაპირველად, ჰაიდემარი ბარტერის რეჟიმში ცხოვრებას ერთი წლის განმავლობაში გეგმავდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მიხვდა, რომ ასე ცხოვრება მოსწონდა, რომ ეს მთელი მისი ფილოსოფია იყო, სადაც თავს კომფორტულად გრძნობდა და ბარტერით ცხოვრება ერთის ნაცვლად, 20 წელი გაგრძელდა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მთელი ამ წლების მანძილზე ჰაიდემარი ერთხელაც არ შეხებია სარეზერვო ფონდს.

### ლექციები, მოგზაურობა, წიგნი და ფილმი

თავისი ექსპერიმენტის წყალობით ჰაიდემარ შვერმერი ცნობილი ადამიანი გახდა. მას გამუდმებით ტელევიზიებში იწვევდნენ და ინტერვიუებს თხოვდნენ. ქალი მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა და მატერიალურ სიკეთეებზე უარის თქმის გამოცდილების შესახებ ლექციებს კითხულობდა. ამ ლექციების სანაცვლოდ შვერმერი ტრადიციულად, თავშესაფარს, საკვებს და ზოგჯერ, საზღვარგარეთ მოგზაურობისთვის საჭირო თვითმფრინავის ბილეთებს იღებდა.





2003 წელს ჰაიდემარმა გამოაქვეყნა წიგნი „ჩემი ცხოვრება ფულის გარეშე“, რომელიც რამდენიმე ენაზე თარგმნეს. 2006 წელს ჰაიდემარის ცხოვრებაზე გადაიღეს დოკუმენტური ფილმი „ცხოვრება ფულის გარეშე“, რომელიც მსოფლიოს 30 ქვეყანაში აჩვენეს და როგორც ადრე, ქალმა ფილმიდან მიღებული მთელი ჰონორარი ქველმოქმედებაზე დახარჯა.

### ჰაიდემარი შვერმერის ფილოსოფია

ჰაიდემარი შვერმერი 2016 წლის მარტში, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ მისი ცხოვრება ისეთი საინტერესო და შინაარსიანი აღმოჩნდა, რომ უამრავი მიმდევარი გამოუჩნდა – ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ ბედნიერება ფულში არაა...

მოამზადა
**ნელი თორდიამ**
571 35 36 88

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78 64 69

* * *

**– მაინტერესებს თემა უპირატესი შესყიდვის უფლების შესახებ.**

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 516–520-ე მუხლები მოიცავს თქვენთვის საინტერესო საკითხს. წარმოგიდგენთ ხსენებული მუხლების შინაარსს სრულად.

მუხლი 516. ცნება

1. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება, თუ ვალდებული პირი მესამე პირთან დებს მოცემული ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას.

2. უპირატესი შესყიდვის უფლება არც სხვა პირს გადაეცემა და არც მემკვიდრეობით გადადის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 517. ნივთის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ შეტყობინების მოვალეობა

1. ვალდებულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომლის დადებასაც ის აპირებს მესამე პირებთან.

2. უპირატესი შესყიდვის უფლება ხორციელდება ვალდებული პირისათვის შეტყობინებით. შეტყობინების მეშვეობით უფლებამოსილ პირსა და ვალდებულ პირს შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობებით, რომლებიც ვალდებულმა პირმა მესამე პირს შესთავაზა.

3. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება მხოლოდ ვალდებული პირის მიერ დადგენილ ვადაში.

მუხლი 518. უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობაზე შეთანხმების ბათილობა

ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის არსებული შეთანხმება ბათილია, თუ ამით ნასყიდობის ხელშეკრულება დამოკიდებული ხდება უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობაზე, ან ვალდებულ პირს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი გამოყენებული იქნება უპირატესი შესყიდვის უფლება.

მუხლი 519. დამატებითი ვალდებულების შესრულება

1. თუ მესამე პირმა ხელშეკრულებით იკისრა დამატებითი ვალდებულება, რომლის შესრულების შესაძლებლობაც უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს არა აქვს, მაშინ მან დამატებითი ვალდებულების ნაცვლად უნდა გადაიხადოს მისი ღირებულება.

2. თუ შეუძლებელია დამატებითი ვალდებულების ფულადი შეფასება, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება დაუშვებელია; დამატებითი ვალდებულების თაობაზე შეთანხმება ძალას კარგავს, თუ ხელშეკრულება დაიდო უპირატესი შესყიდვის უფლებისათვის გვერდის ასახვევად.

მუხლი 520. ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით

ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება ნივთის მოწონების პირობით დაიდოს, თუ მყიდველი შეთანხმებულ ვადაში არ დაიწუნებს ნივთს. დაწუნების შემთხვევაში მხარეები მოვალენი არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს.

* * *

**– რას ნიშნავს არასრულწლოვნის ემანსიპაცია?**

– თქვენთვის საინტერესო საკითხს სრულად პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65–ემუხლი, რომელის შინაარსსაც სრულად წარმოგიდგენთ:

1. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან – ამ წარმომადგენლების თანხმობით – მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით.

2. თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.

3. საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

* * *

**– როგორ ხდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირება?**

– გმადლობთ შეკითხვისათვის. სოციალური დახმარების შესახებ ძალიან ბევრი განცხადება შემოდის გაზეთის რედაქციაში. რამდენადაც გაზეთის ფორმატი მომცემს საშუალებას, ვეცდები ეს თემა განვავრცო, მკითხველთა ინტერესის გათვალისწინებით.

ბაზაში რეგისტრაციისათვის საჭიროა ოჯახიდან ერთ-ერთმა სრულწლოვანმა წევრმა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს და დაწეროს განცხადება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ.

ოჯახი მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულად ითვლება, თუ მას მინიჭებული აქვს სარეიტინგო ქულა.

სარეიტინგო ქულის მინიჭება უნდა მოხდეს განცხადებით, მიმართვიდან 3 თვის ვადაში.

განცხადების დაწერიდან 1 თვის განმავლობაში შესაბამის მისამართზე განმცხადებელს ოჯახში მიაკითხავს სოციალური აგენტი, რომელიც შეამოწმებს ოჯახის ქონებას, შემოსავალსა და ხარჯებს. შემოწმების შედეგად ივსება ოჯახის დეკლარაცია. შემდეგ კი ოჯახის შემოწმებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, ოჯახს მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ენიჭება სარეიტინგო ქულა.

სარეიტინგო ქულით განისაზღვრება ის, თუ რა სახის დახმარებას მიიღებს სახელმწიფოსაგან ოჯახი. დახმარება შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც მიმართულია მაძიებელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

საარსებო შემწეობის ოდენობა ეფუძნება ოჯახის წევრთა რაოდენობასა და მინიჭებული სარეიტინგო ქულის სიდიდეს.

საარსებო შემწეობა ინიშნება უფლების წარმოშობისთვიდან, საარსებო შემწეობის დანიშვნის შესახებ, ღატაკი ოჯახის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

ღატაკ ოჯახს საარსებო შემწეობის მიღების უფლება ეძლევა სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან მეორე თვეს.

ოჯახის დეკლარაციის შევსებისას ოჯახის შემადგენლობაში არ უნდა იქნენ გათვალისწინებულნი შემდეგი პირები:

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;

იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;

ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც სამხედრო სამსახურის შესრულებისას 3 დღეში ერთხელ მაინც ბრუნდება ოჯახში);

ქვეყნის ფარგლებს გარეთ ზედიზედ 3 თვეზე მეტი ვადით წასული პირი;

სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი;

სპეციალიზებულ დაწესებულებაში სრულ კმაყოფაზე მყოფი პირი.

რამდენს შეადგენს ფულადი დახმარება?

2015 წლის 01 მაისამდე შეფასებული ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულაა 57001-მდე, საარსებო შემწეობა შეადგენს:

ერთსულიანი ოჯახისათვის 60 ლარს;

ორ და მეტსულიანი ოჯახისთვის 60 ლარს დამატებული 48 ლარი ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე.

2015 წლის 01 მაისის შემდეგ შეფასებული ოჯახებისთვის ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე ნაკლებია, განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე მეტია, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე, განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 57001-ზე მეტია, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე, განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 60001-ზე მეტია, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე, განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია, განისაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლის ასაკის წევრზე.

* * *

**– წარმოშობს თუ არა სამართლებრივ შედეგებს ჯვრისწერა?**

– ეს შეკითხვა ხშირად შემოდის რედაქციაში. ჭორებისა და გავრცელებული საუბრების ფონზე, მოქალაქეები ფიქრობენ, რომ ჯვრისწერა, სამოქალაქო ქორწინების მსგავსად, არის სამართლებრივი შედეგების საფუძველი. ეს მცდარი აზრია. ჯვრისწერა არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამიტომ ყველას ვურჩევ, ჯვრისწერასთან ერთად, ქორწინება გააფორმონ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი: ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება.

# ბიჭი მომავლიდან

15 სექტემბერს, საღამოს, დაახლოებით, ხუთ საათზე, ფიქრის გორაზე, 22 წლის ნიკოლოზ კვარაცხელიას ცეცხლსასროლი იარაღიდან ცხრა ტყვია ესროლეს.

ნიკოლოზ კვარაცხელია, ონლაინ-პლატფორმა Feedc-ის დამფუძნებელია. ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული სოციალური მედიის პლატფორმა, თანამოაზრეებთან ერთად, 2019 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა შექმნა. ერთ ინტერვიუში ის ამბობს: პლატფორმის მიზანი სოციალური ქსელების „უსამართლო“ მიდგომის შეცვლააო...

ნიკოლოზ კვარაცხელიას ოცნება იყო, ყველა ადამიანს მისცემოდა ინფორმაციის გავრცელების თანაბარი შესაძლებლობა, როგორც მომხმარებელს, რომელსაც ბევრი მეგობარი თუ გამომწერი ჰყავს, ან უბრალო ადამიანს, რომელიც სოციალურ ქსელებში ნაკლებად პოპულარულია.

22 წლის ნიკო კვარაცხელიას



მიერ შექმნილ სოციალურ სივრცეს — სოციალურ ქსელ „ფიდსს“ სპეციალისტები აფასებდნენ, როგორც სენსაციურ ნოვაციას მსოფლიოში. ამ თვის ბოლოს, თურმე, ნიკოს სოციალური ქსელის მსოფლიო აღიარება იგეგმებოდა, რითაც, ფეისბუკი, ფაქტობრივად, შეიძლებოდა მოხმარებიდან თავისთავად ამოვარდნილიყო, იმდენად მარტივი, კომუნიკაბელური, ხელმისაწვდომი, მოხერხებული იქნებოდა ნიკოს გამოგონებაო.

მამა ნექტარიოს მჭედლიძე ნიკო კვარაცხელიაზე ამბობს: მამა, არ ვიცი, ვინ არის, მაგრამ ეს ბიჭი იყო უბრალოდ, სასწაული ადამიანი, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, 19 წლის ასაკში ამდენი ქველმოქმედება, სულ ცდილობდა, დაფარული ყოფილიყო, ეს იყო აღზრდილი შვილი, კეთილი. სამგორში სამი თვის ქირა რომ გადავუხადე ბებოს, ახლა გამახსენდა, მან დამირეკა, მთხოვა, მე გადავუხდი, უბრალოდ, არ უთხრა ჩემი სახელიო.

ბოლოს ყველა კეთილი საქმე გაცხადდება, ასეთი შვილი არ ჰყავდა დასაკარგი საქართველოს...“.

ეს გულმოწყალე და უნიჭიერესი ანგელოზისსახიანი ბიჭი მარტო დედ-მამას კი არა, საქართველოს მოუკლეს. საქართველოს ესროლეს, კიდევ ერთხელ რვა ტყვია და მისი მომავლის გასანადგურებლად კიდევ ერთხელ აღმართეს სისხლიანი ხელი...

ნიკოლოზ კვარაცხელია წალენჯიხელი კანონიერი ქურდის გია კვარაცხელიას ვაჟია.

გიგა ბოკერიას თანამეცხედრე ჩერგოლეიშვილი ამ ამბავთან დაკავშირებით ფეისბუქში წერდა: ეს ხელისუფლება ხელს აფარებს კრიმინალურ ავტორიტეტებს. წინა ხელისუფლება კი ებრძოდა და აი, შედეგიც: კრიმინალურ გარჩევას ბიჭი შეეწირაო.

რას და ვის აფარებდა ხელს მიშას ხელისუფლება, ვინც მათ სასტიკ მარწუხებს სასწაულებრივად გადავურჩით, ყველას კარგად გვახსოვს. სკლეროზი არ გვაქვს ჯერ და მშვენივრად ვიცით, ქურდები აგებინებდნენ არჩევნებს სააკაშვილს და მერე ეს გადამგდები, როგორც მისი წესია, აიგნორებდა ხოლმე იმ ქურდებს, ზოგს აკვლევინებდა, ზოგს — ციხეში ყრიდა.

რაც შეეხება თავად გია კვარაცხსელიას.

წარსულში კრიმინალურ ავტორიტეტებთან ახლო კონტაქტში მყოფი ჩემი უახლოესი ნათესავი ჰყვება: კომის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც ერთად ვიჯექით 7 წელიწადი და ქსნის ციხეშიც, მე და გია. აბსოლუტურად თავდაჭერილი და წყნარი კაცი იყო. უნიჭიერესი. კომაროვის მათემატიკური სკოლა ჰქონდა წარჩინებით დამთავრებული, განათლებული კაცია და ისეთი მტრობა არ ჰქონია არც კაკულიებთან, არც სხვა ვინმესთან, მისი შვილი რომ შურისძიების გამო მოეკლათ, თანაც შვილები კრიმინალური გარჩევების საქმეში ისედაც შუაში არ არიან. ეს ბიჭი, ჩემი აზრით, სულ სხვა მიზეზით მოკლესო.

ჩემი აზრითაც, სულ სხვა მიზეზით არის მოკლული ნიკო კვარაცხელია. იმ მიზეზით, რომელიც თვითონაც არ იცოდა. მაგრამ რა იყო ეს მიზეზი და რისთვის გაიმეტეს სასიკვდილოდ პატარა ბიჭი, ეს ჯერ არავინ ვიცით...

რამდენიმე საათში, რაღაც საეჭვოდ, ოპერატიულად ჩამოარაკრაკეს „მთავარის“ ვირთხებმა მკვლელობის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა სია.

ასე იყო დათუნა სარალიძის, გიორგი შაქარაშვილის, თამარ ბაჩალიაშვილის შემთხვევებშიც...

იმედია, იპოვიან ამ საშინელი დანაშაულის ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს და ფარსისა და ფანტაზიების ადგილი ამ საქმეში მაინც აღარ იქნება...

მშვიდობით, ნიკო!

მთელი საქართველო გემშვიდობება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# „ძალიან მეშინია ჩემი ოჯახის გამო“

## როგორ ცხოვრობს მარიამ განი, ავღანეთის პრეზიდენტის ქალიშვილი, რომლის მამაც თალიბებს გაექცა და თან მილიონობით დოლარი წაიღო



მარიამ განი ავღანეთის პრეზიდენტის 42 წლის ქალიშვილი, რომელიც არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში გაიქცა და თან ხაზინიდან მილიონობით დოლარი გაიყოლა, ფოტოგრაფების ობიექტივში მოხვდა ნიუ-იორკის ქუჩებში მეგობართან ერთად სეირნობისას. ფოტო მსოფლიოს მედიასაშუალებებში გავრცელდა და იმ ავღანელების აღშფოთება გამოიწვია, რომლებიც ქვეყნის დატოვებას ცდილობენ მას შემდეგ, რაც თალიბებმა იქ საკუთარი წესები დაამყარეს.

### ტიპიური ბრუკლინელი

„მე ტიპური ბრუკლინელი ვარ“, — ამბობს ავღანეთის პრეზიდენტის ქალიშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში. მარიამ განი აშშ-ში დაიბადა და



მერილენდის ერთ-ერთ გარეუბანში გაიზარდა. დაამთავრა უნივერსიტეტი და ნიუ-იორკის ვიზუალური ხელოვნების სკოლა. ოთხი წლის წინათ გახდა ვერმონტის შტატში ბენინგტონ-კოლეჯის პედაგოგი. ამჟამად ის რეჟისორი, მხატვარი და მწერალია.

მარიამის ხელოვნებაში აქცენტი თალიბების მიერ ავღანელების შევიწროებაზე კეთდება. ავღანეთში ის იშვიათად იმყოფებოდა ხოლმე, პირველად იქ 24 წლის ასაკში ჩავიდა.

მარიამი ქაბულში გაკვეთილებს ატარებდა და სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ქალებს ასაქმებდა.

პრეზიდენტ აშრაფ განის ქალიშვილმა ორი ფილმი გადაიღო: „ის, რაც დაუსრულებელი დავტოვეთ“ — ხუთი ფილმის შესახებ, რომლებიც ავღანეთის ომის შემდეგ თაროზე შემოდეს და „განადგურებების მოკლე ისტორია“, რომელიც გერმანულ კასელსა და ავღანეთის ქაბულში მდებარე ორ შენობაზე მოგვითხრობს. მისმა ერთ-ერთმა ნამუშევარმა კრიტიკოსების დადებითი შეფასებები მიიღო ბერლინის 2019 წლის კინოფესტივალზე.

მარიამის ფოტოები და ნახატები გამოფენილია ამერიკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში: „მეტროპოლიტენ-მუზეუმში“, გუგენჰაიმის მუზეუმსა და „ტეიტ მოდერნის“ გალერეაში.

მარიამი ძვირადღირებული ლოფტის მფლობელია კლინტონ-ჰილის პრესტიჟულ კვარტალში, ნიუ-იორკში, ბრუკლინის ჩრდილოეთით.

პრეზიდენტის ქალიშვილი ბევრს მოგზაურობდა. ის ნამყოფია ჰონკონგში, ვენეციაში, ბერლინში, დამასკოში, ბეირუთში, ჯაკარტაში, ლონდონში, მონრეალში, კაიროში, მუმბაიში, მოსკოვში...

ის ავღანეთში მიმდინარე მოვლენებს ასე გამოეხმაურა: „მე გაშმაგებული ვარ, ვწუხვარ და ძალიან მეშინია ჩემი ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგების გამო, რომლებიც ავღანეთში დარჩნენ და აქტიურად ვმუშაობ იმისთვის, რომ მათთვის რაიმე გავაკეთო“, — წერს ის საკუთარ **Instagram**-ზე.

მარიამ განის კეთილდღეობის გამო საზოგადოებას კითხვები გაუჩნდა, როცა ავღანეთში მოძრაობა „თალიბანის“ წევრებმა აიღეს ხელში ძალაუფლება, რის შემდეგაც ბევრ ავღანელს შიში გაუჩნდა საკუთარი სიცოცხლის გამო. ამ დროს კი მარიამი მეგობართან ერთად ნიუ-იორკის ქუჩებში დასეირნობდა.

„ავღანეთის პრეზიდენტის ქალიშვილი ნიუ-იორკში სეირნობს მაშინ, როცა მამამისს, რომელიც ქაბულიდან გაიქცა და 169 მლნ დოლარი წაიღო, თავშესაფარი დუბაიში მისცეს“, — ასეთი მინაწერი გაუკეთეს ერთ-ერთ დასავლურ გამოცემაში მარიამ განის ფოტოს.

### „მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოაზროვნე“

ავღანეთის მომავალი ლიდერი აშრაფ განი 1949 წელს ლოგარის პროვინციაში დაიბადა და ადგილობრივი ლიცეუმი დაამთავრა. შემდეგ სწავლა საზღვარგარეთ განაგრძო, ჯერ ბეირუთის ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, სადაც მომავალი მეუღლე რულა საადი გაიცნო, შემდეგ კი კოლუმბიის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა.

წყვილი ამერიკაში დასახლდა და იქაური პასპორტები აიღეს. მათი ორივე შვილი — გოგონა მარიამი და ვაჟი ტარიკი შტატებში დაიბადნენ და იქაური მოქალაქეები არიან.

აშრაფ განი კითხულობდა ლექციებს ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტში, ბალტიმორის ჯონს ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტში, ჰარვარდისა და სტენფორდის ბიზნეს-სკოლებში, მოიპოვა დოქტორის ხარისხი და ცნობილი გახდა, როგორც პოლიტოლოგი და ანთროპოლოგი. 1991 წლიდან ის მსოფლიო ბანკში მუშაობდა. გასაკვირი სულაც არ არის, რომ აშრაფმა შვილები დასავლური ფასეულობების მიმდევრებად აღზარდა. „ის ყოველთვის არაჩვეულებრივი ადამიანი იყო“, — ამბობს მარიამი მამის შესახებ.

ავღანეთში ამერიკელების შეჭრის შემდეგ განი სამშობლოში დაბრუნდა. ის ქვეყანაში გაეროს სპეციალურ წარმომადგენლად დანიშნეს, შემდეგ პრეზიდენტ ხამიდ კარზაის მრჩეველი იყო ფინანსურ საკითხებში. ის უწევდა კოორდინირებას ჰუმანიტარული დახმარების შემოტანას გაეროს ეგიდით, იყო ფინანსთა მინისტრი და ქაბულის უნივერსიტეტის რექტორი. ბრიტანულმა გამოცემამ **Prospect**-მა განი „მსოფლიოს საუკეთესო მოაზროვნეთა“ სიაში შეიყვანა.

აშრაფ განი წამოყენებული იყო გაეროს გენერალური მდივნის თანამდებობაზე, მაგრამ კორეელ პან გი მუნთან დამარცხდა. ავღანეთის პრეზიდენტობაზე კენჭი პირველად 2009 წელს იყარა, მაგრამ ხმების მხოლოდ 3 პროცენტი მოიპოვა. მეორე ცდა 2014 წელს წარმატებით დამთავრდა, მანვე გაიმარჯვა ხუთი წლის შემდეგაც, 2019 წელს.



მიუხედავად იმისა, რომ განი პუშტუნია — მისი ცოლი ლიბანელი ქრისტიანია, ამომრჩევლებმა მხარი დაუჭირეს მას. არც იმას შეუჩერებია ისინი, რომ ის ამერიკის მოქალაქე იყო და აშშ-ის მოქალაქეობაზე უარი 2009 წელს თქვა სამშობლოში მუდმივი კრიტიკის გამო.

ბევრი გააოცა განის ქმედებებმა თალიბების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. ცნობილი გახდა, რომ ის ქვეყნიდან ცარიელი ხელებით არ გაქცეულა: ოთხი მანქანა და ვერტმფრენი 169 მილიონი დოლარით იყო სავსე. ხუთი მილიონი დოლარი ვერტმფრენში არ ჩაეტია და განი იძულებული გახდა, ის ფული აეროპორტში დაეტოვებინა.

### „მე რომ დავრჩენილიყავი“

ახლა 72 წლის აშრაფ განი არაბეთის გაერთიანებულ საამიროებშია და უარყოფს, რომ თან დიდი ფული წაიღო. თავისი გაქცევა ასე ახსნა: „მე რომ დავრჩენილიყავი, ბევრი ჩემი თანამემამულე დაიღუპებოდა. ქაბულს ნანგრევებად აქცევდნენ, რაც მისი ექვსი მილიონი მოსახლისთვის კატასტროფა იქნებოდა“.

მიუხედავად გაქცეული პრეზიდენტის განცხადებებისა, ავღანეთიდან შემაშფოთებელი ამბები ვრცელდება. თალიბები უსწორდებიან ყველას, ვინც რაიმე სახით თანამშრომლობდა ამერიკასთან ან წინა ხელისუფლებასთან. ხოლო თუ თვითონ იმ ადამიანს ვერ პოულობენ, საფრთხე მისი ოჯახის წევრებს ემუქრება. სწორედ ასე მოხდა **Deutche Welle**-ს ჟურნალისტის შემთხვევაში, ავღანეთის დასავლეთში მოკლეს მისი ნათესავი, კიდევ ერთი ნათესავი კი დაჭრეს. თავად ჟურნალისტი უკვე გერმანიაშია.

გარდა ამისა, ექსტრემისტებთან დაკავშირებულმა დაჯგუფებებმა 150 კაცზე მეტი მოიტაცეს, რომლებიც აეროპორტში მიდიოდნენ. ბოევიკები შეცვივდნენ ერთ-ერთი ავღანელი თარჯიმნის სახლში, რომელიც ჩვენ სამხედროებთან მუშაობდა, ის სცემეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს, მისი სამი შვილისა და ცოლის შესახებაც არაფერია ცნობილი.

ახალი ხელისუფლების პირობებში განსაკუთრებით შემაშფოთებელია ქალების მდგომარეობა. თალიბების წინა მმართველობის წლები ავღანელი ქალებისთვის ყველაზე მძიმე პერიოდად ითვლება.

ქაბულში გამართულ პირველ პრეს-კონფერენციაზე თალიბების ოფიციალური წარმომადგენელი ჰაბიზულა მუჯახიდი ჟურნალისტებს დაჰპირდა, რომ ამიერიდან ქვეყანაში დაიწყება ქალების პატივისცემა, მათ შეეძლებათ სწავლა ვაჟებთან განცალკევებით და მომავალ მთავრობაში მუშაობაც კი...

თალიბები ამტკიცებენ, რომ 20 წლის განმავლობაში მათ გადახედეს საკუთარ შეხედულებებს და უფრო ლმობიერნი გახდნენ, მაგრამ მათი ცოტა ვინმეს თუ სჯერა...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99